# ცისკარი

**1863**

მაისი.

## წელიწადი მეშვიდე.

წოდება თხზულებათა:


I — მორჩილი. (რომანი). . . . ლავრ. არდაზიანისა
II — 1, როგორაც გემი... (ლექსი.) ანტ. ფურცელაძისა
2. გლეხის აღსარება (ლექსი:) თ. აკ. წერეთლისა.
5, მომაკვდავი ყმაწვილი (ლექსი.) თ. აკ. წერეთლისა.
III — რანჩევსკის ლექციები. (ნათ.) თ. ვას. მაჩაბელისა.
VI — სხუა და სხუა ამბავი.


---


ტფილისს.

ქერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ცისკარი

## ქართული

### სალიტერატურო ჟურნალი.

გამოცემა ივ. კერესელიძისაგან.

მაისი.

წელიწადი მეშვიდე.

«თუ შეიყვარო სმენად.—მიითვალე, და უკეთუ მიუპყრა ყური შენი,—ბრძენ იქმნე.»
(წიგ. ისო. ზირ. თავი **6**. მუხ. **34**,)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1863

---

# ნაწილი 3.

## თავი I.

### გამოსალმება.

ალექსანდრას ეძინა თავისს საწოლში.

გვერდით უსხდნენ და იღვიძებდნენ იმისი გამდელი, ხანში შესული დედაკაცი, და მარიკო. წესათ ჰქონდათ დადებული: ყოველღამე მამლისყივილამდინ, გამდელი და მარიკო იღვიძებდნენ მანამ ისი ღრმა ძილში შავიდოდა; მერმე გამდელი გავიდოდა თავისს საწოლში დასაძინებლად; მარიკო კი იქვე მიეგდებოდა, როგორც მოხუჭდებოდა, თუმცა ქალბატონისაგან ბძანება ჰქონდა, ულოგინოთ არ დაწოლილიყო.

ღამის თევაში, მანამ ალექსანდრა დაიძინებდა, გამდელი ათაში ერთხელ იტყოდა რომელიმე ზღაპარსა, ან ძველ დროის ამბავსა; უფრო ხშირათ მარიკო მოუდა-ლაკათ დროს ატარებინებდა საყვარელს ქალბატონსა, ხან ხუმრობით, ხან წიგნის კითხვით.

აქ საჭიროთ ვსცანით ვაცნობოთ მკითხველსა. რომ

ალექსანდრამ გაზარდა, გაასწავლა და გონებაში ჩაგდო მარიკო. ალექსანდრას ერთის მხრით ეთაკილებოდა ცუდი, გაუზდელი, ან გარყვნილი მოსამსახურე არა ჭყოლოდა, მეორეს მხრით მარიკო, თუმცა მოსამსახურე იყო, მაგრამ ებრალებოდა: უსწავლელი არ დარჩენილიყო. ამიტომაც ასწავლა წიგნი და წერა, თავისუფლათ გადმოღება ქაღალდზე აზრისა; ასწავლა ზრდილობა, და როგორც იტყვიან, სიტყვა-პასუხი, გავლა-გამოვლა, ადგომ-დაჯდომა, საქმე: კერვა, ქსოვა, გამოჭრა, ყოთ.. ნამეტნავათ ალექსანდრა ცდილობდა ჩაეგონებინა, რომ ქალი არ არის დაბადებული, როგორც სამკაულობა, დასაკმაყოფილად ვაჟის გულის თქმისა და რომ ქალი და ვაჟი ღირსებით და პატივით თანასწორი არიან, და მამასადამე ქალმა არ უნდა დაიმცროს თავისი თავი იქამდინ, რომ ვაჟს საშუალობით მიაჩნდეს ისი, როგორც მიაჩნიათ თათრებისა. ალექსანდრა მისწრფედა თავისს სწავლეს: მარიკოს გაეხსნა გონება და ცხადათ შეიგნო იმან თავისი ღირსება და პატივი, რომელსაც უფთხილდებოდა სრულის ენერგიით, როგ რათაც ნამებსა, ლეკეთისაგან მინიჭებულებსა. ესრეთ თავისს თავის გამოცნობას მარიკო თვით საქმით ამტკიცებდა, ამიტომაც უყვარდა ისი ალექსანდრას; ამიტომაც მარიკოსაც გაგიჟებით უყვარდა ქალბატონი, იქამდინ რომ ჯვარს არ იწერდა როსტომზე. მანამ თუმან ალექსანდრა არ გათხოვდებოდა; ალექსანდრამ ნახა რა მარიკო იმ წერტილზე მდგომარე, რომ თავისს თავს, ქმარსა და შვილებს კარგა მოუვლიდა და უპატრონებდა, მისცა ნება ქმარი შეერთო, რადგანაც

იმისი საკუთრება იყო და არც დედამამა დაუშლიდა, მხოლოთ იმ პირობით, რომ ან მოეცადნა მანამ ის გათხოვდებოდა — ანუ ეძნელებოდა მასთან მოშორება! — ან რაოდენიმე ხანს დარჩენილიყო იმასთან, ქმრის ხელშიაც, მანამ შეეჩვეოდა და მოითმენდა უიმისობას. მარიკომ პირველი პირობა ირჩია, ეს იყო მიზეზი, რომ ისი ჯერ არა თხოვდებოდა.

იმ ღამესაც, როგორც კვლავ, გამდელი წაიდა დასაძინებლად. მარიკომ კარები ჩაკეტა და დაიწყო ახლად გამოჭრილ მოვის კაბის კერვა. კერვაში ისე ფიქრობდა და ხშირათ ამოიოხრავდა ხოლმე. ფიქრში და ხელსაქმეში ისე იყო გართული, რომ გათენება ვერ გაიგო. ნახა რა, რომ ქალაქს მოჰფენოდა დილის ნათელი, უცებ წამოხტა, თავი გაისწორა, სანთელი გააქრო და დააპირა წასვლა. ხმაურობაზე ალექსანდრამ გაიღვიძა.

—სად მიხვალ, მარიკო?—ჰკითხა ალექსანდრამ, და თვალებზე ხელი გადისო.

—გათენდა, ქალბატონო! დროა ჩემი ადგომისა; თქვენ კი მოისვენეთ.

—მაინც აქედამ რათ მისდიხარ? მარტო ვრჩები.

—მიხაკო პახოდში მიბძანდება და როსტომიც მიჰყვება თან, —თქვა მოახლემ სალვლიანად.

ალექსანდრას ელდა ეცა, გულმა ცემა დაუწყო, ფერმა გადაჰკრა; მაგრამ ქალი მაშინვე დაგულისხმდა და რომ არ შეეტყობინებინა მარიკოსთვის გულის მოძრაობა, გამხნევდა და გადაბრუნდა მეორე გვერდზე.

—ეგრე გაუფრთხილებელი როგორა ხარ, მარიკო, რომ

გულის ძილში ვიყავ და ხმაურობით გამაღვიძე.—უთხ-რა ალექსანდრამ დაბალის და ნაზის ხმით, თჳთქოს ეშ-ინოდა, ხმის განკალი არ გამოეღვიძებოდა.

—მამიტევეთ, ქალბატონოჯან, თქჳენ სახელს ვენაც-ჳალე.—მოახსენა მარიკომ შეწუხებულის სახით: ეს რა ღმერთი გამიწყრა! ოჰ, გონება როგორ დავკარგე!

—ნუ სწუხარ, მარიკო! გადმოსძახა ალექსანდრამ პირ-იქით მწოლარემ: ისევ საჩქაროთ დაგეძინება. მე აღარ გემდური.

—გენაცჳალოს მარიკო, რომ ეგეთი შაქარზე უტკბე-სი ზმანებით!—ოჰ!. ...

—რაზე ამოიოხრე, მარიკო? ჰკითხა ქალბატონმა.

—მიხაკო რომ მიდის საომრად.

—რავქნათ! საცა უნდა წავიდეს მიხაკო! შენ რათა ოხრავ?—ჰკითხა ალექსანდრამ, რომელიც ამ ჟამათ გად-მობრუნდა ისევ და რომელსაც აღარ ეტყობოდა ცვლილება სახეში და აღარც გული უცემდა.

—იმაზე მოგახსენე, რომ როსტომსაც თან წაიყვანს, მოახსენა მარიკომ,

—მაგაზე რათა სწუხარ, მარიკო! მაგისთჳს რათა ოხრავ! რატო არ იცი, ღჳთით არა იქნება რა. თუ როსტომი შენი ბედია, უთუოთ დაგიბრუნდება მშვიდ-ობით, და თუ არ არის შენი ბედი, რაღა გაეწყობა! ღჳ-თის განგებას უნდა დამორჩილდე.

—მართალი ბძანება გახლავს, თქჳენი ჭირიმე, მაგრამ გული რომ ვერ ითმენს!

ეს სიტყჳა იელივით მოხჳდა ალექსანდრას გულს,

რომელიც აუწქროლდა და რომელმაც აგრძნობინა, თუ რა ძნელი იყო მისთჳს მიხაკოს გაშორება შორს ქუე-ყანაში, სადაც ყოველ წამს იქნებოდა განსაცდელში. ამი-ტომაც შეაბრალა საწყალი ყმაწჳლი გოგო.

—შეუყურება, მარიკო, შეუყურება, უთხრა ხმის კანკა-ლით ალექსანდრამ: წადი და გამოესალმე როსტომსა, გზა დაულოცე და ევედრე ღმერთსა მშჳდობით მოგზაუ-როს.

მარიკო სიხარულით აღთრთოლილი წავიდა როსტომის სანახავათ.

მანამდინ ძალის ძალათ შეკავებული გული. ალექსან-დრამ ველარ შეიმაგრა და გადმოყარა მსხვილ მარგალიტივით ცრემლები. ქალი სტირს უნუგეშოთ; იწმინდს წმინდა ბატისტის ხელსახოცით ცრემლებსა; ერთ რიგს ცრემ-ლებს მოიწმენდს, მეორე რიგი მაშინვე გადმოსცჳვა მშჳენიერ თვალებისაგან დახატულ ლოყებზე, და მესამე რიგი, ბრილიანტებრ, აურია გძელ წამწამებზე და აში-რებულ დასცჳვდნენ,.. რომ დაგენახათ მაშინ ალექსანდრა, თქუენც უნებლიეთ, უგრძნობლად, უარაროდ გადმოგცჳ-ვდებოდათ ცრემლები! თქუენ ნახავდით ანგელოზებრივ სახესა, მასთანვე გულ მტკივნეულსა, რომელიც გეჩუე-ნებოდათ მგზავსად განშორებულ ბრწყინვალე ვარსკვლა-ვისა!

ქალი წევს მარჯუენა მხარზე; ქალი ერთმანერთში დაჭკეტს ორისავე ხელების თითებსა. თჳთქოს მუნჯათ ლოცულობს, თჳთქოს გონებით და გულით ღმერთთან არის, თჳთქოს რაღასაც ევედრება!... აჰა, გვნესა გული-

სა მას დაუდგება, ცრემლი შეუმსუბუქებს მწუხარებას, დაუმშჳდებს გულსა, ჰბადავს მასში სასოებას... მერე მირს დაიხედავს, ყოველივე ციური დაავიწყდება, ფიქრობს, გულზე ღრუბელივით ნაღველი გადაეფარება წუხს, იტანჯება, იქენჯება, იღალება, მოსწყდება, თავს ბალიშზე გადააგდებს როგორათაც გულში ტყჳთ დაჭრილი ტრედი. ამ მდგომარეობაში არის რავდენიმე ხანი, თჳთქოს სული არ უდგას, არასა ფიქრობს, არასა გრძნობს... მსწრაფლ გამოფხიზლდება, მარჯუენა იდაყვზე დაეყრდომება, ფიქრობს, სჯის, იტყჳს:

« ნეტავი შენ მარიკო, და კიდეც ვიტყჳ: ნეტავი შენ! შენ ხარ ბედნიერი, სრული ბედნიერი; ამიტომ რომ გამოესალმები შენს დანიშნულსა, ერთ სიტყუას ეტყჳ იმას, რომელიც მას დაახსოვდება, გულში დაინერგავს და გინა მოკლან კიდეც ომში, სიტყუას თან წაიღებს საიქიოს; ის გეტყჳს შენ სიტყუას, რომელიც შენ დაგ-რჩება საუკუნოდ სანუგეშოდ. მედა?! ვინ მეტყჳს იმ მანუგეშებელს; მაცოცხლებელს ერთ სიტყუასა! ვის ვეტყჳ მე ჩემ სიტყუას, რომ დარჩეს იმას საუკუნოდ. ჩემ სახსოვრათ! ოჰ, მარიკო! ას წილ ჩემზე ბედნიერი ხარ!

« მე ხომ არ ვდრტჳნავ?!—ვიფიქროთ:

»მარიკოს დავნატრი იმ ბედნიერებას, რომ გამოესალმება თავისს დანიშნულსა. მე ვწუხარ, ასეთი ბედნიერი რომ არა ვარ. ნუ თუ ეს დრტჳნვაა?—არა მგონია, არა დრტჳნვა არ არის. დრტჳნვა მძაგს, სათაკილოა, ამიტომ რომ ამდაბლებ კაცს თავისს თუალწინ. ეს არის მხოლოდ ჩემი ვანუსჯელი მწუხარება, მეტი არა არისრა!

ნუ თუ საფუძვლიანია ჩემი მწუხარება?—არა მგონია.. ლიალ. საფუძვლიანი არ არის...,.. მე შევცდი. ჩემი სურვილია, არავინ გაიგოს, თჳთქმის თჳით მიხაკომაც, რომ ისი მიყჳარს, თუმცა ოსტატურათ მაფარია სქელი პირბადე და ვეჩჳენები ყველას სხჳა გჳარ, ასე რომ ვერავინ შამამჩნევს ამ პირბადის ქჳეშ ჩემ გულის აზრსა, მაგრამ მიხაკო კი მიმიხჳდა ამ აზრს, სწორეთ ისე როგორც მე მივხვდი იმისს აზრს. ორივეს გული ერთის აზრით, ერთის გრძნობით მოძრაობს. ეს ის დიდი სიტყჳაა, რომელსაც ვნატრობდი, რომელიც მე მიხაკოსაგან გავიგონე და მიხაკომ ჩემგან გაიგონა. მე იმას მოვტაცე გული, იმან მე მამტაცა, ანუ სწორეთ, ჩჳენი გული ერთმანეთს გადაებნენ. ნუ თუ ენით გამოთქმული სიტყჳა ამაზე კიდევ უძლიერესი იქნება?—არა მგონია.... და ესრეთ, მე უთხარ მიხაკოს სიტყჳა, რომელსაც ისი ნატრობდა, იმან მე მითხრა სიტყჳა, რომელსაც მე ვნატრობდი და ეს სიტყჳა, გულის გამაცოცხლებელი, სულის განმანათლებელი, გრძნობათ დამატკბობელი დაგჳრჩება ჩჳენ საუკუნოდ და მით ვიცოცხლებთ. ამის შემდეგ რაღა საჭიროა პირადი გამოსალმება, ამიტომ რომ ჩჳენ ეხლა ერთმანეთთანა ვართ გულით და, სადაც უნდა წავიდეს მიხაკო, მაინც კიდევ განუშორებლივ ყოველ წამს ერთათ ვიქნებით.....

«მაგრამ ეს სჯა ცივის გონებისა სრულიად არ ეკარება, სრულიად აგრილებს გულსა. გული არ ემორჩილება გონებას და თხოულობს თავისას. საცოდავი გული იქჯნება, იტანჯება, რომ ხორციელათ არ აკრავს მას

მიხაკოს გული! . . . . . არა. უნდა დავემორჩილნეთ გარემოებას. ამ შემთხვევაში გულს არ უნდა ავყვეთ, გონების რჩევაზე უნდა დავდგეთ. საკმაოა თუ ჩემი გულის აზრი მიხაკოსთან არის. და იმისი ჩემთან! ძლიერ საკმაოა!..... ოჰ!. არა .. რავქნა გული ასე რათ მიცემს!... რას გავსულელებულვარ! ასე რომ მივყვე ფიქრებს, იქნება დამემართოს რამ.. . »

ეს რომ თქვა. საჩქაროთ წამოხტა ჩვენი ალექსანდრა, ტანით ჩაიცვა და დაჯდა საიდუმლო ლოცვაზე.... ლოცვაში ქალი გამლიერდა. ნუგეშით აივსო, აღელვებული გული დაუმშვიდდა, გონება გაუნათლდა, მწუხარებას აღარ გრძნობდა, გრძნობდა მხოლოთ გამოუთქმელ სიატკბოებას....

ლოცვის შემდეგ ალექსანდრა დამშვიდებულის სახით და გულით დაჯდა ფანჯარაში, რომ დაენახა, შორიდამ მაინც მიხაკო. რომელსაც ის გაივლიდა გალავნის ქუჩაში, რომელიც პირდაპირ სჩანდა ფანჯრიდამ. ალექსანდრა გზას ულოცავდა მიხაკოს და ფიქრში ესალმებოდა.

## თავი Ⴁ.

## წასვლა.

მაშინ, როდესაც მარიკო სანთელზე იკერავდა კაბას და ფიქრობდა ხან თავისს როსტომზე, ხან ალექსანდრაზე და მიხაკოზე, როსტომი წავიდა ფოჩტის ცხენების მოსაყვანად, ის იყო კიდეც ირიჟრაჟა.

მიხაკო იყო სერთუკით, დივანზე გადასვენებული, ღრმა ფიქრში წასული, მოშლილი, უგულოთ.—თავისს თავს არა გვანდა! წინ ედგა სტაქნით ჩაი და სამოვარი, რომელიც დუღდა და მეტის სიცხარით გარეთ სცემდა ცხელს ორთქლსა. მიხაკოს შეუჰარებული კაცი მიამზგავსა ადუღებულ სამოვარსა. მზგავსად სამოვრისა,—ფიქრობდა ისი,—კაცს უკეთიათ სიყვარულის ცეცხლი, რომელიც აძლებს გრძნობებს, გრძნობები კი მანამ არ დამშვიდდებიან, გულს ავოხვრებინებენ.

მართლადაც მიხაკო ხშირათ ოხრავდა. დაჯდებოდა ოხრავდა, გაივლიდა ოხრავდა; მხოლოთ ოხვრა მისი იყო წყნარი, ნაზი, სუბუქი და არ მიემზგავსებოდა დედაკაცის მძიმე და მოუთმენელ ოხვრასა.

რასაკვირველია მიხაკოს ჰქონდა მიზეზი ოხვრისა და ეს მიზეზი მით უფრო აოხრებდა იმას, რავდენაც შორს იყო მისგან. ჩვენ ვნახეთ, რომ ალექსანდრა გულით ძლიერ ახლო იყო იმასთან; მაგრამ მიხაკოს ეს სრულიად არ სჯეროდა და თუ რომ ეჭვს არა ჰქონებოდა ისი, ოხვრის მაგიერ, სიხარულით გადაირეოდა.

სულ ნახევარ საათი აღარა რჩებოდა და ამ ტკბილის და მასთანვე მწარის ნახევარ საათის უკან მიხაკო უნდა გამოსალმებოდა ქალაქსა, ნათესავებსა, მეგობრებსა და ნამეტნავათ ალექსანდრასა. უკანასკნელისათვის სურდა მას ჩაებარებინა თავისი გული, მაგრამ ის,—იმისის ფიქრით, შორს, ძლიერ შორს იყო მისგან.

---

როსტომი დაბრუნდა ცხენებით და კალონიის პარში-

ვე შეხვდა მარიკოს, რომელიც იმასთან მიდიოდა.

—მარიკოჯან, შენა ხარ! უთხრა როსტომმა დაღონებით: მაიტყვე რომ ეხლა, ამ საათს მახოლში მივდივართ?

—ვიცი, როსტომჯან! შენ კი გენაცვალოს მარიკო, ნუ სწუხარ! იმედი მაქვს მშვიდობით დაბრუნდეთ ორ თვეზე.

—როგორი გულგრილი ყოფილხარ, მარიკო! შენმა სიცოცხლემ მიკვრის!

—განა მე კი არა ვწუხარ! განა გული არ მერღვევა! მაგრამ, აბა რასა ვიქთ! რა მაგვიძლია! ნუ თუ მიხაკოს თავს დაანებებ!?

—ღმერთმა დამიხსნას უგუნურობისაგან, რომ მე მიხაკოს ერთი საათს არ მოუშორდე! მაგრამ მე ვწუხარ, შენ რომ გშორდები.

—არაფერია, როსტომჯან! გონება დაიყოლე და—ღმერთიც შეგეწევა. ორი თვე, როგორც ერთი დღე, მალე გაირბენს. მალე ვნახავთ კიდევ ერთმანეთსა, ნუ სწუხარ, როსტომჯან!

—მე გული მითქვამს, მშვიდობით დაბრუნდებით.—უთხრა გულის სიმაგრით როსტომმა; როსტომსაც, თუთქოს, ნუგეში უცებ საიდამაც მიეცა.

—ღვთით. იმედი მაქვს მშვიდობით მოხვიდეთ; მაგრამ გაუფთხილდი ბატონსა.

—რა თქმა მინდა! თვითან ჩემმა ბატონმა კარგა იცის, როგორც მე იმისი მომლელი ვარ. მაგრამ ომში შეუპოვარია, უშიშარია, ზარბაზნის ტყვია თოფლის გუნდ-

ათ მიაჩნია, თოფის ტყვია—კენჭებათ. თითქოს კენჭაობას, თამაშობს ომში,—ასეთი გულადია!

—არ შეიძლება, ომში არ დაესწროს?

—როგორ შეიძლება! ზარბაზნები მაგას აბარია და ზარბაზნით ომი უფრო საშიშია, ვიდრე თოფითა. ამასთან მტერი ყოველთვის ცდილობს წაახდინოს მოპირდაპირეს ზარბაზნები, რომ გამარჯვება იმას დარჩეს.

—შორს ხომ დადგება, ასე რომ ზარბაზანი იმასთან ვერ მისწვდეს!

—საქმეც ეგ არი, შორს ვერ დადგება: შიგ ზარბაზნეებში უნდა ტრიალებდეს.

—რა საშინელება იქნება, ოჰ ღმერთო! მაშ რა ეშველება მახსაკოს!

—ღმერთი თუ უშველის, თორე იქ კაცი როგორ გადარჩება სიკვდილსა! ორმოციათასი თოფის ტყვია სეტყვასავით მოდის; ზარბაზნის ტყვია ხომ სისხლს უშრობს კაცსა. ამის გარდა, ომი საშინელია უფრო მაშინ, როდესაც მტრები ერთმანერთს დაერევიან შტიკებითა და ხმლებითა. არ შეიძლება წარმოიდგინო, მარიგო, რა ჯოჯოხეთია ომი! რა შაშიშარია, რა გამმუსრავია ომი!

—მაშ როგორღა გადარჩებიან ხოლმე ომში? ჰკითხა შიშით გადაფითრებულმა მარიკომ გულის კანკალით.

—აბა მანდა სჩანს ღვთის ძალი, მარიკოჯან! ორმოცი ათასი თოფი და ორმოცი ზარბაზანი ერთად, ერთ წამს გავარდება და იმათგანი ორი ან სამი ძლივ მოხვდება კაცსა.

—მართლა შენი ჭირიმე, როსტომჯან! შეჰყვირა სიხარულით მარიკომ.

—მართალს გეუბნები, შენმა სიცოცხლემ, მარიკო! თუ ასე არ იყოს, გიდა მოკვა ცოცხალი!

—შენ ტკბილ ენასკი ვენაცვალე, როსტომჯან, რომ გული გამიხარე თორე კინაღამ აქვე წავიქეცი შიშისაგან და ელდისაგან.

—შენ რისა გეშინიან?

—შენი როსტომჯან!

—მე არა დამიშავდებარა! ნუ სწუხარ! მე ომში არ დავესწრები!

—მაშ მახაკოს თავს დაანებებ?

—თუნდა თავიც არ დავანებო აბა მე რას უშველი! მაგრამ ჩვენ ნებას არ გვაძლევენ დავესწრათ ომში.

—იჰ! —ამოიოხრა მარიკომ: ნეტავი შენც მახაკოსთან იყო! იმასთან რომ იყო, ვინიცობაა, ან დასჭრან, ან დაეცნენ, შენ მიეშველები, გამოიხსნი სიკვდილისაგან.

—მადლობელი ვარ, მარიკო, ეგეთი კარგი გული რომ გაქვს! შენმა სიცოცხლემ, მიხარიან! მაგრამ ნუ გეფიქრება, მახაკოს არა დაუშავდებარა; მშჳდობით მოვალთ.

—ღმერთმა ინებოს, ღმერთმა! იმედი მაქვს, ღმერთი არ მაინდომებს თქვენს უბედურობასა, რომ ჩვენ არ გაუბედურდეთ.

—ვინა ხართ ეგ თქვენ?

—მე და ჩემი ალექსანდრა.

—ალექსანდრას რადა აწუხებს!

—რას ამბობ, უმაწვილო! აკი გითხარ, ალექსანდრა მინდა შევრთო მეთქი მიხაკოსა!

—ეგ შენ გინდა; იმათაც უნდათ?

—უნდათ, შენმა სიცოცხლემ, უნდათ, თუმცა ვერც ერთს ვერ გამოუცხადებია.

—შენ როგორ მიხვდი?

—მე მივხვდი!

—გულთმისანი ყოფილხარ, მარიკო!

—რა საჭიროა გულთმისნობა, როდესაც ჭკუით ყველას მიხვდება კაცი, თუკი მაინდომებს...

---

მიხაკომ ზარის ხმა რომ გაიგონა, ჯერ კი ერთწამს ჭმუნვას დაუმონავა გული, მაგრამ საჩქაროთ ჭმუნვა გადაყარა, გამხნევდა და დაეშურა წასვლად.

როსტომი ბარგს ეზიდებოდა და ალაგებდა ტარანტასში.

მარიკომ, რომელიც შეჰყურა როსტომს, მოიკითხა მიხაკო.

—აბა, მარიკო, რას იტყვი, როსტომი რომ მიმყავს ოსმალოშა?—ჰკითხა მიხაკომ მხიარულათ.

—თქვენი ნებაა, ბატონო! მე რა შემიძლიან! თუნდ შემეძლოს კიდეც, აბა ისე როგორ გავბედავ, რომ მოგაშოროთ როსტომი, რომელიც ეხლა უფრო საჭიროა თქვენთვის.

—ემადლობ, მარიკო, მაგ გრძნობისათვის. იმედი მაქვს ჯერ ღვთისა, მერმე შენის ლოცვისა, რომ მშვიდ-

ობით დავბრუნდეთ. მაშინ კი. . . .

მარიკომ აღარ გაათავებინა სიტყჳა მიხაკოს, რომელსაც მოახსენა:

—მარტო ჩემი ლოცჳა რას შეგეწევა; არის ერთი ადამიანი, რომლის ლოცჳას ღმერთი შეისმენს და თქჳენ მშვიდობით მობძანდებით.

—უჰ, ეგ რა ძლიერი მეოხე მყოლია! ვინ არის, რომ წავიდე და ხელები დაუკოცნო! მაშ ეხლა აღარა მ..ჭირსრა!

—ვითამ არ იცით!

—გარწმუნებ, არ ვიცი.

—იცით, თქჳენ სიცოცხლეს ვფიცავ, იცით!

—ახლა როგორ დაგარწმუნო რომ არ ვიცი.

—იცით, ბატონო, იცით!

—რომ აღარ ვიცი, რა პასუხი მოგცე! აბა ვინ გითხრა, ვინ არის!

—სახელი თქჳი.

—ვისი სახელი ვთქო! ჯერ უნდა ვიცოდე, მერმე.,....

—ჩამოთვალეთ, ვისაც იცნობთ.

—რომელი ერთი ჩამოვთვალო! ათასს კაცს ვიცნობ!

—თუნდ ჩემი ბატონებიდამ დაიწყეთ.

—ოო, იმათგან კი მრწამს, ისინი ჩემთჳს ილოცვენ,—ასეთი კარგი ბძანდებიან!

—განსაკუთრებით რომელი უფრო მხურვალეს გულით ილოცავს?

—კონსტანტინე?

—კონსტანტინემ კარგა არ იცის ლოცჳა.

—მარიამი?

—ისი ილოცავს, მაგრამ ისე არა, როგორც სხვა.

—მარიკო?

—მარიკოზე უკეთესი დავრჩით.

—აბა ვინ?

—თქვენა ბძანეთ.

—აღარ მახსოვს.—ბარბარე?

—არა, არა! ერთი კიდევ დავრჩით.

—რავქნა, ვინ უნდა იყოს? ალექსი... და აღარ დასრულა მიხაკომ ალექსანდრას სახელი, რადგან ვერა ჰბედავდა იმისი სახელი ეხსენებინა. მიხაკო ძლიერ შეწითლდა.

—ჰოო! შეჰყვირა მარიკომ მხიარულად: ეხლა გამოვიცანით...

მიხაკო გავიდა გარეთ ტარანტასის დასახედავათ.

მცირე ხანს შემდეგ დაბრუნდა ოთახში მიხაკო; იმას შეხვდა ბარბარე, რომელიც უამბობდა თეიმურაზის ამბებსა.

—... ეს არის მეც ეხლა მივდივარ სოფელში, მიხაკოჯან, რომ მამული ჩავიბარო. იმ ღვთის მტერმა ესე კი დამტანჯა!

—აქამდის რატო არ მითხარით! მამიდას მზემ, მე გაცნობებდი თავს ვიღაცა თეიმურაზისას! ეხლა რაღას უშველი. მაგრამ თუ მშვდობით დავბრუნდი, თქვენ ნახავთ იმისას თამაშას!

—გულს ნუ იშფოთებ. შენ სახელს ვენაცვალე, მიხაკოჯან განა ისი ღირს იმოდენად რომ ასე გადმა თქვენს რამე იმაზე, იმ კაცთ არა მსგავსზე! გული დაიმშვიდე.

ღმერთს აქჳს სამართალი და გადახდება კიდეცა.

—ღმერთი კაცის ხელით გადახდევინებს ბოროტმო-ქმედსა.—უპასუხა მრისხანებით მიხაკომ; იმისთანა უმზგავსმა დაამცროს ქალი თავისი ოჯახის წინ—მხეცი, ნადირი უნდა იყოს და არა კაცი! ახ, ნეტავი შემეტყო!...

—აბა მაგიტომაც არ გითხარი, შენმა სიცოცხლემ მიხაკო! ჩემი სურვილი ის არის, რომ შენ არ შეებასო იმ მხეცს. იმ ტყის დათვს, ისიც კმარა, თუ გინახავს აქჳს ერთ გამოჩენილ სახლში რომ დაუმტკიცებია ამის თავისი რეგვენობა. რეგვენია, მიხაკოს მზემ. რეგვენია! თუ მშ-ვიდობაა და მშვიდობით გნახავთ კიდევ ერთმანეთსა, მაშ-ინ გაიგებ დაწვრილებით იმისის უგუნურ ამბებსა, და იმასაც, როგორც მე ისი შევარცხვინე, დავამარცხე.

—მაინც კიდევ მაგითი მე კმაყოფილი არა ვარ! თქ-ჳენ თქჳენი გიზღვევიათ, მე ჩემი უნდა ვიზღვიო, მაგრამ ჯერ დრო არა მაქჳს ამაზე ვიფიქრო! ოდესმე-იქნება....

—მზათ გახლავს,—მოახსენა როსტომმა მიხაკოს.

—მეც მზათა ვარ—მშვიდობით მამიდა! ბარბარე და მიხაკო გადაეხვივნენ ერთმანეთს. ბარბარეს ცრემლები გადმოსცვივდა.

—მშვიდობით, შენი ჭირიმე მიხაკო! ღმერთსა ვთხ-ოვ მშვიდობით დაბრუნდე შენის დედმამის სანუგეშოთ, და მამიდის სასიცოცხლოთ. შენ გენაცვალოს, მამიდა შენი, წიგნი მომწერე ხოლმე....

მარიამ და როსტომიც გამოესალმნენ ერთმანეთსა. საცოდავობით აივსო, ვინც კი ნახა ამათი გამოსალმება.

**съ богомъ!** უბძანა კუჩერს მიხაკომ და პირჯუარი გამოისახა.

— **съ Богомъ ребята!** დაჰკივლა ცხენებს კუჩერმა და ტარანტასი გაექანა ქალაქის ქუჩებში.

ალექსანდრას სახლს რომ დაუახლოვდა, მიხაკომ შეხედა იმისს ოთახის ფანჯარას ალექსანდრამ შეასწრო თუალი მიხაკოს და უთხრა. «ღმერთსა ვთხოვ მშვიდობით დაბრუნდეთ»

თავი Ⴅ.

## გადაწყვეტილება.

იმ დილას კონსტანტინე და მარიამ იხსდნენ ცალკე ოთახში, ტახტზე რომელიც დაფენილი იყო ხალიჩითა და ქეჩითა.

კონსტანტინე იჯდა მოკეცილი, ახალუხით, და სწევდა ნადიმათ ჩიბუხსა. მარიამ გვერდით უჯდა, ეგრეთვე მოკეცილი და მარცხენა ხელით ათამაშებდა ქარვის კრიანოსანსა.

კონსტანტინეს სრულიად არ ეტყობოდა, რომ ყოფილიყო რომელიმე ფიქრით გართული. მარიამკი იყო დაფიქრებული და თვითონ ცდილობდა გადაეწყვიტა რაღაცა საგანი.

ბოლოს მარიამმა მოსწყვიტა მდუმარება.

— ღლეს უთუოთ გამოიტან პრიგაზიდამ ფულსა? ჰკითხა მარიამმა მეუღლესა.

ძიძა, დღეს მივიღებ, უპასუხა კოსტანტინემ: ამიტომ უფრო ვაშურებ ფულის გამოტანასა, რომ დროა ალექსანდრას გათხოვებისა.

—შენც მანდ გახლავარ, შენი ჭირიმე. ჩემი ფიქრიც ეგ გახლავს: ემაწვილი ქალი თუ წლეულად დაგვრჩა გასათხოვარი, მერმე უფრო, რამდენიც ხანში შევა, დაგვიმძიმდება იმისი გათხოვება. მაგრამ ჯერ საქმრო უნდა ავარჩიოთ, მერე ფული გამოვიტანოთ; თუ არა, შენი ჭირიმე, აბა რას ეგეშინება, ან რა სასარგებლო იქნება, რომ ფულს ეხლავე გამოვიტანთ და სასიძო არსად გვეყოლება ხელის ჭუჭყია, როგორც იტყვიან, ფული; შამოგვეხარჯება, ასე რომ ვერცკი გავიგებთ.

—მართალია, მარიამ, შენმა სიცოცხლემ; მაგრამ ესეც მოისმინე, თუ მზითევი მზათ არ ექნება ქალსა, აგრე რიგათ ვერავინ გაბედავს იმისს შერთვას.

—მაინც გეყოლება მხედველობაში ემაწვილი კაცი. მიბძანე.

—შენი თავი არ მამიკვდეს, მამა ჩემი არ წამიწყდეს, კოსტანტინეს არავინ არ აურჩიოს თავის გულში სასიძოთ. აბა რას მიბძანებ, მარიამ, შენი ჭირიმე, მე როგორ ვისმე შევეხვეწები!

—შეხვეწნაზე არ მოგახსენებ, შენი ჭირიმე. ჩვენ ვის უნდა შევეხვეწნეთ!... მე იმას მოგახსენებ. იქნება რომელიმე ემაწვილი კაცი უფრო მოგწონდეს.

—ეხლანდელ ემაწვილ კაცებში მე უფრო მამწონან მიხაკო და თეიმურაზ.

—კეთილი. ეხლა მიბძანე, შენი ჭირიმე: მაგ ორში

ვინ უფრო მოგწონს? ჰკითხა მარიამმა კონსტანტინეს დაფიქრებით.

—სწორე მოგახსენო, ჩემო ბატონო, გული უფრო მიიქამს მიხაკოზე.

მარიამ დაფიქრდა.

—თეიმურაზიც არ არის დასაწუნი,—განაგრძო კონსტანტინემ: მაგრამ მიხაკოზე გული შემვარდა.

—მოგახსენო —უპასუხა მარიამმა: დედამა მოვალეა შვილის, თუ შესაფერ მეუღლეს ვერ აურჩევს. მხოლოთ გარეგნათ არ უნდა მოგეწონოთ ყმაწვილი კაცი; საჭიროა გიქონოთ მხედველობაში შეძლებასაც, ზრდილობასაც, ცოდნასაც და ხასიათებიცა. ჩემი ალექსანდრა რომ ჩაუარდეს მოუხეშავ კაცსა, ან ღარიბსა, როგორღა იცოცხლებს! მეც ხომ მზათ უნდა მქონდეს სამარე გათხრილი!

—ღმერთმა დამიხსნას, მარიამჯან, მაგ საშინელებისაგან! მიუგო მამამ კონსტანტინემ: ალექსანდრა.—ოჰ, ღმერთო,—ალექსანდრა რომ ჩაუარდეს ცუდ კაცსა!..

არა, ჩემო მარიამ, ნუღარ გამაგონებ, შენი ჭირიმე, უსიამოვნო სიტყვასა! ეგრე არა მყავს გაზრდილი ჩემი ალექსანდრა, რომ მხეცს მიუგდო საწმებლად!

—მეჰ ეგ მიყენებს და არ შემიძლიან ერთ აზრზე დავდგე თუ მივანებო ალექსანდრას, რომ თვითან აირჩიოს საქმრო.—რომელი ჩვეულება ჯერ საქართველოში არ შემოსულა.—მაშინ იქნება უფრო ცუდი დაემართოს. თვითონ მძიმე ხასიათისაა ალექსანდრა და ან სრულიად არავის მოიწონებს, ან, თუნდა მოიწონოს კიდეც, ვერ გამოაცხადებს, ან იქნება ისეთი აარჩიოს, თუ გაბედა

არჩევა, რომ ბოლოს ისინის.

—შენმა მზემ მარიამ, სჯობს ისევ მამაპაპის გულდ-ჭვე ვავიაროთ. ჩვენ ვიფიქროთ, ჩვენ ავარჩიოთ, და ვინც ღმერთმა გვაჩინოს. იმის შევრთოთ ალექსანდრა. ჩვენ კ თმასეთი რომ არ ავარჩიეთ, ერთმანეთი რომ სიყვარულით არ შეყვარეთ, ერთმანეთი რომ არ გამოვცადეთ. ვითამ რა ცუდი მოგვივიდა! ღვთის მადლით სიტკბოებით. სიყვარულით შეკრულნი ერთმანეთისაგნ ერთი მწარე სიტყვა არ გაგვიგონია. ჩვენ ვხედავთ მრავალ მაგალითს ევროპაში და სხვაგან. ვინც გაგიჟებულ სიყვარულით ერთმანეთს ირთვენ, იმათ უფრო ჭეთილი ბოლო არა აქვთ: მესამე დღესვე ერთმანეთი სძაგთ, ასე რომ ერთი აღმა მირბის და მეორე დაღმა ერთმანეთი რომ არ დაინახონ. ჩვენ, ქართველებს, სიყვარული წუნარწუნარა გვედევნება, მარდვებში გვიჯდება, თანდათან გვაცხოვლებს და საუკუნოთ გვიყვარს ერთმანეთი. შენმა სიცოცხლემ, მარიამ, მამაჩემი არ წამიყვანია, დილით სადამომდის რომ არ დავინახო, მე ჩემი დამემართება. ახალი მეცნიერები კი, თუმცა ხამდვილი მეცნიერები არ არიან. ამიტომ რომ მეცნიერებას გადამხტარან და მეცნიერებს, რომელთაც თავი მოაქვთ. უკან დარჩენიათ. მასხარათ გვიგდებენ. რომ ჩვენ უგრძნობლად ვირთავთ ერთმანეთს. უბედურებო, ჩვენი იმათი გრძნობიერი სიყვარული ერთობამათ დაუმჯობინოს ჩვენნს უგრძნობარ სიყვარულს! დიაღ, ხომ არ ნებავსთ! ჩვენ.. ჩვენებება, გარწმუნებ. სჯობია ახალ მოგონილ ჩვეულებასა.

—მაგასაც ნუ იმანებ, შენი ჭირიმე, უპასუხა მარიამმა

დამშვდებით: მე ვერ დავეთანხმები სრულიად. ჩვენშიაც და სხვაგანაც მრავალნი არიან კარგნი და მრავალნი ცუდნი; კარგი კარგს თუ შეხვდა, რასაკვირველია, ბედნიერ იქნებიან. მაგრამ ხშირათ მოხდება, რომ ცუდი კარგს შეეყრება, მაშინ კარგი ცუდისაგან იტანჯება. ცუდი კარგს რომ ასე ხშირათ არ შეხვდეს, მე ჩემის აზრით ვამჯობინებ: ქალს, არ არის ჯერი, მიეცეს სრული უფლება, მარტო თვით ამორჩევის საქმეში, ამიტომ რომ ვაჟკაცის ცხოვრებით მალე მოტყუვდება, რადგანც სუსტია და გამოუცდელი. მეორეს მხრით ქალიც ბრალია, თუ აურჩევენ სხვები გასუსვყელად. წინ დაუხედავად. გამოუმზადებლად საქმისა ამიტომ ამაც საჭიროა: ქალმა რომ აირჩიოს საქმრო, მშობლებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა არჩევაში, ესე იგი, გამოსცადონ. გამოიკვლიონ ხასიათები არჩეულის ვაჟკაცისა, რადგანც ისინი უფრო გულდინჯად და დაკვირვებით გამოსცდენ სასიძოს, ვინემც სიყვარულით აფეთქილი ქალი. მაშინ რასაკვირველია ქალი უნდა დამორჩილდეს მშობლებსა, ნამეტნავათ თუ ქალი სრული წლოვანი არ არის, ამიტომ რომ ამ გვარ საქმეში უნდა მოქმედებდეს სრული ჭკუა, ესე იგი გამოცდილებით დაბრძენილი ჭკუა. რომელიც გასათხოვარს ახალ გაზდა ქალს შეუძლებელია ჰქონდეს, რადგანც ჯერ სოფლის გაუცნობელია, მაგრამ ჩვენი სჯა არ შეეხება ჩვენ საგანსა, ამიტომ რომ ალექსანდრა. როგორც მოგეხსენებათ იმისი ხასიათი, არა დროს, გულშიაც რომ ჰქონოდეს ვინმე არჩეული, თვითან არ გვეტყვის; ნამდვილად უფრო ის არის, რომ ისი ქმარზედ არა ფიქ-

რობს

—მაშ, როგორც მოგახსენე, ჩვენ უნდა ავირჩიოთ საქმრო. უთხრა კონსტანტინემ.

—დიაღ, შენმა მზემ!

—რომელი ავარჩიოთ: მიხაკო თუ თეიმურაზი?

—შენც მაგაზე მეურს მოვილაპარაკო. როგორ იცნობ მიხაკოსა? ჰკითხა მარიამმა.

—ერთის მეხვედვით კარგ ყმაწვილ კაცათ ვიცან; და ნაშთენი არა ვიცირა.

—მე მოგახსენებ, ჩემო ბატონო: მიხაკო შენც დიაღ საუცხოვო ყმაწვილ კაცათ ვიცან. ასე რომ ჩემ თვალში ისი უნდა გადემატებოდეს თეიმურაზსა საკვირით; მაგრამ წარმოიდგინე: მიხაკო სამხედრო კაცია. ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს ომებში, უბინაო და უსახლკარო გახლავს, ღარიბია, ხასიათებითაც, არვინ იცის როგორია, და რადგან ველათ უფრო ხშირათ იქცევა. ვიდრე სამოქალაქო საზოგადოებაში, იქნება ცუდიც იყოს. ალექსანდრას ამ გვარი ქმარი კარგა როგორც შეეფერება და გაზრდილა, ვერ შეინახავს. ხელს ვერ მოუწყობს, ვერ გაანებივრებს, საზოგადოებაში ვერ გამოიყვანს. მიხაკო საომრათ უნდა იყოს, ალექსანდრა კი მარტო იჯდეს, იმასს გზას შესცქეროდეს, ყოველ წამს გული უბრუნდებოდეს და მოელოდეს ცუდ ამბავსა, ითმენდეს ნაკლებულობასა ცხოვრებაში; საზოგადოებაში გამორჩეული, სიღარიბით დაჩაგრული. —ხომ გული გაუსკდა! მერმე ვინდა მოგ-ვცემს მეორე ალექსანდრას! რათა. რა გაჭირვება მაქვს, საყვარელი და სათუთი ქალი, ვარდივით გაფურჩქნილი,

ნებივრათ გაზრდილი ჩემის ხელით გადავაგდო, მივცე ყოველ გვარ და მოუთმენელ სატანჯველს. სიცოცხლით გავამწარო, ჩემის ხელით ცოცხალი დავმარხო!

—მაშ თეიმურაზს უნდა მივცეთ.

—ჩემის აზრითაც თეიმურაზი ძლიერ კარგია. ყოველისფერს უქებენ თეიმურაზსა: ზდილობასა, ხასიათებსა, გულსა, ენასა, სწავლასა, კაცობასა, ჩინსა, ჯამაგირსა, სიმდიდრეს ჩვენ ვიცით, ყმა და მამულით თეიმურაზი ერთი ათათათ მიხაკოზე ძლიერია, სახელი უდგას იმას ქვეყანაში კარგი და მშვენიერათ თურმე აქვს მოწყობილი; სადილები თურმე სამკაულის თვალს აჭრელებს კაცს; დედა ჰყავს კარგი და ჩინებული, ცხოვრება აქვს საუცხოვო, ორდენებით სრულია, და თან და თან წარმატებაშია შევა. რა დაგვიშლის, რომ ალექსანდრა არ მივცეთ ამ საუცხოვო კაცსა?!

—მე ქრის სხვისგანაც გამიგონია. ჩვენც უკეთესი სიძე აღარ გვინდა.

—უკეთესი ვინღა იქნება და ან სადარის. გვარით და ჩამომავლობითაც მიხაკოზე გამოჩინებულია.

—ქალს ჩვენ უნდა ვკითხოთ თეიმურაზს შეირთოს ჩვენი ქალი, თუ იმან უნდა გვითხოვოს?

—ათი დღეც არის რაც მთხოვს თეიმურაზი ალექსანდრასა. ლიოვსამეა შუამავალი და მოსვენება აღარა მაქვს მისგან.

—იქნება მართლა?

—შენ სიცოცხლეს ვფიცავ!

—პასუხი რა უბძანე?

—ჯერ გადაწყვეტილი არ მითქომს.

—ალექსანდრემ იცის?

—არა, ჯერ არიცის?

—საკვირველია, აქამდის ვერც მე შევიტყე. ვერც ალექსანდრემ.

—სწორეთ მოგახსენო, მე თეიმურაზ გულში არ მოუმდიოდა. იმედი არა მქონდა, რომ მივცემდი ალექსანდრესა, ამიტომაც არა ვთქვი რა, რომ უბრალოთ ეს ამბავი საქვეყნოთ არ გამხდარიყო; წუხანდელს აქეთ გადაწყვიტე და აი დღეს შეგატყობინე.

—უთუოთ თეიმურაზს უნდა მისცე ალექსანდრეს?

—უთუოთ.

—მაშ მეც თანახმა ვარ. ასე უპასუხა კოსტანტინემ მარიამსა, როგორაც იცოდა იმისი ხასიათი—რასაც განიგულებდა, შეუძლიან ვერ გადაათქმევინებდა.

ეს გადაწყვეტილება მარიამმა წიგნით ახარა ლიოვანიძესა. თვითონ კი ისე იყო გახარებული, რომ ალექსანდრეს გაუბედია, მაშინვე წავიდა ბაზარში სანიშნობო ტანისამოსის საყიდლად.

## თავი 4.

## ვიზიტი.

ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ გორჯასპი ნამდვილად იყო გართული საქმეში. ქრთამის მიღებამდის გორჯასპში განიზრახავდა, შესწყოდა თეიმურაზსა მხოლოთ ორიო

ოდე სიტყუო; მაგრამ როდესაც მიიღო ქრთამი, ისე ცხარეთ მოუჭიდა მიხაკოს სავნებელ საქმესა და სრულის მონდომებით აპირებდა მიხაკოს გაუბედურობასა. თვისალის დახახამებამდის დაებადნენ მას მრავალი, ერთმანერთზე უცნაურესი აზრები, რომელნიც იმისს თავში ტრიახლებდნენ, ირეოდნენ, ერთმანერთს ედებოდნენ. იხვლანჯებოდნენ, ინასკვებოდნენ. საჭირო იყო გაეხსნა აზრები და დაეყენებინა წესზე. რასაკვირველია ამ საქმეს მოუნდებოდა დრო. ეს იყო მიზეზი, რომ გორჯასპამ მაშინვე არ დაიწყო შეამავლობა მიხაკოსთან, როდესაც მიიღო ქრთამი.

მკითხველმა გორჯასპის სიტყვათგანვე შეიტყო, რომ ამ კაცმა იცოდა გაუბედურება მიხაკოსი ამიტომ მხოლოთ, რომ ეს ყმაწვილი კაცი იყო კარგი, ნამდვილად სურდა მას, და იმებოდა გიდეცა, მიხაკოს გაუბედურება, ესეც რომ თვითონ არ უნდა გამოჩენილიყო და ისევ უნდოდა დარჩენილიყო გარეგნად მიხაკოს მეგობრად.

მთელ დღეს გორჯასპამ იფიქრა, იტანჯა, ეძება, იპოვა საშუალებები. ერთმანეთზე უმსგავსნი, და სიბოროტით აღსავსენი, უგუნურნი,—და ბოლოს შეადგინა შემდეგი პლანი, რომელიც შეესაბამებოდა საკუთარად ამ ღვთის მტერს:

«მიხაკოს მოტყუებით მივიყვან თეიმურაზთან,—ასე ამბობდა გორჯასპი გულში: გავაცნობ, გახმამზე გამხიარულდები, გავამხიარულებ, ოდესმე სიტყვას გადუდებ და მასთანვე არ უჩივ რომ შეირთოს, ბრიყვს თეიმურაზს მიზეზს მივცემ ბრიყულის ქცევით და სიტყ-

ყოთ აწყინოს... დაიბადა წყლის .. თეიმურაზს ჭკუიდამ გადავრევ. . შემოვაკვრევინებ სამკავროში,.. ცილს შევა- წამებინებ მთავრობასთან... მიხაკოს დაიჭერენ, მიხაკოს გამოაგდებენ სამსახურიდამ... მიხაკო არ მოუთმენს მტე- რსა. დღეს დაუბნელდება თეიმურაზსა.,. მეკი დავრჩები ორივეს მეგობრად.»

ეს ზრახნი გორჯასპის უნდოდა აესრულებინა მეორე დღეს, სწორეთ იმ დღეს, როდესაც მიხაკო წავიდა ოს- მალოში საომრათ.

თითქოს რკინის კეტი დაჰკრესო თავში, გორჯასპი ისე გაჰკდა, როდესაც გაიგო მიხაკოს წასვლა ქალაქიდამ. მას მხოლოდ ის აწყინა, რომ ზრახნი დარჩა აუსრულებე- ბელი.

თეიმურაზსკი მისწერა ეს წიგნი:

«გახარებ, თეიმურაზ: ეს არის ამ დილით მიხაკო წავიდა ოსმალოში საომრათ. გიხაროდეს: რასაც ეძებდი, იპოვე, რაც გსურდა აღგისრულდა. ბედნიერი ხარ. მა- მილოცავს »

თეიმურაზმა სრულიად ვერ მიხვდა, ასე იყო სისხარუ- ლით აღტაცებული,—გორჯასპის სიტყვების აზრსა; წი- გნში დაინახა მხოლოთ სამი სიტყვა: «მიხაკო წავიდა ოსმალოში.»

ნამეტნავათ თეიმურაზ გამხიარულდა, როდესაც შეი- ტყო სოფელში წასვლა ნარნარესიცა.

—ორ დიდ მტერს გადავრჩი,—შეჰყვირა აღტაცებით თეიმურაზმა: მაშასადამე ჩემ საწადელს მივსწვდები; და- ბრკოლება აღარა მაქვს.

ზედ დატანებით თეიმურაზმა მიიღო წიგნი ლიოვსიმესი, რომელთანაც ისი უგზავნიდა მარიამის წიგნსა. ლეიფსიმე უვედრიდა თეიმურაზსა და ამასთანავე აქებდა თავისს ყოველ შემძლებლობასა; სხვათა შორის სწერდა ამ სიტყვებით:

«აბა, ჩემო ურწმუნო თეიმურაზ! ეხლა რაღას იტყვი! განა ბევრი შეგიძლებია! განა ვცდილვარ თქვენთვის! ნუღარ იქნებით ურწმუნო თომა!»

სასიძო გადირია სიხარულით. მაგრამ ლხენა გარდექცა ჭმუნვათ, რომელსაც წარმოუდგა მას, რომ აი თუმანი, რომელიც გაუგზავნა გორჯასპანს, უბრალოთ გადაყარა.

მაშინ თეიმურაზმა გაშინჯა სია თავისს ვალებისა. ანგარიშით გამოჩნდა ათას ექვსასი თუმანი. ვითამ თუ შეწუხდა მოვალე! იმან ჩაიცინა და ითქვა:

—ცოლის იმედით ნახევარს გადავიხდი; დანარჩენს მე ვიცი...

მაშასადამე ექვსი ათასი თუმანი ტყუილი იყო! მაშასადამე ლეიფსიმე სტყუოდა, რომელსაც უქებდა თეიმურაზის სიმდიდრესა!..

და ამ ურცხვმა, მხეცმა, გარყვნილმა და ლაჩრმა უნდა ჩაიგდოს ალექსანდრა, ქალი, რომელსაც ისი ბიჭაიც არ ეკადრება!

თეიმურაზს იყო: ურცხვ, ამიტომ რომ კეთილშობილური გრძნობა არა ჰქონდა.

მხეცი. რადგანაც იყო უსწავლელი, გაუზდელი და ბუნებითი ჭკუითაც არ იყო მდიდარი.

გარყვნილი. ამტომაც ალექსანდრას ირთავდა მხოლოთ მზითვისთჳს და სახელისათჳს და არა სიყუარულით.

ღარიბი. თუ მივხედავთ იმისს მედიდურობას, შემოსავალი მესამედისაც ვერა ჰფარავდა იმისს ხარჯსა. სახლი ჰქონდა ვალით აშენებული; მამული უმეტესი ნაწილი დასტაცა მეზობლებსა, რომელნიც თავისას ოდესმე დაიბრუნებდნენ; მაშასადამე ვალის მეტი არა რჩებოდარა.

თუ ჭკვიანი ბედნიერებაში, რომელიც უცებ მოადგება, ძლივ—ძლივ შეიმაგრებს გონებასა, რასაკვირველია რეგვენი ბედნიერებაში სრულიად დაჰკარგავს იმ ჭკუასაც, რომელიც აქვს. სწორეთ ასე დაემართა თეიმურაზსა. იმას ჰგონია, ენახა კიდეცა, ნაჭმულები ევროპიელთა, რომელნიც, როდესაც აირჩევენ საცოლოს, ყოველდღე დაიარებიან მასთან, გამოუცხადებენ თავიანთ სურვილსა, აზრებსა, ხასიათებსა, და თუ ქალი დათანხმდა, შეირთავენ. ეს ყოველივე დაავიწყდა; დაავიწყდა რომ შეკავებით ცდილობდა მოეტყუებინა ალექსანდრას დედამისი, და რადგანაც მისწერდა თავისს საწადელს, სწადდა დაჰპატრონებოდა მაში კი ალექსანდრას და გამოეცხადა სრული უფროსობა იმაზედ, რომ ისი დამორჩილებოდა იმისს აზრებსა თეიმურაზს ეგონა ალექსანდრას თანხმობით მოხდა ამათი შერთვა.

ამ განზრახვით მოირთო თეიმურაზ და წავიდა ალექსანდრასთან ვიზიტათ.

ალექსანდრა იჯდა თავისს ოთახში პირდაპირ ზალისა, რომელიც განათებული იყო, და ელაპარაკებოდა მარიკოს.

თეიმურაზ გაექანა პირდაპირ ოთახისკენ. ალექსანდრამ

შეასწრო თვალი და საჩქაროთ გაიქცინა ზალაში.

ქალი თეიმურაზის დანახვით უსიამოვნოთ შეიქნა, ნამეტნავათ მასთვის უფრო, რომ ისი აპირებდა ოთახში შესვლასა.

შემდეგ მოკითხვისა, თეიმურაზმა ჰკითხა ალექსანდრასა:

—რატომ აგრე ბძანდებით, ქალო?

ალექსანდრას ძლიერ ეწყინა, ასე დაშინაურებულად რომ იწყო ქცევა მოვაჩიტე ოფიცერმა და უთხრა: ქალო. რა მოიფიქრებდა, რომ ეს უგულო კაცი ვერაგობით ორთოდა და დაემტრობა კიდეგ იმასა.

—უსიამოვნოთ გახლავარ,—უპასუხა უბედურმა ალექსანდრამ.

—თქვენი უსიამოვნოება მე ძლიერ მწყინს. გთხოვ გადაუაროთ თქვენი დამწუხრება გრძნობა.

ალექსანდრას გაუკვირდა, რომ უფრო დაშინაურებულად და გულახსნილად ჰბედავდა მოუკრძალავი ოფიცერი ისეთ კომპლიმენტს, რომლის თქმის უფლება მას არ მიეცა იმისთვის. ეს კომპლიმენტი ეკლივით მოხვდა იმისს ნარნარ გულსა, რომელიც ამ შეხვედრამ გაჰკაწრა.

—კომპლიმენტისთვის გმადლობთ—უთხრა ქალმა ცივათ და მაქადატანებით.

—იქნება გწყინდესთ ქალაქი?

—ქალაქი როგორ მაწყენს?!

—რას ბძანებ, ქალო, ქალაქი დამაჭლექებელია კაცისა!

—მე ეგრე არ მიცვნია ქალაქი. მე თქვენ ჭლექიანთ ვერა გხედავთ!

—ეხლა ხომ არ აიტანს ქალაქის ჰავასა. უმეტესი

ნაწილი სევდით არის ავათმყოფი.

—სევდით ყოფილან ავათმყოფნი და არა ჭკუისაგან.

—სევდასაც დაუძლურებელი ჭკუა წარმოადგენს.

—მე ვერ დაგეთანხმებით მაგაზე,—უპასუხა ქალმა მტკიცეთ: სევდა დაიბადება უსიამოვნო გარემოებისაგან, რომელშიაც უპირატესად როლს თამაშობს გული.

—მაშ სოფელი არა გყვარებიათ!—შეჰკივრა თეიმურ-აზმა რაღაც განსაკვირვებელ მოულოდნელობით.

—სოფელზე ჩვენ არ გვილაპარაკნია?—ეს სასტიკი შენიშვნა მიუტევებელი ქალს, რადგანაც იყო გამოთქმ-ული თუ მეორედ ურიგო ქცევისაგან

—მე გკითხავთ.

—სოფლისკენ იმე ქვეყანაზე არა მეგონა, გარდა ერ-თისა: ეს მხარე ყოველთვის ცუდი, საძაგელი. და რადგანაც ცუდი იმისთვის მოლოდით რამდენიმე ადამიანმა, ამიტომ-აც მიმაჩნია ეს ადამიანები. გეცის გარე ცუდი არა არის-რა, ყოველივე მშვენიერია. მშვენიერება არის სული ჩვენის სულისა.

—მაშასადამე, თუ ვინმე დაგამწყვდიათ სოფელში თქვენ ვერ გასძლებთ.

—ვინ არის ჩემი დამატყვევებელი?

—მაგალითად, თქვენსა მშობლებმა რომ დაგამწყვ-დიონ.

—ჩემის მშობლებისა მონა ვარ და იმათგან დატყვე-ვებას არა თუ სოფელში, გამოქვაბულშიაც სიხარულით მოვითმენ და ჩემი მოთმინება იოტის ოდენაც არ და-სუსტდება.

—სხჳამ რომ დაგატყუევოსთ?

—ვის აქჳს უფლება ჩემზედა?

—ვსთქჳათ. მტერმა.

—მტერს დავემორჩილები.

—თქჳჱნმა მეუღლემ?

—რაზე ზმანებთ მაგასა? მე მეუღლე არა მყავს! უპასუხა ალექსანდრამ, რომელსაც უფრო და უფრო უკჳრდა თეიმურაზის უადგილო კითხჳა.

—როდესაც გეყოლებათ.

სამღვარს გადავიდა მოთმინება ალექსანდრასი და საწყალმა არ იცოდა რა ექნა. შებაასოდა და კადნიერებისათჳს ავათ მოპყრობოდა, არ იქნებოდა,—არ შეეძლო ეწყენინებინა ვისთჳსმე. მეტი ღონე აღარ იყო, უნდა დაჩუმებულიყო. მართლადაც პასუხი არ მისცა. მაგრამ გულშიკი იტანჯებოდა, რომ მოუხდა ამ უზრდელ კაცთან ლაპარაკი და აღთქმა დასდო გულში, თავის დღეში აღარ დალაპარაკებოდა იმას ცალკე. თეიმურაზსკი ეგონა რომ ალექსანდრამ სირცხჳლით (ქმარზე) ვერა უპასუხარა; ამიტომაც სხჳა აზრით დაუწყო იმან ჩჳჱნების ჩამორთმევა და უთხრა:

—საზოგადოდ მოგახსენებთ: ცოლი, ჩემის აზრით, უნდა სრულიად დამორჩილდეს ქმარსა.

—ჩემის აზრით კი ქმარიც უნდა დაემორჩილოს ცოლსა, როგორც ცოლი ქმარსა, ამიტომ რომ თანასწორნი არიან. თუ ასე არ იქნება. ესე იგი, ან ქმარი დაიჩემებს მომატებულ უფლებასა ცოლზე, ან ცოლი ქმარზე. მაშინ უთანხმოება და უბედურება დაიბადება მათ შორის.

—სჯულით მხოლოდ ცოლი უნდა დამორჩილდეს ქმარსა; მაშასადამე ქმარი უფალია ცოლისა.

—დამორჩილება ცოლისა შესდგება მხოლოთ მაში, რომ ცოლმა სული და გული უნდა გაუსწოროს ქმარსა, ქმარსკი ნაბძანები აქვს, ცოლს იოტის ოდენი არა აწუენინოს რა, ესე იგი, იმანაც სული და გული უნდა გაუსწოროს ცოლსა, ანუ მოკლეთ, ერთმანერთი უნდა უყუარდესთ. თქვენ როგორ ხედავთ: მართალია თუ არა ესა?

—მართალი გახლავს, ერთმანერთი უნდა უყუარდესთ.

—მაშასადამე როგორც ქმარი უფალი ცოლისა, თანასწორათ ცოლიც უფალია ქმრისა; რადგან სიყუარულს, პატივისცემას და ერთგულებას მოსთხოვს ქმარი ცოლსა, იმოდენს მოსთხოვს ცოლი ქმარსა.

—არა, მაინც კიდევ ქმარი უბძანებს ცოლსა, რომელიც უნდა დაემორჩილოს ბძანებასა.

—ქმარი ვერ უბძანებს ცოლსა, მხოლოთ სთხოვს; ცოლიც მოვალეა აღასრულოს გონიერი და სასარგებლო თხოვნა ქმრისა, სწორეთ ისე როგორც ქმარმა უნდა აღასრულოს გონიერი და სასარგებლო თხოვნა ცოლისა.

ნიკ.შ.—(გასაკვირვა ალექსანდრამ მოწყენილის და გაჯავრებულის სახით: რა აზრით მკითხავთ მე ქმრის უფლებაზე და ცოლის მორჩილებაზე, ვერ გამიგია! ცოლს ხომ არ ირთავთ?—თუ ირთავთ თქვენ, საცოლოს უნდა უქადაგოთ თქვენი ფილოსოფია, რომ იცოდეს თქვენი აზრი და ისე მოიქცეს, როგორც თქვენა გნებავსთ...

ამ დროს შემოვიდნენ ვინმეტრით ორი ქალი და ლაპარა

კი მოსწყდა ალექსანდრასი და თეიმურაზისა.

უკანასკნელი ალექსანდრას სიტყვა გარტყმივით მოხვდა თეიმურაზსა, რომელიც შეწუხებული და დაფიქრებული წავიდა შინ.

## თავი 5.

## სანიშნობო სამკაული.

მარიამ დაბრუნდა ბაზრიდამ.

იმას ჰქონდა მრავალი ქალის სამკაული ბროლტისას, და სხვა და სხვა მაგაზიებიდამ დაბარებანა სახლში ფარჩები.

მანამ ფარჩებს მოიტანდნენ, მარიამმა თვითო თვითო გახსნა თავისი ნავაჭრი ნივთები, გაშინჯა და გააშინჯა ალექსანდრას ქების შესხმით.

—შენმა სიცოცხლემ, ალექსანდრა,—უთხრა გულის სიამოვნებით დედამ: ეს ხელსახოცები მეტად კარგებია, დახედე!—იჯ, ამ ლენტსა! თეთრ ატლასის ადგილზე თეთრი ოქრომკედის ყვავილები არის. საყვარელო, შენმა სიცოცხლემ, სარტყელათ და გულისპირათ? შემოხედე ალექსანდრავ, რა თასკრავებია, ერთმანეთზე უკეთესებია! ეს არის ეხლა მოიტანეს დამოჟნიდამ. ეს ნაკერი ლეჩაქები როგორ მოგწონს! საყვარელო. მე ძალიან მაწონს. მწვანე ქვები, ხშირათ დაყრილი, რაღასაც წარმოგიდგენს!... ეს ბუზმენტისგრეხილებიც ძალიან მოუხდება გულის პირსა და კაბასა!..სამი საზამთრო თავზე მოსახვევის შალი ვერ გაშ-

ოვე, შვლო; ზოგი გშლავ იყოს. აი ალისფერი გაზირის, ჩაგხატავს, შენმა გაზდამ ალექსანდრა? ესეც თეთრი ყვავილებიანი ბლონდი; ეს ალებლის ფერიც ძლიერ მოგიხდება... მაგრამ ყველაზე მომატებულად მამწონს ეს ბლონდის წამოსასხამი! რა ხელმა მოქსოვა! ჭეშმარიტათ ამაში ჩაცემული ფული არ არის დაკარგული!...

ალექსანდრამ სრულიად ყურადღება არ მიაქცია ნივთებსა და არც ერთი ნივთი არც მაიწონა არც დაიწუნა; მარიამსკი ეგონა, ქალი, რა დაინახავდა ნივთებსა, სიხარულით აითრობოდა და მადლობას მოახსენებდა. ქალს არ იამა ნივთების სყიდვა არა იმიტომ, რომ კეკლუცობა არ იამებოდა და არ უყვარდა, არა, მხოლოთ მისთჳს, რომ გული უგრძნობდა, რომ ამ ნივთებს საგჳრგჳნოდ უმზადებდნენ.

იმ ერთ კჳრას, რაც ლიფსიმემ ხშირათ დაიწყო ლაპარაკი თეიმურაზზე, მარიამ ხან და ხან ეტყოდა ხოლმე ქალსა: «აქნება, შჳლო, მოკლე ხანს გათხოვდე;» პირდაპირკი, რომ თეიმურაზზე იყო ლაპარაკი დედამ არ გამოუცხადა ალექსანდრას, ამიტომ რომ არ იცოდა, მოხდებოდა თუ არა იმათი შერთვა. მიხაკო რომ აქ ყოფილიყო, იქნება ალექსანდრას ეფიქრა, მშობლები იმასა რთავდნენ, და სიამოვნებით მიეღო ნივთები; მაგრამ ეხლაკი, როდესაც მიხაკო მტრის ქჳეყანაში იყო წასული რავდენიმე თთჳთ, ეხლა ჩჳენ გმირ ქალსა აღარა ჰქონდა ამის იმედი; სხჳს შერთჳა კი, ვინც გინა ყოფილიყო, არ უნდოდა.

მარიამს თჳთქმის ეწყინა, რომ ქალმა არათუ არ მო-

უწონა, უსაამოვნოთაცკი მიიღო ნივთები; ამიტომაც თჳთან ისიც უსიამოვნოთ შეიქნა.

—რათა ხარ უსიამოვნოთ, ალექსანდრა? ჰკითხა მარი-ამმა გულნაკლულმა: რატომ ეგრე მრუდის თჳალით დაჰყურებ შენ საკუთრებას, რომელიც გიყიდე მოსართავათ!

—თქჳენმა სიცოცხლემ, ბატონო! მიუგო ალექსანდრამ წყნარათ და ღმობიერათ: ეგ ნივთები მეტია. რაცა მაქჳს, ჯერ კარგახანს მეყოფა.

—შენმა სიცოცხლემ, ქალო, ეგ მიზეზი არ არის! რა პასუხია! ქალს მოსართავი არ მოსჭარბდება!

—მრავალი გახლავს მოსართავი, თქჳენმა მზემ, დედა! ეს მეტია.

—რას უფთხილდები, შვილო? ფულებსა?

—დიახ, ჩემო ბატონო! ძველფცობა მიყუარს, თქჳენ კარგა მოგეხსენებათ; მაგრამ იმდენი სამკაული გახლავს, რომ საკმაოა ჩემ ძველფცობისათჳს.

—შენ არ მამიყჳდე, ალექსანდრაჯან, რომ საკმაო მორთულობა არა გქონდეს! რას მიბძანებ, ქალო! ქალი ყოველდღე უნდა ყიდულობდეს სხჳა—და—სხჳა მოსართავსა!... დაჩუმდი, შენ გაზდას! ეგ შენი ქცევა მე არ მიამება.

—თუ მამასაც შეაწუხებ, აბა, თქჳენი ჭირიმე, რაღათ მინდა მოსართავი!

—შენ გენაცჳალოს, შვილო, დედა, რომ ეგეთი კარგი მყავხარ! მაგრამ საწყენი იყოს, რომ არც მე, არც მამას არ შეგვაწუხებს შენი მორთულობა.

—ვიცი, ბატონო დედა, კარგა ვიცი, გიყვარვართ და ძლიერ ჩვენთვის ყოველივე კეთილი. მაგრამ ჩემის გულისთვის ვალის აღება. სწორე მოგახსენოთ, არ მიამება.

—მაგაზე ნუ სწუხარ, შენი ჭირიმე, ალექსანდრა! შენ გენაცვალოს დედა, მაგაზე ნუ შესწუხდები! ჩვენ ცუდათ არ დავიჭერთ საქმესა, და ანგი რას გემართლებით! მამაპაპის სამკვიდრო შენც გეკუთნის. სირცხვილიც იქნება, რომ ერთი ქალი ჰყავდეს დედმამას და ისიც კარგა ვერ გამოიყვანონ!

ამ დროს შევიდნენ იმათთან ბაზაზების შეგირდები ბოხჩებით.

ერთ შეგირდს, რომელსა ეცო მიხაკის ფერი მაუდის კაბა; ეჭირა იღლიაში ლურჯ სუზანში გახვეული ფარჩები.

მეორე შეგირდს, რომელსაც ეცო შავ მაუდის კაბა, ეჭირა იღლიაშივე თეთრ ტილოს ბოხჩაში გახვეული ფარჩები, და ძლივ მიჰქონდა.

—მოდით, შვილო. მოდით. უთხრა ბაზაზების შეგირდებს მარიამმა.

ბაზაზების შეგირდებმა გახსნეს ბოხჩები.

—რა და რა ფარჩები მოიტანეთ?—ჰკითხა შეგირდებს მარიამმა.

—ბირისფერი და მოქალი მორიანტიკი, დამა. გლასი და ატლასი.

—ერთაგვე გადაშალეთ ყველა ფარჩა. უბძანა მარიამმა. შეგირდებმა ასრულეს ბძანება მარიამისა.

—რა მშვენიერია. ალექსანდრავ, ეს ბირისფერი ან-

ტიკ მორე! უთხრა მარიამმა: ოქრომჭედლივით ბრწყინავს; ღელუა აქვს საუცხოვო. მე ძრიელ მამწონს; ღამე ნამეტნავათ დაშვენდება.

—კარგი გაქლავს.—უპასუხა ნაზათ ალექსანდრამ: მეტათ ნაზი ფერი აქვს!

—როგორ ეგ პირისფერი ანტიკ მორე? ჰკითხა მარიამმა მიხაკ—კაბიან შეგირდსა.

—ოთხათა და ათშაურათ ვყიდით არშინსა; მაგრამ თქვენ მიირთვით ოთხ მანათათ. უპასუხა მიხაკ—კაბიან შეგირდმა.

—მერიას! სწორე დაათვალე? უთხრა მარიამმა.

—ათიშაურიც თქვენი ხათრით დავაკლე, თორე საჩვს ოთხა და ათშაურ ნაკლებ არ მიცეთ. [illegible] რო იყიდოს.

—მერია, შვილო! სამს და ათშაურათ მოსჭერ.

—სამი მანათი და ცხრამეტშაურნახევარი [illegible] რო მისცეთ, ქალბატონო, მაშინაც არ მოგცემ. დახედეთ, გაშინჯეთ რა ფარჩაა! ფრანცუზის საქონელია, რუსის ხო არარის!

—მაშ არ აძლევ სამს და ათშაურათ?

—არა, ქალბატონო!

და შავკეცა ანტიკ მორე.

—მიირთვით, ქალბატონო, სამს და ათშაურათ ჩემი ანტიკ მორე,—უთხრა მაკ კაბიან შეგირდმა.

—არ მოგატყუოს, ქალბატონო!—უთხრა მარიამმა მიხაკ კაბიანმა: რუსის საქონელი აქვს ამას. ხუთ აბაზათაც არ ვიყიდი ამის ფარჩას.

—შენი თავის მზემ, როგორ არა,—უპასუხა შავკაბ-იანმა მიხაკ გაბიანსა: ოთხაბაზუზალთუნათ მოგაართმევ!

—მეტად არა ღირს: ნახევარი კანათვის!

—ქალბატონო, ღმერთმანი, გატყუებ,—მოახსენა შავ კაბიანმა მარიამს: მე რუსის ფარჩა სულ არა მაქვს; ზაგრანიჩნისაა; აი დამოჟნის ჰლომბი.

—ჰა, ჰა, ჰა! ტყუის რატო არწივი არ აზის, თუ ზაგრანიჩნისაა. აბა, მითხარ. დაცინვით უთხრა მიხაკ გაბი-ანმა.

—რა გაჩხუბებთ? მაძლევთ თუ არა სამს და ათშაურს?—ჰკითხა მარიამმა მიხაკ გაბიანსა.

—ერთი აბაზი თქვენი ფეშქაში იყოს. მირჩით.

და გადაშალა მიხაკ გაბიანმა ანტიკმორე და დააპირა გაეზომა ეს ფარჩა.

—რამდენი არშინი გინდათ? ჰკითხა იმან მარიამს.

—ძნელი არ არის,—როგორ არ შეწყინოს!—წამოი-ყვირა შავკაბიანმა: გათხელებულ ფარჩაში სამ და ათშაურს აძლევენ და ჩემ საქონელს კი იწუნებენ! აფსუს! აფსუს!—მახლას, რა გაეწყობა!

—შენც გულს ნუ დაგაკლებ,—უთხრა სიცილით მა-რიამმა, რომელმაც ბევრი იცინა შეკირდების ჩხუბზე: შენგანაც ვიყიდი; მანამდინ-კი გაჩუმდი, რომ მოურიგდე ამასა (უჩვენა მიხაკ გაბიან შეკირდზე)

—მიირთვით! რა გაეწყობა! რახან მოვსულვარ, ცარი-ელი ხომ ვერ წავალ! რამდენი არშინი მოგჭრა?—ჰკითხა მიხაკ გაბიანმა.

—რათა გნებავსთ, რომ აჭრევინებთ!—მოახსენა ალე-

ქსანდრამ დედას მორჩილებით: მე პირისფერი არ მიყვარს, განა არ მოგეხსენებათ!

—დრომ მოიტანა, ქალო! პირისფერი მოგიხდება,— უპასუხა ღიმილით მარიამმა.

—თუ კი არ მამიხდება, რა იქნება, თქვენი ჭირიმე, მაგისი ჩაცმა!

—რას მიბძანებ, ქალო! საკვირველი ხარ, ჭეშმარიტათ! რაც თვალში არ მოგივა, უთუოთ არ გიხდება! შენმა სიცოცხლემ, ღელვარე პირისფერი გხატავს, ნამეტნავათ ღამე; ახირებულად ნაზი სჩანხარ პირისფერ კაბაში!

—თქვენ სახელს ვენაცვალე, ნურას მიყიდით: ამიტომ რომ რაც აქ ფარჩაა არც ერთი არ მამწონს, არც მამიხდება; ფული უბრალოთ გადიბნევა. რა საჭიროება მოითხოვს, რომ უთუოთ ეხლა ვიყიდოთ საკაბეები, როდესაც მაქვს თხუთმეტი მეტი კაბა და ადგილიც აღარ არის შკაფში!

—ალექსანდრაჯან, შენ ხომ გიყვარს ჩემი მორჩილება! თუ მე მსურს, შენც ჩემი სურვილის დასაკმაყოფილებლად შეიკერე ორი კაბა.

—ურჩობით არ მამდის, თქვენმა სიცოცხლემ, დედა,— მოახსენა ალექსანდრამ გულმოკვდინებით: ფარჩის მაგიერ, ჩითი რომ მიბოძოთ, 13 დიდ წყალობათ მივიღებ, სიხარულით გავცვეთავ! მაგრამ მესაფსუსება ფული.

ნამდვილად ალექსანდრას ფული კი არ ენანებოდა,— იმან არც კი იცოდა მნიშვნელობა და საჭიროება ფულისა,— იმას მხოლოთ არ უნდოდა ახალი კაბები, რადგა-

ანც გული უსიამოვნოთა ჰქონდა.

—ფულისთჳს ნუ ფიქრობ, ალექსანდრაჯან, შენი ჭირიმე! უპასუხა მარიამმა: ფული ყოველთჳს არის და იქნება.

—მაშ რახან თქუ̂ენ გნებავსთ, ისევ მწუ̂ანე მოაჭრევინეთ.

—რას ამბობ, ქალო! რა შენი საქმეა მწუ̂ანე კაბა!

—თქუ̂ენი ნებაა!

—მოსჭერ..- არშინი, უთხრა მარიამმა მიხაკ კაზიანსა... მერე შავკაზიანსაც მოაჭრევინა ცისფერი დაშა...

—იცი ქალო,—უთხრა მარიამმა ალექსანდრას, რომელსაც ბაზაზის შეგირდები გაისტუმრა. ბარბარე ხომ სოფელში წასულა!

—როდის, თქუ̂ენი ჭირიმე?

—დღეს.

—ვინ მოგახსენათ?

—წელან გზაზე შემხუ̂და ლიფსიმე; იმან მითხრა.

—რა სახით მეწყინა!

—შენმა სიცოცხლემ, ქალო, ძალიან შევწუხდი.

—კარგი ქალი გახლავს, თქუ̂ენი ჭირიმე.—მიუგო გულნაკლულად ალექსანდრამ.

—საუცხოვო ქალია, ბარბარე! კარგი, სანაქებო დედაკაცია!

—კარგი დროს გამტარებელი, ჭკჳანი, მხიარული, ადამიანის მოყუ̂არული. არ ვიცოდი, თორე ვსთხოვდი დარჩენილიყო.

—მეცა, რომ გამეგო, ვეცდებოდი ქალაქში დარჩენილიყო რავდენიმე კიდევ ხანს, მანამ ჩუ̂ენ წავიდოდით

სოფელში. მეტათ მიყვარს იმისი ატეხილი ხუმრობა, მახვილგონებიანი კრიტიკა და ნამეტნავათ ირონიით ლაპარაკი იმ ადამიანთან, რომელიც არ მოეწონება.

—იჰ, ეხლა მარტონი დავრჩით.

—რათა, შვილო? რავდენი ნათესავები და მცნობები გვყვანან! ყველასთან კარგა გაატარებ დროსა.

—არა, იმისთანა არავინ არის! ბარბარესთან მიყვარს დროს გატარება.

—შენგანაც ახირებულია, ალექსანდრაჯან: ჩვენის გულისათვის, ოჯახისაგან ხომ ხელს ვერ აიღებს. რამ დაარჩინოს, თუ მამულს არ მოუვლის,

—მართალი გახლავს,—უპასუხა დედას ალექსანდრამ. ქმრისა და შვილის მოვალეობა რომ არა ჰქონდეს, ხშირათ ვამყოფებდი ჩვენთან.

—კარგი ქალი ყველასთვის საყვარელია. ეს არის ღარიბია, თორე...

—რას მიბძანებთ, თქვენი ჭირიმე, ბატონო! სიღარიბით კაცი არც დაიწუნება, არც დამდაბლდება...

თავი 6.

## გამოცხადება გარდაწყვეტილებისა.

ჩვეულებრივ კონსტანტინე, სადილს უკან, მოუჯდა ალექსანდრას გვერდით და სიყვარულით უალერსებდა, ეხუმრებოდა და ჰკოცნიდა. ქალი, რასაკვრველია, ბედნიერად ხადიდა თავისს თავსა, რომ დედამამას ასე ძლი-

ერ უყჳარდათ ისი და ამ ტკბილის ალერსით სიამოვ-
ნებდა: ყოველი მისი გრძნობა, ყოველი ძარღჳ იყო და-
მშჳდებული, დამტკბარი, აღსავსე სამოთხის სიხარულით
და არა თუ მშობლები, მოსამსახურებიცკი ცდილობდ-
ნენ მცირედის რითიმე არ ეწყენინებინათ. პატარა ქალ-
ბატონისათჳს.

მანამ თეიმურაზს გაიცნობდა, ალექსანდრამ სრულიად
არ იცოდა, რა გემოვნებისა იყო უსიამოვნობა, მწუხა-
რება, წყენა, სულის აღშფოთება. ვინც დაიარებოდა იმათ
სახლში უცხო თუ ნათესავი, ყველა იამებოდა ქალს, მა-
გრამ თეიმურაზივით არ იამებოდა, თუმცა მიზეზი თჳ-
თონაც არ იცოდა, ნამეტნავათ ეჯავრებოდა თეიმურაზის
დანახჳა იმ დღის შემდეგ, როდესაც ეს მოუხეშავი ფრან-
ტი შეებასა ბარბარეს უადგილოთ; მაშინ მაში დაინახა
ქალმა საზიზღარი მედიდურობა და უგუნური ამპარტავა-
ნება, და ამ დიდმა ნაკლულევანებამ მოაძაგა მას ფრანტი.
დასასრულ თეიმურაზი სრულიად შესძაგდა იმ დღეინდელ
ვიზიტის შემდეგ. როდესაც ისი ელაპარაკა უგზო უკვ-
ლოთ და უადგილოდ ქმრისა და ცოლის უფლებაზე.

—ალექსანდრა, შჳლო ალექსანდრა,—უთხრა კონსტან-
ტინემ: მოიცე თჳალები დაგიკოცნო... იჳ, რა ტკბილი
ხარ, შჳლო! შენ რომ გაგათხოვოთ, არ ვიცი, როგორ
გავძლებ უშენოთ!

—მაგაზე უადჳლესი არა არისრა,—უპასუხა ალექსან-
დრამ ტკბილის ხმით: თქჳენ ნუ გამათხოვებთ. მე არ
გავთხოვდები და ერთად ვიქნებით.

—როგორ შეიძლება, შჳლო! შენი თავი არ მამიკჳ-

დეს, მამა ჩემი არ წამიწყდეს, შენ გასათხოვარი არ დაჯდო! რომ არ შეიძლება! ქალი რა წამს ასაკში მოვა უნდა გათხოვდეს.

—ქალიც არის და ქალიც! უპასუხა ღიმილით ალექსანდრამ, რომელსაც ღიმილი ძლიერ უხდებოდა: ზოგ ქალს არ უნდა გათხოვება.

—ვერ დავიჯერებ, შენმა სიცოცხლემ ქალო,—უთხრა მხიარულათ მამამ: მცირე წლოვანისასკი ვერ ვიტყჳ, მაგრამ ასაკ მოსულ ქალისას, რომ გათხოვება არ უნდოდეს, არ დავიჯერებ.

—ჯერ ეს ერთი მე გახლავარ, ბატონო მამავ,—უთხრა ღიმილით ალექსანდრამ: თქჳენმა სიცოცხლემ სრულიად სურვილი არა მაქჳს გათხოვებისა და შემიძლიან ამ მდგომარეობაში დავრჩე რამდენიმე წელიწადი; შემდეგისას, სწოროთ მოგახსენო, ჭეშმარიტებით ვერ მოგ...

ასე თქჳა ალექსანდრამ, რადგანც მხედველობაში ჰყჳანდა მიხაკო.

—აი შე გუდიანო! ეხლა ჯერ არ გინდა ქმარი, მერე კი.....

—მე სწორეს მოგახსენებ, თქჳენმა მზემ! იქნება, როგორც ეხლა, შემდეგშიაც არა მსურდეს გათხოვება. ეს გარემოებაზე არის დამოკიდებული.

—როგორთუ გარემოებაზე?

—მოისმინეთ, ჩემო ბატონო,—უპასუხა ალექსანდრამ: თუ ქალიგრძნობისაგან (ვერა თქო გულის თქმისაგან) იქნება ალელვებული, ან სამშობლო სახლში იქნება შეწროებული და სიცოცხლე გამწარებული, მაშინ, რა-

საკჳრველია, ისურვებს გათხოვებასა, და მზათ არის შე-ირთოს ისეთი კაცი, რომელიც დააყენებს უარეს დღე-სა. მე არც ერთი ამ მიზეზებთაგანი არა მაქჳს: მე ბე-დნიერად ვხადი ჩემ თავს, რომ თქჳენთან გახლავარ და არა ვარ გათხოვილი; როდესაც გათენდება, მიხარიან მხოლოდ ისი, თქჳენ რომ დაგინახავთ, თქჳენთან რომ ვიქნები.

—მაშ ქმარი არ გინდა?

—სრულიად არ მეშურება.

—ხომ გინდა ქმარი?

—ღმერთზე არის დამოკიდებული.

—საქმრო რომ აგიჩნდეს?

—მოგახსენებთ, ღმერთზე არის დამოკიდებული.

—ღმერთმა რო ინებოს?

—ღმერთმა რომ ინებოს. და თქჳენცა, სრული მორ-ჩილი გახლავარ.

—მაინც, შენი კუჭისა, ალექსანდრაჯან, შენი სურვილი როგორი არის: გინდა ქმარის შერთუა, თუ არა?

—არა მსურს. მაგრამ თუ ღმერთი მამივლენს, ვისუ-რვებ და შევირთამ.

მარიამ აქამდინ ყურს უგდებდა ქმარსა და ქალსა, და შეჰხაროდა ორთავეს. ეხლა იმანაც მიიღო მონაწილეობა ლაპარაკში.

—ალექსანდრაჯან! მეც მომისმინე, უთხრა ალერსით მარიამმა: შენ, შვილო, ამბობ, თუ ღმერთი მამივლენსო, შევირთავო ქმარსა. კეთილი; სწორეთ ეგრე უნდა ფიქრ-ობდე და სასოებას გქონდეს ღმერთზე. მაგრამ თჳთან

ღმერთი ხომ ხელს არ დაუჭერს კაცსა და არ გეტყჳს: ეს შეირთეო. მაშასადამე ჩჳენ უნდა ვეძიოთ, ავარჩიოთ, და, თუ ღჳთის ნებაც იქნება, შევრთოთ. ღმერთი მოქმედებს კაცით ამ გჳარ შემთხჳევაში.

—ჭეშმარიტს მიბძანებთ, ბატონო დედა,—უპასუხა ალექსანდრამ მორჩილებით და დამშჳდებულის სახით: მაგრამ მე დარწმუნებული გახლავარ, რომ ღმერთი სწორეთ თჳთან დაუჭერს ვაჟკაცს ხელსა, მიიყჳანს ქალის მშობლებთან და ეტყჳს: ეს შერთეთო თქჳენ ქალსა.

—როგორ?

—მოისმინეთ, თქჳენი ჭირიმე,—განაგრძო ალექსანდრამ: როდესაც მშობლებს რომელიმე ვაჟკაცზე გული შევარდებათ და მასთანვე გრძნობენ სიხარულსა, უთუოთ ღჳთის ნაჩჳენები ვაჟკაცი იქნება, და თუ რომელიმე ანგარიშით აარჩევენ თჳთან ქალი ანუ მშობლები ვაჟკაცს, მასთანვე კი გული ეთანადრებათ, იქ ღმერთი არ მოქმედებს, და ცუდათაც წავა საქმე.—მაგრამ უნებურათ შამიყჳანეთ ქმარზე განჯაში; მე მეზრზინება ამ გჳარსაგანზე სჯა. თუ გამანთავისუფლებთ, დავამშჳდებთ ჩემ სულსა.

—რას მიბძანებ, ქალო!—უთხრა დედამ სიამოვნებით: დრო არის გათხოვდე.

—შენმა სიცოცხლემ, ალექსანდრა,—უთხრა თავისს მხრითაც მამამ: დროა გაგათხოვო.

—მეცხრამეტეში გადასდეგ, შვილო,—განაგრძო მარიამმა: აბა, შენიჭირიმე, როგორღა დარჩენი გასათხოვარი!

—დიაღ, ალექსანდრაჯან!—განაგრძო ეგრეთვე კოს-

ტანტ. ნემ: დიაღ, ველარ დარჩები გასათხოვარი.

—თქუენა ნებაა,—უპასუხა ალექსანდრამ სრულის მორჩილებით, მაგრამ გულმტკივნეულად: თქუენი წინაადმდეგი არ შემიძლიან და ვერ გავბედავ ურჩობით გაწყინოთ,—აქამომდე მე მცირედი წყენა თქუენგან არა მინახავსრა. როგორც მიბძანებთ, ისე მოვიქცევი. სრული თქუენი ნება გახლდესთ.

—აბა ამისთანა შვილი, რასაკვირველია, მამას სიცოცხლეს დაუტკბობს!—თქუა კონსტანტინემ სიწრფელით და პირუთნებელათ, და მეტის სიამოვნებისაგან დაჰკოცნა ქალსა.

მარიამ ქმარზე ნაკლებ არ იყო აღელვებული ქალის სიტყუებისაგან და ატაცებულ სიამოვნებას გრძნობდა.

—შენი ჭირიმე, შვილო, ეგეთი კარგი რომ მყევხარ! რა ბედნიერი დედაკაცი ვარ!—თქუა მარიამმა.

—ჩემი ბედნიერება მხოლოთ ის არის, თუ თქუენ მეყოლებით ბედნიერნი,—უპასუხა ალექსანდრამ: მაგრამ რასა ხადით ამ შემთხუევაში თქუენ ბედნიერათ? ნუ თუ იმასა, რომ უნდა გავთხოვდე?

—დიაღ. შვილო,—უპასუხა დედამ: და იმასაც, რომ შენში ვერასა ვხედავ ცუდ მიმართულებასა, ანუ ხასიათსა.

ალექსანდრამ სიმშვიდით თუალები ძირს დაიღო.

—ამ ორიოთ დღეზე ნიშნობა მოგვიხდება,—განაგრძო მარიამმა.

ალექსანდრა შეხტა ელდისაგან.

—დიაღ, ჩემო სასურველო,—უთხრა კონსტანტინემ: ხუთშაბათს დავნიშნავთ.

ალექსანდრა გაოცებული დარჩა და ვერ ახერხებდა

ტუჩები გაეღო სიტყჳს სათქმელად.

—დღეს რაც ვივაჭრე; სანიშნობით მოგიმზადე, შჳლო, შენი ჭირიმე,—უთხრა მხიარულათ მარიამმა.

—მზითევიც მზათა მაქჳს, შენმა სიცოცხლემ, შჳლო! დაუმატა კონსტანტინემ.

—დიაღ, დღეს გამოვიტანეთ პრიკაზიდამ ფული,—განაგრძო მარიამმა იმავე სახით.

ცრემლები წამოადგა ალექსანდრას თჳალებში.

—შენმა სიცოცხლემ, ალექსანდრა, მამაჩემი არ წამოიწყდება, საკუთრად შენთჳს გამოვიტანე პრიკაზიდამ ათას-ორასი თუმანი,—დაუმატა კონსტანტინემ.

ალექსანდრამ ცრემლი შეიმაგრა, გული მოიბრუნა და მოახსენა მშობლებს მოკჳდინებულის სახით:

—არ შეიძლება, რომ ჩემი ნიშნობა შემოდგომამდინ დარჩეს?

—როგორ შეიძლება, შენი ჭირიმე, მიუგო მარიამმა, საქმე გადაწყვეტილია!

—შენმა მზემ, ალექსანდრაჯან! განაგრძო კონსტანტინემ: შენ სურვილს აღვასრულებდი; მაგრამ საქმე გადაწყვეტილია და აღარ შეიძლება.

—ასე საჩქაროთ!... მე რატო ვერ გავიგე!... როდის გქონდათ ლაპარაკი?... ვისთან...

და ველარ დაასრულა ალექსანდრამ: გული ამოუჯდა.

—უცებ მოხდა, ქალო! ჩუენც დილას გადავწყვიტეთ და ეხლა გატყობინებთ,—უთხრა მამამ ალერსით.

—აქამდინ ამიტომ არა გითხარი რა, შჳლო, რომ იქნება არ მამხდარიყო და შენ შეგაწუხებდი,—განაგრძო

შეკდიმებულის სახით დედამ, რომელმაც მაშინ დაი ნახა თავისი შეცთომა, რომ წინათ საქმის გადაწყვეტის არ გააგებინა ქალსა და არც დაეკითხა.

მართლადაც მარიამ. შესცდა. ალექსანდრა არ იყო მც ი-რე წლოვანი, არც ისეთი ქალი, რომელსაც კარგი და ავი არ გაეგებოდა; მაშასადამე უნდა ეკითხათ იმისთჳ-საც. მარიამ სწუხდა, დიდ სინანულში იყო, იქამდინ, რომ თავზარე დაესხა, ნამეტნავათ აწუხებდა იმას თავისივე აზრი: დიდით ქმარს უმტკიცებდა, რომ დედამას ქალი იმისს შეუტყობლად, არ უნდა გაეთხოვნათ, თჳთანვე ამის წინააღმდეგად მოიქცა. მაგრამ სანუგეშოდ დარჩა ის, რომ თუ არ საიდუმლოთ, ალექსანდრას ვერ გაათ-ხოვებდნენ, რადგანც ქალი, როგორც იცნობდა, თავი-სით არ ისურვებდა არც ქმრის არჩევასა, არც გათხოვე-ბასა.

ალექსანდრამ თავისს სიცოცხლეში პირველად ხმელად გულში ამოიკვნესა. საქმე იყო გადაწყვეტილი და რაღას გააწყობდა საწყალი! თუ ჩაეშალა საქმე, მშობლებს აწყე-ნდა და შეარცხვენდა, — და ეს უფრო დასტანჯავდა, და თუ სრულებით დამორჩილებულიყო, თჳთან თავის ფი-ქრში, იღუპებოდა; ამიტომ რომ არჩეული მშობლებისა-გან საქმრო არ ესიამოვნებოდა, მაშასადამე საუკუნო ჯო-ჯოხეთში უნდა ტანჯულიყო. ამ მდგომარეობაში იყო ალექსანდრა და რომ ვეღარა მოახერხა, საწყალმა სასო-წარკვეთილებით უთხრა მშობლებს.

—უთუოთ მოგძაგდით; რომ ასე ადრე მათხოვებთ. დედა და მამა გულში გაიგმირენ, რა გაიგონეს გუ-

ლის დამაწყლულებელი სიტყჳა საყჳარელის შჳლისაგან. კონსტანტინეს გული აუდუღდა, მარიამს ეგრეთვე.

—არა, შჳლო! არა, შენ გენაცჳალოს დედა! სიმულილიოკი არ გათხოვებთ, შენ ბედნიერებას ვეშურებით,— მიუგო დედამ.

—უფრო ბედნიერი ვიქნები, თუ ქმრის ხელში არ დავტყვევდები.

—შენმა სიცოცხლემ, ალექსანდრა, მამაჩემი არ წამიწყდება, სიყმაწჳლით მოგდის, უთხრა კონსტანტინემ. ქალი მხოლოთ ქმრით არის ბედნიერი. უქმრო ქალი რა ბძანდება! უფრო დატყვევებული არ არის! სად წავა თავისუფლათ? სად მიდგებ-მოდგება თავისუფლათ! ერთი გახსოვს, მეორე გავიწყდება. მეორეს მხრით, შჳლო,— დაუმატა მარიამმა: ვალი ავილეთ შენის გულისთჳს, მზითევი მოვიმზადეთ თუ დარჩები გაუთხოვარი, ჩჳენ ხომ დავიღუპებით!

—არ შეიძლება ჩემი მზითევი მე მიბოძოთ?

—შენი არა არის შენი მზითევი, ვინ გამოგწირავს! უთხრა კონსტანტინემ, რომელიც ვერ მიხჳდა, რა აზრითაც ქალმა სთხოვა მზითევი.

—მე მოგახსენებთ, ბატონო, თქჳენი ჭირიმე,—უპასუხა ალექსანდრამ მამას: მე მოგახსენებთ, მიბოძეთ მზითევი, რომლითაც მე შემიძლიან ვიცხოვრო.

—რომ არასა გავს! შენმა დღეგრძელობამ, ქალო, არასა გავს!—შენიშნა მარიამმა: რომელ ქალს გაუტანია მზითევი და ცალკე გამჯდარა! ქალის დანიშნულობა არის უნდა გათხოვდე.

—არ შეიძლება მონოზნობის ნება მიბოძოთ?

—სრულიად შეუძლებელია, — გადაწყვეტით უთხრა მარიამმა: მე მეყურება ქალო, შენი აზრი: გეზრზანებს ჩვენი მოშორება, გეზრზინება უცხო ვაჟკაცთან შეყრა და ცხოვრება; მასთან გრცხვენიან, ვერ გაგიბედავს: არ გინდა ჩვენ გალში ჩავცვივდეთ. მამწონს შენმა სიცოცხლემ; მაგრამ რასა ვიქთ. რომ ასეა ქვეყანა აშენებული. ღმერთმა ბძანა: ქალი სხჳსია და არა დედმამისაო ბძანა და უნდა აღსრულდეს!

—მაშ, ალექსანდრაჯან, შენი გეშჯისა! ხუმრობით და ალერსით უთხრა კონსტანტინემ: მაშ გ ნდა რომ შენსავით კარგი შჳლები გეავდეს! უალერსებდე, შეჰხაროდე, ტკბებოდე იმათის ყურებითა, როგორც ჩვენ გიალერსებთ, შემოგხაროთ და ვტკბებით შენის ყურებითა! დედა ეგრე სწუხდა პირჳელში გათხოვებასა, ეხლავი, ხედავ: როგორი ბედნიერია. შენც ეგრე იქნები! სიყმაწჳლით და გამოუცდელობით გეშინიან ქმრის შერთჳსა, მერმე მადლობელიც იქნები. ნუ სწუხარ! ჩვენ შენთან ვიქნებით.

ალექსანდრას გადმოსცვივდა ცრემლები.

—ნუ სწუხარ, შენ გენაცვალოს დედა! — უთხრა გულმტკივნეულად მარიამმა: ქმარი ისეთი საშიში არ არის, როგორც შენ გამოგიხატავს. ქალი ქმრით არის ბედნიერი! ქმრიანი ქალი სულ სხჳა არის, გასათხოვარი სხჳაა! გაუთხოვარი ვერ დარჩები!

—ვის მაძლევთ? ძლივ წამოილუღლუღა, რომელსაც ცრემლები ველარ შეემაგრა.

—ძლიერ კარგ ვაჟკაცსა, საუცხოვოსა, უკეთესი აღარ შეიძლებაა — უთხრა ღიმილით მარიამმა, რომელმაც მო-

სწმინდა ქალს ცრემლები და ჩაიკრა გულში და მერმე დაუკოცნა მთელი სახე.

—თეიმურაზსა!—წამოიყვირა კონსტანტინემ ღიღუღად და ისეთის სახით, თვითქოს გასაოცარი ბედი მისდგომოდა ალექსანდრას ამ კაცის შერთვით.

ალექსანდრას ფერი წაუვიდა და მოუვიდა, კინაღამ გული შემოუყარა.

დედმამას რომ სცოდნოდა ქალის აზრი, რასაკვირველია ასე არ მოიქცეოდნენ და მიხვდებოდნენ, რომ ფერი მისდიოდა და მოსდიოდა ელდისაგან და გულისწუხილისაგან. არა, იმათ იფიქრეს, ვითამ ფერის ცვალება მოუვიდა ალექსანდრას სიხარულისაგან და სირცხვილისაგან. ამიტომაც კონსტანტინე და მარიამ უალერსებდნენ და ეხუმრებოდნენ ქალსა, ქალიც ამასობაში მობრუნდა, გამხნევდა.

—იცნობთ თეიმურაზსა?—ჰკითხა ალექსანდრამ დედმამას ირონიით და ნაზის ხმით.

— საუცხოვო ყმაწვილ კაცია, ალექსანდრავ, უპასუხა მარიამმა: გაზდილი, ნასწავლი, დიდი ჩინოვნიკი, მდიდარი, მშვიდი, გონიერი, სიტყვით ყოვლის ფრით სრულია თეიმურაზი! უკეთესს ვერ ვიპოვნიდით!

—აბა შენ გაზდას, ჩემო სიცოცხლე შვილო! ცუდს რათ აგირჩევდით! დახე, დახე, ამ ბედიანსა!... როგორ იამა!.,. განა შენც მოგწონს?... განა ცუდი არ აგვირჩევია?!.. ერთი შახედე მარიამჯან, შენი ჭირიმე, ალექსანდრას როგორ გაუხარდა!..

ამ დროს შავიდა ლიფსიმე.

ალექსანდრამ იგრძნო, რომ ამ ცბიერის დედაკაცისაგან მოხდა ეს ამბავი, ზიზღის თუალით ერთი კი შახედა იმას და არ იკადრა იმასთან დამჯდარიყო და გაეგონა საზიზღარი და გულის მომწყულელი იმისი ლაპარაკი....

## თავი 7.

## წინადღე ნიშნობისა.

თეიმურაზ იყო გულ მოსული ალექსანდრაზე, რადგანც ამ ქალმა არ დაუმორჩილა თავისი აზრი იმისს სურვილსა და, როგორც სჩანდა, არ იკადრა ისი ქმრათ. ემუქროდა ასეთ დამცრობისათჳს, სიტყუა ცუდ დღეს უპირებდა. მართლადაც ამ გვარ ამპარტავან კაცთან სამიშია შებმა. ის მცირედის წყენისათჳს შეამთხვევს მოწინააღმდეგეს ნაღველსა.

შემდეგ ვიზიტისა, თეიმურაზს უნდოდა ალექსანდრას შერთვა მხოლოთ და მისს წინააღმდეგობით და მისხვოს ჯიბრით. ამიტომაც ეს მძვინვარე მხეცი მოუთმენლათ ელოდა ნიშნობის საათსა; რადგან ეშინოდა, ალექსანდრას უარისთქმით არ ჩაეშალა საქმე. შიშისაგან კინაღამ გადირია ჭკუიდამ: ვერცა სჭამდა, ვერცა სუამდა, ვერც იძინებდა,—შეშფოთებულ ცხოვრებაში იყო. და რომ ალექსანდრას არ ჩაეშალა საქმე, ლიფსიმეს დღეში ორჯელ გზავნიდა ქალის დედმამასთან დასაზვერავად და საქმის შესამაგრებლად. თეიმურაზ მცირე ხანს დამშვიდდა, როდესაც ლიფსიმემ მიუტანა ამბავი, ალექსანდრა სრულიად

დამორჩილდა დედამასა, მაგრამ ეჭჳ კიდევაც უქეჯნიდა სამაგელ გულსა, ბნელი აზრები უბნელებდნენ თავსოვე დაბნეულებულ გონებასა.

თუმცა ეჭჳ არა შორდებოდა, მაგრამ თეიმურაზ შეუდგა სამზადისსა სანიშნობოთ, იმან შეაწყერა საუმოს საქორწილო ფული ორასი თუმანი. ყმებმაც, რომელთაც სიღარიბით ნატისულსალი ასდიოდათ, გული აიღეს და მოართვეს შეწერილი ფული.

ეს იყო ნიშნობის წინა დღეს,

თეიმურაზმა ეს ფული საქორწილოთ შეინახა. ნიშანი კი მოაგროვა სხუა და სხუა მაგაზიებში ნისიად.

იყო თერთმეტი საათი დილისა. ლიოვსიმე ქაქანით შევარდა ეკატერინესთან. თეიმურაზ თან შეჰყვა, თეკლე-ემ იდუმალ ყური დაუგდო.

—უჰ!... უჰ!.., უჰ!.. შეჰყვირა ქაქანით და თავის აქათ-იქით გადაგდებით ლიოვსიმემ: რა სახაში დავიღალე! მოვკვდი სირბილით! დასწყევლოს ღმერთმა მედროშკეების თავი: დროშკა არსად შემხუდა!

—ვაი, შენ ჩემო თავო! თქუა შეწუხებულის სახით ეკატერინემ და ხელები მუხლებზე დაიკრა: ნეტავი ღმერთი გამწყრომოდა და.....!

—არაფერია; ეკატერინეჯან! გაივლის; აგერ კიდევ დავისვენე,—უთხრა ლიოვსიმემ: აბა მზათახართ თუ არა, ეკატერინე, თეიმურაზ?

—ჩუენ მზათ გახლავართ,—უთხრეს დედამ და შჳლმა.

—რაზე გეტყობათ!—ისინი ემზადებიან; დიდი ნიშნობა უნდა გადიხადონ; ორასი სული ქალი და ვაჟი

მოიწვიეს; საზანდრები ეყოლებათ. რჩეულ სამჯავროში კი არ შემარცხვინოთ!

—რას გვბძანებთ თქვენი ჭირიმე!—შეჰყვირეს ეკატერინემ და თეიმურაზმა ერთის ხმით.

—საკვირველია, თქვენი ჭირიმე, თქვენი საქმე!—წამოიყვირა მოუთმენლობით და დიდგულად ლიფსიმემ: თქვენი გითხრა რომ არას გავს! მე რა უნდა გიბძანოთ! მე როგორ შემიძლიან გიბძანოთ! მე რა თქვენი ბძანებული ვარ! თქვენი თავისთვის თქვენვე უნდა იზრუნოთ. სულ მე ხომ ვერ ვირბენ, თავათ დედაკაცი აღარა ვარ!—ნიშანი მზათა გაქვსთ?

—მზათ გახლავს, თქვენი ჭირიმე. უპასუხეს ერთის ხმით დედამ და შვილმა.

—იმიტომ უფრო გიახელ, რომ გავშინჯო ნიშანი და თუ შეუსაბამო იქნება რომელიმე ნივთი, გამოვცვალოთ. რას მიბძანებ, ეკატერინეჯან! ალექსანდრას ასეთი ნიშანი უნდა მიუვიდეს, რომ არადროს არავის მიეტანოს!

—ახლავ მოგართმევ, თქვენი ჭირიმე ნიშანსა და იმედი მაქვს მოგეწონოსთ,—უთხრა თეიმურაზმა და წავიდა

—მოიტანეთ, თქვენი ჭირიმე,—მისძახა ლიფსიმემ.

თეიმურაზმა შეიტანა დიდი ვერცხლის ფოდნოსი, რომელზედაც ეწყო ხელოვნებით გაკეთებული სხვა და სხვა ყვავილების თაიგულები: ოთხი ფოდნოსის ოთხკუთხეზე და ერთი. უფრო დიდი, შუა გულში, ერთ თაიგულზე ჩამოკიდებული იყო ოქროს მინაქრიანი საათი, ბრილიანტით მოზნეული, თავისის ოქროს ძეწკვითა;

მეორეზე ოქროს ბრასლეტი, რომელსაც შუა გულზე, ირგვლივ, ეფინა მოლივლივე მარგალიტები და მარგალიტების შუა უსხდა ბრილიანტები; მესამეზე მარგალიტის მძივი, პაწაწა ბრილიანტის ჯვარით, ყელზე მეხსაბმელი; მეოთხეზე—მჭეჭლებური დიდროს ფოთლებიანი ოქროს მძივი, რომელიც ეკატერინეს მოჰყოლოდა მზითევში; უსანასკნელ შუა გულ თაიგულზე დამაგრებული იყო ბრილიანტის ფოთმუარი და ერთი ბრილიანტის ბეჭედი; წინ ამ თაიგულისა ეწყო ორი ოქროს გრგოლები (Кольца) თეიმურაზისთვის და ალექსანდრესათვის, დანიშნული [illegible] ადგილი [illegible] ნილი იყო [illegible].

—ოჰ, ოჰ, ოჰ, [illegible], [illegible], რომ უკეთესი აღარ შეიძლება! [illegible] [illegible]! [illegible]!

—[illegible] [illegible] [illegible] რომ!—[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ბის. [illegible] [illegible], რომ უბრალო [illegible] [illegible] კარ[illegible] [illegible] კავშირში!

—გეტყობათ, ლედიდა, კარგა ვერ მეცანით. თქვენმა მზემ, რომ ეწყვში ზმანებოდით,—უპასუხა თეიმურაზმა თავმომწონებით და მედიდურად.

—გიცნობ, შვილო, გიცნობ, თქვენმა მზემ, უთხრა სირცხვილით არეულმა დეოფლისიმემ: განც თქვენი სახლის მორთულობას ნახავს, ისე დაინახავს თქვენში კონიერე-

ზას და გემოვნებას. მე მხოლოდ ამიტომ ვიყავ ეჭვში, რომ ჩვენ, ქართველებმა, არ ვიცით თავის გამოჩენა.

—ქორწილის დღეს მოგართმევ სამოც თუმანს ფუ-ლათ, ერთ ქირმანის შალსა და ორ ძლიერ კარგ ხალსა.

—მადლობელი გახლავარ, ჩემო საყვარელო თეიმუ-რაზ; მრავალს მადლობას მოგახსენებ;—მიუგო სიხარუ-ლით ათრთოლებულმა ლიოვსიმემ.

—თქვენ არ მოუკვდეთ ეკატერინეს, ლიოვსიმეჯან, რომ მაგას არ დაგავიწყებთ,—უთხრა ეკატერინემ: ყოვ-ელ დროს ჩვენზედ პატივცემული იქნებით.

—გმადლობთ, თქვენი ჭირიმე, მიუგო ლიოვსიმემ და მდაბლად თავი დაუკრა: მერმედ ეკატერინეს, კოს-ტანტინეს და მარიამმა უმორჩილესად თხოვეს თქვენცა და თქვენც ნიშნობაშა,

—გიახლებით სიხარულით გიახლებით, თქვენი ჭი-რიმე.

—მე მე ჩვენის მხრითაც მზათ ვარო! თქვა ლიოვსი-მემ და კინაღამ ლეკური ჩამოუარა სიხარულით!

ლ. ე. არდაზიანი.

დასასრული 5 ნაწილისა.

უძღვნი თ. აკ. წერეთელს.

როგორადაც გემი მღელვარეს ზღვაზედ
მოცურავს ქანვით თავ გაწირული,
მრისხანე ზვირთთა მიებრძვის ცხარეთ
არ ეშინება გამწარებული,
და ზვირთნი ზღვისა, მთის თანასწორნი,
ხან თავს ესხმიან საბრალო გემსა,
ხან როგორც ბურთსა, მფოთვით მღელვანი,
მას მიისვრიან მაღლა ჰაერსა,
ხან დაუშვებენ და გარს ერტყმიან,
ემუქრებიან მუდამ წალეკვით
ხან დამოშმილნი დარს აღუთქვამენ
და გულს უვსებენ მშვიდის მომავლით;
მაგრამ გრიგალი რა წამოუვლის,

ისევ ეძლევა გემი განსაცდელს,
და მარჯვლი ჰკრძნობს სიახლოს ნაპირს
გადასარჩენათ ჰსმარობს ნაშთს ღონეს:-
ეგრედცა შენა, ჩემო სიცოცხლევ,
მიებრძვი მწარეთ სოფლის ღელვასა,
არ ემონები სარ ნიადაგ მსნე
და უძლაველები მისს მძლავრს შფოთვასა;
როგორადც გემსა ზღვისა ზვირთები,
შენც სოფლის ღელვა ეგრე გემქრის:
ხან აღგიტაცებს განრისხებული
და ხან ვით ბურთსა ისე გაგისვრის;
ხან თავს დაგესხმის აღელვებული,
დაგნთქავს, დაგფარავს როგორც ნავსა,
ხან ჰპირს მოუყვა თითქო ლიმილი
და დაგიპირებს შვებასა;
მაგრამ ჯერ ისევ მწარე ღელვისგან
არ დავცხრომია თრთოლა გულისა,
უფრო მღელვარეთ წინანდელისგან
ზარსა დაგცემენ მფროთვა სოფლისა.
ამგვარ სიცოცხლევ, ატარებ შენს დღეს

და მარჯვლი შენი ბორბალს გიბრუნებს,
რა რომ იმედობს თვისს აღთქმას მისვდეს,
მის მისაწდომათ ხმარობს ნაშთს ღონეს,

და ვითა გემი მშვიდსა ნაპირსა
ვერ მისწდომია ზღვისა ღელვითა,
ეგრედ, სიცოცხლევ, შენ შენს საკანსა
ვერ მისვედრიხარ სოფლის მფოთვითა.

ანტ. ფურცელაძე.

1863 წელსა იანვრის 9 სა.
თბილისი.

---

## გლეხის აღსარება.

«ხალხად და მსგავსად ღვთისა ვინ ქმნილ არს.
ჭეშმარიტების მხილებაც უყვარს;
და ვისაც სწყინს ჭეშმარიტება
ჩანს დაუკარგავს მას ღვთის ხატება.»
ოხ, დარდების ამშლელო! ჩემის გულის ნაზი ხარ!...
თავდახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზედ მაზიხარ—
დამტკბარს ვერ ოდეს გხედავ, ჩემთან მუდამ ბრაზი ხარ;
უხემით გამრეულიხარ, თუ მე მხედავ ნაზი ხარ!..

რომ იცი, რადათ მკითხავ: ასე რისთვის ვღონდები?
მისთვის ჩემო ბატონო რომ სულ შენ მაგონდები..?
პირუტყვივით მამონებ, მივღობ და არ გეცოდები,
მაგრამ ჩემო . . . . . . . . . .

ცხადად შენ მაგონდები, შენხარ ჩემი სიზმარი;
შენ მდევრელივით მიყქდები, მე თვალით ვარ დამდნარი,
მაგრამ შენ რას დაეძებ?! შენი ფიქრი ეს არი:
«ნეტავ, ვინ გაასწორა ერთათ მთა და ბარი?!»
ამით ჩვენის ვაჟკაცის უფლებაისარ შეცვლილი;
[illegible] შეჭამა!...
მაშ ახლა რაღა [illegible], ამაღლის დროის რომ მოეჯდა?
რათ არ [illegible] მოდი [illegible]?»
თორემ შენ [illegible],
მტერის [illegible], რომელიც ჩვენს შეერყევა?
ქრისტიანობის მტერი [illegible] ჩვენ [illegible]
და ახლის დროის დიდებულმენი, [illegible]
მაგრამ, ვაი! ეს სიტყვა შენ რომგორც გამწარა
მეუბნები: «შენ ვინ ხარ, ვინა ტოვიტომ...?»
მაგრამ, ჩემო კეთილო, იფიქრე. ნუ [illegible]
და მაშინ აღიარე, მართალს ვამბობ თუ არა!..

თ. აკ. წერეთელი.

---

## მომაკვდავი ემაწვილი.

(ნათარგმნი.)

დავიღალე დედა ჩემო, მომასვენე, თორემ ვკვდები!...
მომიპყარი სატრფო გული, მკერდში ჩაგეკვრები!..

ოჰ, ნუ სტირი, დედაჩემო, მოდი, ჩემთან შენც იხარე!
რათ ჭმუნდები? თავს ძირს რათ ხრი..? თვალებს რათ
მაშტერ მწუხარეს?
სიცივეა, ხედავ? თოვლმა მთელი ხმელეთი დაჰფარა;
ქარიშხალი ჩვენსას ფანჯრებს ჰსცემს და სისინებს
ჩქარა-ჩქარა;
მეც ნეტარებაში ვარ! გულშიდაც მხურვალებას ვგრძნობ:
დედა ჩემო, შენ არ გესმის? ანგელოზთან ვმუსაიფობ!
ის ის იყო დაღალულსა მე, როცა ძილი მომივიდა,
მეხვედრე. ეს ანგელოზი წყნარათ ჩემთან შემოფრინდა;
ნათელში არის, სპეტაკობის ღრუბლის შუქებით,
ჩემსკენ მოჰფრინდა, ვერ ხედავ დედა? მოელვარე ფრთებით.
უნდა სადღაც წამიყვანოს და მაპოტინებს მე ბაღებს,
ცოცხლად მიცანს და მაყრის მე თავზედ ჭრელ-ჭრელ
ყვავილებს.
ოჰ რა სამოთხის სუნი ჰსდისთ! დედა ვერ გრძნობ?
რათ შეშინდი?
ოჰ ნუ სტირი დედა ჩემო! შენაც ჩემთან გამოყვენდა!
ვერ ხედავ ამ ანგელოზსა! არ უნდა დაგვაცდინოს.
უნდა რომ თავის თავთანა მე შენ ზეცას აყვანოს,
მოელვარეს ფრთებითა [illegible] დაგვ [illegible]
და სამოთხის [illegible] გამაძღებით;
მერე მარცხნით ნუ გამიშვებ! შენც წამოდი! მე სულ
მზად ვარ!
ნუ დამტოვებ დედა! მეოცნებს, მეხვევა ვარ! მ..ვე ვარ!..

თ. აკ. წერეთელი.

# ლექცია IV.

## სახსრები. ნასკვები. კუნთები.

ძვლები, რომ ერთდებიან, ფოსოებს არდგენენ. რომელშიაც ჩალაგებულია შინაგანი. ამას გარდა ძვლები გემსახურობენ მოძრაობისათვის. მაშინ შეიძლება მოძრაობა, როდესაც ერთის ძვლის ბოლო თავისუფლათ იბრუნებს მეორესთან იმ ადგილს, სადაც ერთი ძვალი ახლო ძევს მეორესთან და ბრუნავს, ჰქვიან სახსარი. ყოველი სახსარი ამ რიგათ შესდგება: ზეით ძვალსა აქვს ამოღრმავებული ალაგი, სადაც ძევს კაკნატელა, ქვეით ძვალსა აქვს დარგვალებული ბოლო, ამ ბოლოსაცა აქვს კაკნატელა. ეს ბოლო ძევს ამ ამოღრმავებულ ალაგს და იძვრის. კაკნატელა ძვალს ამისათვის აკრავს, რომ თავისუფლათ მოძრაობდეს, ამიტომ რომ კაკნატელა მტუველი და სიპია, უიმისოთ ძვალი ხორკლიანია და ადვილათ ვერ იბრუნებს. ურმის ლერძს, საპონი რომ დიდხანს არ წაუსვავს კაცმა, თვლები ლერძს დაუწყებენ ხახუნსა, რომელიც ამაობით დაილევა, ე. ი. დაწვრილდება და ბოლოს კიდეც გადატყდება. ჩვენს ძვლებსაც ეს დაემართებოდა, თუ რომ სისხლიდგან კაკნატელაზედ არა სწვეთდეს წამალი, რომელსაც ჰქვიან სინობია (Синовія). ეს სითხელე, სისქით და ფერით გასქელებულს ალუბლის წე-

ბოსა გავს და ყოველთჳს იმ ალაგს იმყოფება. სადაც ძვალი ბრუნამს, და იმას ეცხობა.

ტყუილად გაკეთებულ ჩონჩხზედ ძვლები ერთმანერთზედ მავთულით არიან მიკრულნი, და იმისათჳს არ იშლებიან, მაგრამ ცოცხალ კაცს მთლათ დაუშლელი როგორა აქუს?

ზეითის ძვლიდგან ქუჱითამდის ცოცხალ კაცს ჩასდევს აფსკა, რომლის ბოლოებიც მაგრათ ეხორცებიან ძვლებსა. აფსკა სახსარს ჰფარავს, როგორც ტომარა, უჭირამს ძვლები თავთავისვე ადგილს და მოძრაობას სრულებით არ უშლის და არც ქუჱით ძვლის ბოლოს უშვებს, რომ ზეით ამოღრმავებულის ადგილიდგან ამოვარდეს ამ კანსა ჰქჳან ნასკჳ. სადაც სახსრები არიან, იქ მვლეგან ნასკვები იმყოფებიან. ამ გვარად ყოველი სახსარი შედგენილია:

1) ძვლის ორსავე, ბოლოთაგან, 2) კაკნატელასაგან, რომელიც ამ ბოლოებს ფარავს. 3) მესამე სითხელისაგან, რომელიც კაკნატელას ეცხობა და 4) ნასკვებისაგან.

კაცის სხეულში არიან შემდგომნი სახსრები:

1) ქვემო ყბის სახსრები. ქვეით ყბა გავს ნალსა, რომელიც თავის ბოლოებით შემჯდარია სასაფეთქლე ძვლების სიღრმეში, და იქ ხან ზეით და ხან ქვეით მოძრაობს.

2) კეფის სახსარი. პირველ ხერხემალში ორი სიღრმეა, რომელშიაც არის ჩამჯდარი ორი სათხემე ძვლის როკი, და არის მოთავსებული დიდი ნახვრეტის ორსავე მხარეს, სადაც ტჳნი გადის. ამის შემდეგ მეორე ხერხემალსა აქუს მაღლა კლერტი, რომელიც პირველ ხერხე-

მილში ჩამჯდარია და იმაში მოძრაობს, ამ სახით მთელ თავსა აქვს კისრის გარს მოძრაობა.

3) სხვანი სულ კისრისა, ზურგისა და საწელე ხერ-ხემლები მდებარებენ ერთი მეორეზედ, დაფარულნი არი-ან კაგნატელით და ამ ადგილას წელი იღრიკება წინა და ცოტა უკანაც.

4) კუკუზნის ხერხემლები, რიცხვთ 5), შეხორცებიან ერთმანერთში და როგორც ხის სოლი მენჯებს ძვლის შუა ჩამჯდარნი და გამაგრებულნი, არიან, ამიტომ რომ მთელი სხეულის სიმძიმე იმაზე დამოკიდებულია.

5) მენჯი, რომელიც სამის ძვლისაგან არის შედგე-ნილი, ისინიც ერთმანერთში შეხორცებულნი არიან. ეს მენჯი მდებარებს ხალვათად და ქვეით ბოლოთი აწვება ცოტა წინიდგან თეძოს ძვლის ფოსოს. კაცს ეს მენჯი მოკლე აქვს. მხეცს უფრო დიდი აქვს, და ზოგსკი იმო-დენა აქვს, რომ კუდამდისინ სწვდება.

6) მხრების სახსარი, სადაც მხრის ძვალი ზეით ბო-ლოთი ბეჭის სიღრმეში ჩამჯდარია.

7) მკლავის სახსარი სადაც ბოლო ერთის წინა მხ-რის ძვლისა, ე. ი, მკლავისა მხრების სიღრმეში ჩამჯ-დარია.

8) მაჯის სახსარი, სადაც წინა მხრის ძვლები ხელის პატარა ძვლებს უახლოვდებიან.

9) ყოველ ხელის თითს, ცერს გარდა, სამსამი სახ-სარი აქვს, ცერს კი ორი.

10 თეძოს სახსარი, სადაც ზეითა თეძოს ბოლო მენჯების ძვლის სიღრმეში ჩამჯდარია.

**11**) მუხლისს სახსარი ადგილი თეძოს და წვივის შე-ერთებისა. აქ მდებარებს პატარა ძვალი, რომელიც მო-ყვანილობით ბანქოს ჩერვის ტუზის გულსა გავს.— ეს მუხლის კვრისტავია, ის მდებარებს წინიდგან თითონ სახსარზე და ნასკვებით ეკრობა.

**12**) სახსარი ფეხის ჩონჩხისა კანჭით.

**13**) სახსრები ფეხის თითებისა. ყველა ფეხის თითს ოროლი აქვს.

---

ძვალი კაცს მაშინ ამოუვარდება, როდესაც ერთი ძვ-ლის ბოლო სახსრიდგან ამოვარდება, ნასკვსა სჭიმავს, ხანდისხან კიდეცა სწყვეტს და სხვა ადგილას ხორცის კა-ნის ქვეშ გადადის, სადაც კაცს ხელით შეუძლიან გაში-ნჯოს. ამისაგან ტკივილი წარმოსდგება სახსარი დასივ-დება და ვეღარც იმოძრავებს.

ამოვარდნილი ძვალი კაცმა მალე უნდა ჩაისვას, ე. ი. ზეითი ძვალი მაგრა უნდა დაიჭიროს და ის, რომელიც ამოვარდნილია, ასწიოს და ამის ბოლო სახსრის სი-ღრმეში შესვას. თუ ეს მარჯვე გაასწოროს, კაცი მაში-ნვე იმ სახსარს უწინდელებრ მოიხმარს, თუმცა ცოტა-თიკი ეტკინება; და თუ კაცმა ის სახსარი ვერ იხმარა, იცოდეთ ვერ ჩაუსვამთ, და თუ ამოვარდნილი ძვალი დიდხანობამდის დარჩა, მერმე ვეღარ გაასწორებთ, სახ-სარი დამოკლდება და კაცი თავის სიცოცხლეში დამა-ბული დარჩება. ყველა სახსრებიდგან, რომელიც ზემოთ მოვითვალეთ, შეიძლება ძვალი ამოვარდეს. მაგრამ ყვე-

ლაზე ძნელი მეორე ხერხემლის ძვლის ამოვარდნისა, ამისათვის; რომ იმის კლერტი, რომელიც თავის ადგილიდგან ამოვარდება; ზურგის ტვინს აწვებს, რომლის გამოც კაცი აუცილებლათ მოკვდება. ეს ძვლის ამოვარდნა პატარა ყმაწვილებს დაემართებათ ხოლმე, თუ კაცმა ყმაწვილი თავით ძირიდგან ასწია.

ვისაც ერთხელ ამოვარდნია რომელიმე სახსრის ძვალი, იმას კიდევ დაემართება, ამისთვის რომ ნასკვები პირველსავე ამოვარდნისაგან იჭიმებიან და სუსტდებიან; ეს ნასკვები ისე დასუსტდებიან. ხოლმე, რომ კაცი თავის ნებით ძვალს ამოიგდებინებს, და მართალათაც ამ საქმეს ბევრნი ჩადიან, რომელთაც ექიმი უნდათ მოატყუონ, რომ სასნეულოში დარჩნენ და სამსახური თავიდგან მოიშორონ.

ძვლის ამოვარდნის გარდა, კაცს ძვალი ელრძობა. ხან-დიხან, როცა კაცი დაცდის, ანუ გადახტება რაზედმე უცებ ფეხი გადუბრუნდება, ფეხის ბოჩჩხის და წვივების სახსარი ტკივილს დაუწყებს და ფეხს ველარ გადასდგამს, ეს ცერზედაც დაემართება ხოლმე, თუ გაუფრთხილებლივ მიაბჯენს ანუ შემოჰკრა რაზედმე. ნაღრძობი ამოვარდნილი არ არის, აქ ძვლები თავის ადგილიდგან არ ამოვარდებიან, მხოლოთ ცოტათი განზე გაიწევენ და ნასკვს სჭიმამენ. აქ დაზელა არ უნდა, როგორც უბრალო ხალხი ჩადის, ეს უფრო მავნებელიც არის; მაშინვე ნაღრძობი სახსარი ცივ წყალში უნდა ჩადოს და სანამ ტკივილი არ მოუყუჩდეს არ გაანძრიოს.

ზოგჯერ სახსრებს შუა წყალი ჩადგება. მაშინ ეს სნე-

ულება მძიმე და საფრთხილებელია. ქარი სახსრებში გაცივებისაგან მალ-მალე მოხდება და ანთებას ანუ გაგნატელის ლპობას მოახდენს ხოლმე ხანდისხან კაცს ფეხის ცერის სახსარში ქარის მგავსი სნეულება გაუჩნდება. ეს სნეულება სამძიმოა და სხვა წვერების სახსრებსაც გადაედებათ ხოლმე. ამ სნეულებას ნიკრისის ქარი ჰქვიან: ერთობ ყველა სახსრების სნეულება სამძიმოა და ყველა ტკივილი საფრთხილებელია. როდესაც კაცს ამ გვარი სნეულობა დაემართოს, უნდა ექიმს რჩევა ჰკითხოს, ამისათჳს, რომ თუ კაცმა სახსრის სნეულება ისრე გაუშვა ან მოძრაობას სრულებით დაჰკარგავს, და ან მკლები და ან გაგნატულა დაემლებიან, და მერმე მოჭრისმეტი არა უშველისრა: ან ხელი უნდა მოიჭრას და ან ფეხი.

ესრეთ ძვლები სახსრებში ერთმანეთს ებმიან და მოძრაობენ; მაგრამ ძვლები როგორ იძვრიან, რა სძრავს იმათ?

ჩვენ, რომ მკვდრის ტანის კანი პატარა კალმის დანით გავჭრათ, იმის ქვეშ ქონის მგავსი ვნახამთ. ეს ქონი, რომ მოვაცალოთ წითელ ნივთეულსა ვნახამთ, რომელსაც ჰქვიან ხორცი. ხორცი ისეთი გაუწყობელი ლუკმა არ არის, რაგვარათაც გხედამთ იმას ბლუდზედ შემწვარსა ანუ მოხარშულსა. ის არის შედგენილი გაცალკევებული კონებისაგან, რომელნიც ზოგი გძელი იქნება და ზოგი მოკლე, ზოგი წვრილი და ზოგი მსხვილი. ყველა კანს განსაკუთრებით კუთი ჰქვიან. ყოველ კუთს ორი ბოლო აქვს: ერთი მსხვილი—თავი, და მეორე წვ-

რილი—კუდი. თავი და კუდი თეთრ ფერი ნივთისაგან არიან შედგენილნი. ეს ნივთი ძალიან მაგარია, ასე რომ იმის დალეწა ძნელია. ამას შუშა ძარღვი ჰქვიან. თავისა და ბოლოს შუა ადგილი ხორცისათჳნ არის. კუთი ძვალს აა აშ რიგათ აგრამს: მსხვილი ბოლო შეახორცდება ერთძვალსა და წვრილი მეორესა და როცა მოძრაობს, კუთი დაიწყებს შემოკლებასა, შევიწროებასა, ხან გაგძელდება და ხან დამოკლდება, ამაობით ერთი ძვალი იწევს მეორესთან ეს შეიძლება კაცმა მხრის ძვალში შენიშნოს, როდესაც ხელს ნიდაყვამდინ მოიდრეკს.

სადაც მოძრაობაა, იქ კუთები არის. ძვლებზე გამცნებთ სხვა და სხვა პატარა ხორკლებსა და უსწორობასა. ამ ადგილებში სულ კუთები ეგრობა. დალეწისათჳს გვაქვს ყბაში განსაკუთრებითი კუთები; მარის სახეზედა გვაქვს, რომ სხვა და სხვა სახის ცვლილება გამოვიხსატოთ მარის სახეზედ, ე. ი. სიამოვნება, დაღონება. სიახარული, გაჯავრება და სხ. თვალებში გვაქვს, რომ სხვა და სხვა მხარეს თვალი გატრიალოთ; კისერზედა გვაქვს, რომ თავი აწიოთ და დავიღოთ; მკერდზედ წიბოებს შუა, მუცელზედ, ზურგზედ, წვერზედ ერთის სიტყჳთ ყველგანა გვაქვს მთელ სხეულზედ. მრავალი ამიტომა გვაქვს, რომ მოძრაობაც მრავალია და სხვა გვარი. ხშირათ ერთი მოძრაობა ითხოვს, რამდენსამე კუთების მოძრაობასა.

---

სიელმე თვალისა ამისაგან წარმოსდგება, რომ ერთი

რომელიმე კუთი ძალიან დამოკლებულია ან გაჭიმულ-ია და თვალს თავის მხარეს სწევს. კაცს თვალის ელმ-ობა მომეტებული ნაწილი ყმაწვილობისას დაემართება, და რომ ყმაწვილს ეს არ დაემართოს, უნდა ყმაწვილი გაცმა ორისავე კედლით აცქიროს, რომ ცალ მხარეს ცქე-რას არ დაეჩვიოს; ყმაწჳლს ნივთს რომ აჩვენებდნენ უ-ნდა პირდაპირ თვალებთან დაუჭირონ და არამც და არამც გვერდზედ არ უჩვენონ ან ზეით თავიდგან, რომ ზეით არ მოექცეს თვალი (*)

თუ კაცს სიელმე დიდი ხნისა აქვს, ოპერაციით შვე-ლიან (*) (*). ე. ი. გასჭრან ის კუთი, რომელიც დამო-კლებულია და თვალი გაუსწორდება, კუთი კიდევ შეხო-რცდება, იმის ბოლოებს შუა ხორცი გაიზდება.

კისრის მოღრეხა ერთ მხარეზედ დამოკიდებულია იმა-ზედ, რომ ერთის მხრის კუთები თავისთან სწევენ. ეს გაციებისაგან მოხდება და იმის მორჩენა მალე შეიძლება. უნდა კისერი დაუზილონ არაყით, ორთქლის მაზით ანუ სამდოგვით.

ფეხებზედაც კაცს ფეხის ჩონჩხები ბევრ რიგათ მოეგრ-იხება და ხან შიგნიდგან გადატრიალდება და ხან გარედგან. როგორც ელამსა შველიან ოპერაციით ისრე ამას. ხანდისხან მწერლებს, რომელნიც ყმაწჳლობითვე იწყობენ

(*) ჩუენ ქართველებს ცუდი ჩვეულობა სჭირთ რომ აკვნის თავზე ყმაწჳლს ჩანჩხურას ჰკიდებენ. გ. მ.

(*) (*) ოპერაცია გაჭრა რომელიმე სხეულისა ტან-ზედ. გ. მ.

წერას და კიდევ პატარა ქალებს, რომელნიც კერვასა სწავლობენ ანუ დიდხანობამდის წერასა, გვერდ მრუდობა დაემართებათ ხოლმე; ე. ი. გუთები იმ მხარის სხეულისა, რომელნიც მუშაობაში ხშირათ მიყუდებულნი არიან სტოლზედ, იკრუნჩხებიან და ამ მდგომიარობაში დიდხან რომ რჩებიან, მთელ სხეულსა სდრეკენ. ამ უბედურობას, რომ გაცმა უშველოს, პირველი ღონის ძიება ეს არის, ეცადოს რაც შეუძლიან სწორეთ ჯდომასა და სიარულსა, კიდეც უნდა გასწევს გადიწიოს მეორე მხარესა და მომეტებული იმ ხელით იმუშაოს, რომელიც მოღრეკილ მხარეს აბია. და თუ ამანაც არ უშველა, უნდა მართალი ღიმნასტიკა (*) აკეთოს, რომელზედაც შემდგომ ლექციაში მოგელაპარაკებით.

## ლექცია V.

### ღიმნასტიკა იმის მნიშვნელობა და სწავლა.

გაცის სიმაღლე ძვლებზედ არის დამოკიდებული, ე. ი. რამდენიც გაცს ძვლები მოკლე აქვს, იმდენი მდაბალია. მაღალ გაცს უფრო ძვლები გრძელი აქვს.

როგორც ძალიან მაღალ ტანის გაცს, ისე მდაბალსა საკუთრად სიმრთელე არა აქვს. უმაწვლ გაცები, ვინც მაღალი ტანისანი არიან და წვრილ ძვლიანი, მალე ჭლე-

(*) ხელოვნობა სხეულის გამაგრებისა და გაცის სიმარდის მომატება სხვა და სხვა სხეულის ვარჯიშობით. გ.მ.

რქდებიან. მდაბალი ტანის კაცნი, სრულნი და მოკლე კისრიანნი ტვინში სისხლის ავარდნას უნდა უფრთხილდნენ და ტვნის გვეთებას, რომელსაც მსუბუქ დამბლას ეძახიან, კაცის სიდიდე, ე. ი. სისქე ქონზედ და კუნთებზედ არის დამოკიდებული. ყველა სქელი კაცი ღონიერი და საღი არ არის; ძალიან მსუქანი კაცი მოშუტებული ნაწილი უღონო და სნეულია. ქონი მთელ სხეულზედ ძევს კუნთებზედ, კანზედ. როგორათაც წვრილი რუსული ზამბის მხარი. რამდენიც ეს მხარი გაგანიერდება, იმდენი კუნთები წვრილდება და კაცი სუსტდება. გამხდარი კაცები, რომელზედაც ამბობენ ცარიელი ძვლებიაო, ისინიც დასუსტებულნი არიან, კიდევ ამიტომ, რომ კუნთები ძალიან წვრილი აქვთ და ხორცი ცოტა. კაცის სიმრთელე და იმის ღონე კუნთებზედ არის დამოკიდებული. კაცს უნდა მსხვილი და მაგარი კუნთები ჰქონდეს, მარტო ჴელებში და ფეხებშიაკი არა რომ სიმძიმე ასწიოს ან ბევრი იაროს, არამედ მთელ სხეულზედ. მკერდის კუნთებზედ დამოკიდებულია ჩვენი სუნთქვა. კარგათ რომ ამოვისუნთქოთ უნდა გულის ფიცარი გაგანიერდეს. გულის ფიცარი კარგათ მაშინ გაგანიერდება, როდესაც კუნთები, რომელნიც წიბოებ შუა არიან, სწორეთ და ღონივრათ იმოქმედებენ.

მაშ ყოველი კაცი უნდა ცდილობდეს, რომ თავისი კუნთები გაიმაგროს და გაიღონიეროს. კუნთები მოძრაობისაგან მაგრდებიან; სულ მუდამ შინ ჯდომით და წიგნის კითხვით ანუ წერით კაცი ბევრს სნეულებას იჩენს და [illegible] უწინ ტანი გასუსტდება, და როგორც რომ

ტანი გაუხდება იცოდეთ მარტო ხორციცი არ ავადდება, არამედ შიგნით ფილტვებში, გულში კაცის საქმე ცუდათ არის.

არიან ბევრი სხეულის მოძრაობანი, რომლებითაც კაცი ღონეს გაიმაგრებს; მაგრამ რომ მოძრაობამ სრულიათ სარგებლობა გვიჩვენოს, უნდა კაცმა ისეთი რიგიანი და ნამდვილი მოძრაობა მოიქმედოს, როგორიც კუთების მდგომიარობას შეშვენის სხეულში. იმ კელოვნობას, რომელიც გვასწავლის ამისთანა კარგსა და სასარგებლო მოძრაობასა, ჰქვან ღიმნასტიკა. ღიმნასტიკის სასწავლებლათ სხვა და სხვა მაშინები უნდა თოკები, კიბეები და სხ. მაგრამ ეს ყველას არ შეუძლიან, რომ ჰქონდეს; ამისათჳს არიან კიდევ მოძრაობანი, რომელთაც სახლის ღიმნასტიკას უძახიან. ამ ღიმნასტიკას ისეთი მოძრაობანი ეკუთვნიან, რომ ყველას შეუძლიან თავის სახლში აკეთოს; იმის კეთების დრო დილა ანუ ერთი საათის წინათ სადილობამდის არის, ამიტომ რომ ყველაზე მაშინ კაი დროა. კაცი, რომ ღიმნასტიკას აკეთებდეს, უნდა მსუბუქათ ჩაიცვას და მაუდისა ანუ მატყლიანი ტანისამოსი იმ დროს სრულებით არ უნდა ეცვას. მოძრაობისაგან კუთები რათა მაგრდებიან?

როდესაც ჩვენ ვმოძრაობთ კუთი მოკლდება, განიერდება და მაგრდება; ამ დროს სისხლიც ემატება, უკეთესად იკვებება. და იზრდება. დაღალვამდის არ უნდა იმოძრაოს ღიმნასტიკა შველის ბევრს სნეულებას, სხვათა შორის, სიჭლექეს და ბუასილსა.

ღიმნასტიკის გარდა არიან უბრალო მოძრაობანი,

რომელნიც კაცმა ღონის სიმაგრისათჳს უნდა აკეთოს.

სიარული. ერთი საათი, რომ იჭმე, ანუ ბევრი ბევრი საათ ნახევარი წიგნზედ ანუ წერაზედ, აუცილებლად უნდა გაიარ გამოიარო, ანუ გაიქ-გამოიქცე. რომ სისხლი თავიდგან და გულიდგან ფეხების კენებს ასცილდეს და ყოველ სხეულში გავიდეს.

სიარული რაც მეტი შეიძლოთ, იმდენი უკეთესია, დილით და სადილს წინათ, ყველაზე უკეთესი იქნება. რამდენიც კაცი მეტს ივლის, იმდენი სიარული გაუადვილდება, არიან ისეთნი კაცნი, რომელნიც დაუღალავებლივ რამდენსამე ვერსტს გაივლიან—ისინი სწორეთ ჯანიანები არიან.

ზოგს შეუძლიან ბევრი და დიდხანს რბენა, ასე რომ ცხენებს ასწრობენ;ესენი ჩქარა მოსიარულენი არიან უმრავლეს ხალხი ფიქრობს, რომ ჩქარა მოსიარულეთ, უმაწჳლობითვე კუნთებს აჭრიან და ამისათჳს ადვილათ და თავისუფლად დარბიან;მაგრამ ეს მოგონილი ზღაპრებია კუნთებიც კუთუჲი არიან უიმითოთ სიარული არამთუ შეიძლებოდა, არამედ ფეხსაც ვერ გადადგამდნენ. ჩქარა მოსიარულენი ძალიან კი არ დარბიან, არამედ ხანგრძლივ და არც იღალებიან, ამისათჳს, რომ ბევრსა და დიდხან სიარულს უმაწჳლობითვე სწავლობენ.

ტანცაობა სასარგებლო იქნებოდა, თუ რომ საღამობით არ ყოფილიყო, დათბუნებულ ოთახებში, დიდ მყურილობის წინ. ვეჩერებში ჩვენი ტანცაობა სრულიად მავნებელნი არიან. (*) ძალიან სასარგებლოა ბალიარდის

(*) ჩვენი ლეკური სიმრთელისათჳს სასარგებლოა, რა-

თამაშობა, მარტო ის კი უნდა, რომ მოთამაშე ორთავ ხელებს კარგათ ხმარობდეს და ორსავ მხარეს თამაშობდეს.

სხვა და სხვა ყმაწვილური თამაშობანი: ბურთისა, რგოლში მისვლა თვალიანი ლურსმის დაქნევით ჩაგდება, ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ყმაწვილს კი არ უნდა მისცეთ ნება, რომ ოფლის გამოსვლამდის ითამაშოს.

მქიზაყურით სიარული სასარგებლოა ავათ მყოფობისაგან მორჩენილისათვის, მაგრამ კარგათ მყოფისათვის მაგდენი არაფერი.

ცხენით სიარული მკერდისათვის სასარგებლოა. მაგრამ მომეტებული ბუასილს გაუჩენს. ე. ი. მუცელში სისხლის ავარდნას, და აგრეთვე ქვეით სხეულის ნაწილებში. პირველათ ბუასილიანებს ცხენზე ჯდომას ურჩევდნენ, მაგრამ ეხლა დაუწმუნდნენ, რომ მხედრებს ბუასილი უფრო უჩნდებათ.

კაცი მოძრაობისაგან, რომ დაისვენებს დაწვება, ვისაც კაცს მოკლე კისერი აქვს, წოლაში თავი მაღლა უნდა ედვას. თუ კაცი გამხდარია და მაღალ ბალიშზე წოლა უყვარს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმას ფილტვები კარგათ არა აქვს.

უნდა კაცი ორსავ მხარეს წოლას დაეჩვიოს. ერთ მხარეზე დიდხანს წოლა არვარგა, ამიტომ რომ იმ მხარით კაცი ცოტას სუნთქავს. ზირქვე მკერდზე წოლაც არ

---

დგან მომეტებული ნაწილი ცივ აერზედ არის ხოლმე და მთელი ჭუთების მოძრაობანი იხმარებიან. ე. მ.

ვარგა: კაცი თავისუფლად ვერ ისუნთქებს და გულში სისხლი უარდება.

კაცმა, რომელიც ერთს რომელსამე მხარეს წოლა არ შეუძლიან, ექიმს რჩევა უნდა ჰკითხოს, ამიტომ რომ ეს იმგვარ ავათ მყოფობისგან მოხდება, რომელსაც კაცი თითონვე ვერ გაიგებს.

## ლექცია. VI

კანი. ტანზედ გამოყრილი ბუსუსები. აბანოების მნიშვნელობა და აგრეთვე ცივსა და ცხელს წყალში ბანაობისა.

კანი მთელ კაცის სხეულსა ჰფარავს. ის არის შედგენილი ორის მკეცისაგან ანუ აპკისაგან: პირველი ზეითი, რომელიც თხელია და მეორე, რომელიც ზეითზე უფრო რბილი და დაჩვრეტილია. ზეით მკეცა თევზის კანის გვარათ არის, თუმცა კაცს უფრო თხელი აქვს, მაგრამ ისრე არის შედგენილი, როგორც თევზის კანი, რქის ნაჯღისაგან და ჰქვიან პატარა ტყავი ანუ პატარა კანი. ქვეითი—რომლის ქვეშაც მოშორებით ძევს ქონი და ხორცი ჰქვან საკუთრად კანი ანუ ტყავი; (*) ამას გარდა პა

(*) როცა დაწვისაგან ანუ დუგუნისაგან, ზეითი კანი აბურცდება, მაშინ წითელი, ახალი პირი გამოჩნდება. ამას ხორცს ტუტიად ეძახიან: ეს თითონ საკუთრად კანი არის და ხორცამდინ კი, ე. ი. ჯუთებამდინ ჯერ კიდევ შორს არის.

ტარა კანსა და კანს შუა ძევს კიდევ ძალიან თხელი მჭეცი — ის არის შელებილი, რომლის გამო კანის ფერი წარმოსდგება. რამდენიც კაცი ცხელს ქვეყანაში სცხოვრობს, იმდენი კანი მოშაო აქვს, მაგალით. ქართველი რუსზედ უფრო შავგრემანია და არაბებს კი სულ შავი კანი აქვთ. ამ რიგათ კაცის სხეული პატარა დანით რომ მჭეცებათ დასჭრას — შეიძლება ყველა მჭეცი ამ რიგათ დაწყობილი ნახოს: ზეით პატარა კანი, იმის ქვეშ შელებილი მჭეცი და იმის შემდეგ კანი, ქონი, კუთები, ძვლების კანი და ბოლოს ძვალი.

თმა და ფრჩხილები კაცს კანზედ ეზდება. ესეც ის პატარა კანია, ე. ი. რქის მჭეცი, მხოლოდ სხვა სხეულის ნაწილებზედ, ზოგგან გძლათ არიან გამოსულნი

ყოველი თმა პარკიდან ამოდის, რომელიც პატარა კან ქვეშ იმყოფება; ამ პარკში ძევს თმის პატარა, თეთრი ფესვი, რომელიც აქედგან სინოყიერესა სწოვს და მთელ თმის ხვრელში გადის, ამიტომ რომ ყოველ თმას შიგნიდგან პატარა მილი აქვს. ეს მილი შიგნიდგან ცარიელია. ფრჩხილი გასქელებული პატარა კანია, თითის წვერებზედ; ყოველი ფრჩხილი ორ დიუმზედ (*) გძლათ მეტ გაიზდება და თუ კაცმა არ მოიჭრა გადიკაკვება და მეტს აღარ გაიზდება.

კანი იმისათვისკი არა არის საჭირო, რომ მთელ ტანსა ჰფარავს, იმიტომ არის საჭირო რომ ნაპირზე გამოჰყავს სისხლიდგან ისეთი ნივთი, რომელიც გა-

(*) დიუმი არის ერთი ვერშოკის სამი ნაწილი. გ. მ.

ცისათჳს გამოუყენებელია. ამ ნივთს ტენი ჰქჳან, ჩჳენ ყოველთჳს, ტენი გვაქჳს, რომელსაც ვერა ვგრძნობთ ამიტომ რომ თრთქლივით გამოდის და თუ ცხელ ჰაერში ვიმყოფებით, მაშინ ტენი სჩანს და ჰქჳან მხოლოდ ოფლი. ოფლის წჳეთი წყლის წვეთსა გავს, და მართლათაც იმაში ბევრი წყალია, მაგრამ ამ წყალში სხჳა და სხჳა მლაშე და გამოუყენებელი სისხლის ნაწილები არიან; ამ ნაწილებზედ დამოკიდებულია ის სუნი, რომელიც ოფლში გვესმის, და იმისი გემო.

ოფლის გამოსასვლელათ კანსა აქვს მრავალი პატარა ჯირკვლები ანუ ბუშტები, რომელთაც გარედგან აქვთ პირი ანუ ფორი, რომლებიც მარტო დიდათ მაჩვენებელ მინით სჩანს. ამ პირიდგან ტენი გამოდის. ყოველ დღე კაცი ნამს სამ გირვანქამდინ ამოიორთქლავს და ოფლშია. მ. ი. ტენის მომატების დროს ამაზე მომეტებულსა.

ოფლის ჯირკვლების გარდა, კანში მრავალი ქონის ჯირკვლები არიან, რომელთაგანაც ქონი გამოდის.

---

კანის სნეულება ხან უწმინდურობისაგან მოხდება და ხან იმისაგან, რომ კანზედ, როგორც გარეგან ტანისა ზურ-გელზედ.—ყოველთჳს მოქმედებს ჰაერი სიცხე. სიცივე და სხჳა საგნები, რომელნიც კანს აწუხებს. უმეტესად ჩვეულნი კანის სნეულებანი, რომელზედაც მკითხველს გვცო და-არიგოს ანუ ადჳლათ მოარჩინოს, არიან შემდეგნი:

1) წითელი ქარი არის სიწითლე რომელისამე სხეულის ნაწილისა, რომელიც დაუწყებს ტკივილსა და სიცხეს

მიეცემა. ეს მომეტებული ნაწილი კაცს სიცივისაგან დაემართება. პირველათ, რომ იმას მორჩენა დაუწყონ. უნდა იმ ადგილას დაუარონ წმინდათ დანაყილი სახამებელი, მალნეზია (*) მელი. ანუ ქაფურის ზეთი წაუსვან. პირზე კაცს, რომ წითელი ქარი გაუჩნდეს ძნელია, მაშინ ექიმის წამლობა უნდა.

**2**) მენი უწმინდურობის გამო დაემართება, ეს სნეულება, როგორც იცით გადასადების მუწუკების დამწიფება და ქავილი იმისაგან წარმოსდგება, რომ ტანში პატარ პატარა მატლები გაჩნდებიან, რომელნიც ტანსა სძრიან და სძამენ ამ ხნეულების მოსარჩენათ არიან შემდგომნი ღონისძიებანი: ერთი ნაწილი ჩემერიცის (**) ბალახი და რჳა ნაწილი ახალი ქონი, ანუ ერთი ნაწილი გოგირდი და რვა ქონი. ამ წამლით უნდა დასნეულებული ტანის ნაწილი დაუზილონ დღეში ერთხელ, ღამით; მაგრამ ამაზე უკეთესი ერთი სხჳა ღონის ძიება არის: ორი ნაწილი გოგირდი, ერთი ნაწილი კალა ქჳა და რვა ნაწილი საპონი. რომელსაც ეს წამალი წაუსვათ უნდა ერთს საათს თბილ ვანაში ჩასვათ: ორის ანუ სამის ამ წამლის გაკეთების შემდეგ და ვანაში ბანაობით. მენი სრულებით გაქრება.

**3**) მაზოლი. ეს მხოლოდ კანის გასქელებაა; მაზოლი იმ ადგილას გაჩნდება, სადაც კანი ცვდება ხოლმე. როგორათაც ფეხებში, რომელსაც კაცი ვიწროს და მაგარი

---

(*) თაბაშირი.

(**) ჯიშკილის ბალახი.

ტყავის შეკვრილს წაღებს ჩაიცვამს, ისრე ხელებში მაგალ. ვინცა ბარავს ხელის გულში გაუჩნდება. მაზოლის მოსარჩენათ ბევრ ნაირი წასასმელი წამალი და მალამო არის; მაგრამ ყველაზედ უკეთესი წებოვანი მალამოა, რომელსაც მაზოლს ადებენ და უხვევენ.—ამისგან მაზოლი გარბილდება და ფრჩხილით ანუ დანით მოიჭრება. მაგარი მაზოლის მოჭრა საფრთხილებელია' თუ დანით მოსდო ხორცსა, ხანდიხან ძალიან შემაწუხებელი და საშიშარი ტკივილი გაუჩნდება.

**4**) ტენისაგან წამხდრობა. ეს სნეულება პატარა ყმაწვილებს დაემართებათ ხოლმე; ამ სნეულებაში რომელიმე სხეულის ნაწილს პატარა კანი აეძრობა და მხოლოდ ქვეით მკეცი დარჩება, ე. ი. თითონ კანი. ეს კანი გაუწითლდებათ და ხანდიხანაც დაუღპებათ. ეს სნეულება წიზოების, მხრების და შიგნით მუხლის სახსრებში დაემართებათ. მიზეზი ამ სნეულებისა არის უწმინდურათ მოვლა, თუ ყმაწვილი სველსა ანუ ჭუჭყიან სახვევეულში გაახვიეს ანუ ტიტველა ფეხები ცალ ცალკე არ შეუხვიეს ეს სნეულება ხშირათ დაემართებათ. ამ სნეულებას შველის ღვივის კაკლის ფარაშოკი, მაღნეზია, ანუ ნუშის ზეთის წასმა. დიდს, რომ ეს სნეულება დაემართოს, უნდა წინდებში ჩაიყაროს ძალიან წმინდა დანაყილი შაბი და ნახევარი იის ძირი.

კანის სნეულება ბევრ რიგია; მაგრამ იმას ყოველთვის მუწუკებით, ბუსუსებით და ფოლაქებით შეეტყობა. ამ სნეულებათ გარდა, რომელიც მე მოგითვალეთ, ყველას ექიმის წამლობა უნდა, ან არა და რჩევა მაინც უნდა

ჰკითხოს.

ყოველ კანის ნაწილს საკუთრად მოვლა უნდა, რომელსაც გონიერი კაცი უნდა უფრთხილდეს, რომ სნეულებისაგან დაიცვას.

ფრჩხილების დაჭრა, როგორც გხედამთ ადვილი საქმეა, მაგრამ ვინც არ იცის დაჭრა, შეიძლება ძალიან სატანჯველი სნეულება გაიჩინოს. ფრჩხილს, რომ კაცი იჭრიდეს, უნდა კუთხიდგან დაიწყოს და ხორცამდინ არ ჩაატანოს. უთაუროებით შაიძლება, რომ ფრჩხილის ბოლო კანს შეეზრდება; ეს ძალიან ძნელი და კაცის მავნებელია. ვისაც ფრჩხილი შეეზრდება ამ დარიგებას ვურჩევ: ხორცზედ, რომელიც ფრჩხილსა ჰფარავს, უნდა დაიყაროს სქელ მტკეცად დამწვარი შაბი, და თხელი ბამბის ტილოთი დაიფაროს. სამდღეს უკან კიდევ გამოიცვალოს და ქელ მეორეთ დაიყაროს ხოლმე. შაბისაგან ხორცი მოკვარდება; მაგრამ შაბი იქნობამდინ უნდა დაიყაროს, სანამ შეხორცებული ხორცი არ მოკვარდება.

თმის სიგრძე ტანის სიმრთელეზედ არის დამოკიდებული, და თუ თმა კაცს ჩამოუვიდა, ვერაფრით ვერ შეიმაგრებს. ბევრნაირი წასასმელი წამლებია, რომელსაც ურჩევენ გაიკეთონ, რომ თმა ამოუვიდეს და დაიმაგროს, მაგრამ სულ ვერაფერსა შველიან აქ მხოლოდ კაცმა თავის სიმრთელე უნდა გაისწოროს. მაგალ. ქაჩალს ვერა წამალი ვერ ამოგვრის თმასა. ამისგამო რამდენსამე დარიგებას მოგახსენებთ, რომ თმა კარგათ გქონდეთ და არ ჩამოგივიდეთ.

თმა ნოტიოთ შენახული უნდა გქონდეთ, ხშელი თმა

მალე იკუმშება, იმტვრევა და ჩამოდის, ამისათვის ვისაც თხელი თმა აქვს, უნდა პომადა მალ-მალე წაისვას. იაფი ფასისა პომადა მავნებელია და თმასაც ახდენს. კაი ფა-სისაკი სასარგებლოა. კაი და იაფი პომადა ვისაც უნდა, აი ამ გვარის. ორი სტოლის კოვზი ხარის ტვინი უნდა აურიოთ ორ ჩაის კოვზის მწარე ნუშის ზეთშია, ეს ძალიან იაფათაც დაუჯდება და სასარგებლოც არის.

ვისაც თმა უწმინდურათ და ჭუჭყიანათ შეუნახამთ და ქერტლი დასდებიათ, უნდა თავი ქატოთი დაიბანოს ხოლმე.

თავის კრეჭა. გვიან გვიან უნდა. ყველას გამოუცდია, რომ გაკრეჭის შემდეგ, თავი აუქავდება, დააფხანებს, თუნდა რომ კიდევ წმინდათაცა ჰქონდეს. ეს ქავილი იმისაგან წარმოსდგება რომ თავის კანს სისხლი ემატება. ამის გამო პატარა ბავშვებს, რომელთათვისაც სისხლის ავარდნა საშიშოა, ოთხ ანუ ხუთ წლამდე არ უნდა გააკრეჭინონ, და ვისაც კაცს თავის ტკივილი აქვს, იმანაც გვიან გვიან უნდა გაიკრიჭოს.

მე თქვენ მოგახსენებთ, რომ თმა კაცს ხშელი არ უნდა ჰქონდეს, აქედგან თქვენ თვითონ მიხვდებით, რომ თმის დახუჭუჭება, რომელიც ზოგი ერთი კოხტა კაცთ უყვართ, არამც თუ სასარგებლოა, არამედ მავნებელია. გახურებული მაშა იმას დამართებს, რომე იც თმისათვის საშიშოა: ისინი ახმობენ და ხანდახანაც სრულიათ სწვენ და მართლათაც ვინც ამას ჩადის. მალე თმა ჩამოზდის და მელოტდება.

ხორციელი სნეულობის გარდა, თმა ჩამოუა გულის შფოთობისაგან, მწუხარებისაგან და ჯავრისაგან; ამ გვარ

მიზეზებით, ხანდიხან თმა ძალიან დაუჭაღარავდება ამას შველა არ შეიძლება (*) მაგრამ ვისაც თმა ჩამოუა, კარგათ იზამს, რომ პარიკი დაიხუროს. რომელსაც კაცს თმა აქუს, მაშინ თმის ქუეშ, რომ კანია, სითბოს ეჩვევა და უპარიკოთ პირველ შემთხვევაში და ან კიდევ უთმო კაცს კანი ტკივილს დაუწყებს, მუწუკებს დააყრის და ხან საშინელი თავის ტკივილი მოუა.

წვერი, საჭიროების გამო, მალმალე უნდა მოვიპარსოთ ხოლმე, თუმცა წვერიანი კაციკი უფრო ჯანიანია. მაგრამ ჩუენ უწვეროთ ყოფნას ვეჩვევით; ის კაცი ცუდათ ჩადის, რომელიც ხშირათ წვერს ხან გამოუშვებს და ხან მოიპარსავს: კანი ხან სიცივეში არის, ხან სითბოში და ვერც ერთს ვერ ეჩვევა, სნეულდება და მუწუკებს ანუ ბუცუცებს დაყრის.

რამდენიც კაცი წვერს ჩქარჩქარა მოიპარსამს, იმდენი მალმალე ამოუვა და მართლა არა სცდებიან ზოგნი ერთნი უმაწვლო კაცნი, რომელთაც უნდათ ჩქარა ულვაშები გამოუვიდეთ, სამართებლით ზეით ტუჩს იფხეკენ: აქ სავნებელი არა არის რა; მაგრამ მაგდენი არც სასარგებლოა.

გირჩევთ, რომ ერიდებოდეთ იმ გვარ წასასმელ წამლებსა, რომელსაცა ჰყიდიან და თუ კაცმა წაისვა უსამა-

---

(*) ტფილისში ოსთრებმა აბახოში იციან კარგათ თმის შავათ შეღება, იმათი წამალი სხჳა და სხჳა სპარსეთის ბალახებისაგან არის შედგენილი. ეს მავნებელი არ არის; მაგრამ ერთხელ რომ შეიღებოს, უნდა კიდევ გაიმეოროს თორემ თავის ტკივილი დაემართება.

რთებლით თმა მოსცვივა. ეს წამლები ძალიან მავნებელნი არიან, იმათ მარტო თმა კი არ ჩამოჰყვავთ, არამედ თმის ძარკვებს აფუჭებენ და ამით შეიძლება, რომ თავის დღეში კაცს თმა აღარ ამოუვიდეს, ამას გარდა კანს ახდენენ, და კაცს ბევრ რიგ სნეულებას უჩენენ.

ბევრი ქალი სილამაზისათჳს ფერსა და უმარილს ისვამს. კაი ფასის უმარილი მავნებელი არარის; მაგრამ იაფი ფასისა რომელიც შემზადებულია მინერალის ნივთიერებისაგან ე. ი. ტყვიისაგან, ბისმუტისაგან და სხ. ძალიან საფრთხილებელია — ეს უმარილი პირის კანსა ღეჭამს და დედაკაცი მალე ბერდება, რომლის მაგალითს ჩვენს ქვეყანაში ვხედავთ. აქაურ ქალებს უმარილის წასმა ძალიან უყვართ. კაცი ფერსა და უმარილს უნდა ერიდოს, იმის წასმა მავნებელიც არის, ცოდვაც არის და სასაცილოც არის.

---

თქვენ თჳთონ იცით, რომ კანს ნოტიო გარეთ გამოჰყავს, სისხლიდგან გამოუყენებელი პატარა ნაწილები. კანი ცოტა ნოტიოთ და რბილათ უნდა იყოს. მშრალი და ხმელი კანი ყოველთჳს სნეულობაშია და ექიმები მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ კანი ნოტიოთ გახადონ და ამისათჳს ძმარს უსმენ, წყალსა და ძმარს ერთათ არეულსა და სხ. ტენი და ჭუჭყი, როგორც იცით, საცვალ ტანისამოსს აჭუჭყიანებენ და თუ კანზედ დიდხან დარჩა, ახდენს და სხვა და სხვა მუწუკებს აყრის, ამას გარდა ფორებსა გლესამს და გამოუყენებელი ნაწილები სისხ-

ლიდგან ველარ გამოდიან. აქედგან ყველა მიხვდება აბანოსა და ბანაობას რა რიგი სარგებლობა მოაქვთ, რომელნიც კანს უწმინდურობისაგან სწმენდენ არბილებენ და ამოაქვთ ის ჭუჭყი, რომელიც ფორებში დარჩენილია და კიდევ ხელმეორეთ განიდგან დაიწყებს ტენი ამოსვლასა. ყველა ბანაობაზე უკეთესი არის. რუსულ აბანოში ბანება. ეს აბანო მარტო სიმრთელიან კაცს კი არ უნდა, რომელიც მუშაობს, არამედ მარგებლია ზოგი ერთა ავათ მყოფობისათჳს, რომელთაც დიდი ხნის ტკივილები აქვთ, მხოლოთ კი უნდა, რომ კაცმა ფრთხილათ და გონიერათ იბანოს. წესი აბანოში ბანებისა. თვეში კაცი აბანოში სამჯერის მეტათ არ უნდა წავიდეს, ძალიან მშიერი; რომ წავიდეს არ შეიძლება და გამაძღარის წასვლა უფრო საფრთხილებელია: პირველი ეს რომ, თუ მშიერი წავიდა, აბანოში ძალიან დასუსტდება და მეორე ეს, რომ კუჭ სამსეს აბანოში ადჳლათ დაემართება ტჳნში სასიკუდილო სისხლის ავარდნა. ყინვის დღეში პირდაპირ არ შეიძლება ცხელ აბანოში შესვლა, უნდა ცოტათი დაისვენოთ აბანოს წინ ოთახში, რომ სხეული გაგითბეეთ. ნაბანოევმა ცივი წყალი არ უნდა დალიოს,—ყველაზე უკეთესი თბილი ჩაი, და მსუმბუქი თბილი წვენია. და თუ გშიანთ შეგიძლიანთ დანაყრდეთ. აბანოს ცოცხით ტანის გახეხა და ორთქლის გამოყვანა ძალიან მარგებელია; მაგრამ ყველა ზომიერათ უნდა. ულონთ და ძალიან გამხდარ კაცებს რუსული აბანო არ მოუხდებათ, იმათთჳს თბილი ვანები უბრალო წყლისაგან უფრო სამჯობინარონი არიან. თბილი აბანოები მხოლოდ დადა-

ლულ კაცისათჳს არის კარგი, რომელიც ნამგზავრი ანუ ომიდგან მოსული; კიდევ ორსულ დედა კაცებისათჳს მალიან მარგებელია, მხოლოდ უკანასკნელ თვეებში შობამდინ უნდა იაროს. პატარა ბავშვები კვირაში თბილს ვანაში სამჯერის მეტათ არ უნდა აბანოთ. ჯანიანი კაცისათჳს აუზში ჯდომა ნახევარ საათი საკმაოა, ერთი საათი მეტიც არის და ამაზე ზეით კი აღარ შეიძლება.

აუზიდგან გამოსულმა უნდა მშრალის ფუტით კარგათ შეიწმინდოს, რომ წყლის წვეთი არ დარჩეს და თუ ცუდათ შეიწმინდა ეს წვეთები გაცივდებიან და კანსაც გააცივებენ.

ტფილისის აუზები, იმიტომ არის კარგი, რომ მექისეები არიან, რომელნიც ტანსა ზელენ და ქისას უსმენ, ე. ი. ჩჳრნს ტანზედ, თავის გვარათ, ღიმნასტიკას ჩადიან. მაგრამ ეს აუზები რუსულ აუზებზე ცუდი აუზებია. ტფილისის აბანოები შეაციებენ და სურდოს შეჰყრიან ხოლმე; გულ დასუსტებულისათჳს მავნებელნი არიან, ამიტომ რომ გოგირდიან ორთქლისაგან კაცს სული უგუბდება და ხველა შეეყრება; კიდევ მავნებელია ორსულ დედაკაცებისათჳს, ამიტომ რომ ამ აბანოებისაგან საშოდგან სისხლის დენა დაემართებათ, და საშოდგან სისხლის დენა არის ზოგჯერ უდღეოთ შობის მიზეზი.

მდინარეში ბანაობაც სწმენდს და ახლებს კანსა. ყველაზე კაი დრო ბანაობისა დილაა. თხუთმეტ მინუტს მეტს კაცი წყალში არ უნდა დარჩეს და როდესაც ტანის შეცივება იგრძნოს, მაშინვე წყლიდგან უნდა ამოვიდეს;

ნაბანოების შემდეგ სეირნობა საკურველად მარგებელია. ტანზედ ცივის წყლის დასხმა მარგებელია, მაგრამ კაცი ყმაწვილობითვე უნდა შაეჩვიოს და თუ ოცდა ათის წლისამ და უღონო კაცმა ტანზედ ცივი წყალი დაისხა, არ ვარგა; იმის დრო გადასულილაა, თუ მაინც შეჩვეულიც არ არის.

ამ ლექციის შემდეგ მე თქჳენ მოგახსენებთ, რომ კანის სუფთათ შენახვა ყოველთჳნ ჩჳენი ზრუნვაა, ტანის უწმინდურობა კაცისათჳს არამთუ საზიზღარია, არამედ მავნებელია იმ მიზეზების გამო, რომელიც თქჳენ ეხლა იცით. რაც უნდა ღარიბი კაცი იყვეს, უნდა მეტი გროშა შეინახოს, როგორც თბილის ტანისამოსისათჳს და ფეხთ საცმელისათჳს, ისრე აბანოსათჳს, ამიტომ რომ როგორც ტანთ საცმელი ჰფარავს სიმრთელეს და ღონეს, ისრე აბანო.

## ლექცია. VII

გაციება. სითბო და სიცივე. ტანთ საცმელი.

წინა ლექციიდგან იცით, რომ ტენის გამოსვლა სიმრთელისათჳს ძალიან საჭიროა და ტენი კაცს ყოველთჳნ უნდა გამოსდიოდეს. და თუ ტანში ტენი დარჩა და არ გამოვიდა კაცისათჳს ძალიან მავნებელია. ყველაზე მეტად ოფლის დენას გაციება უშლის, ცივი ჰაერი, რომ ოფლიანს ანუ თბილს კანს მოხჳდება, მაშინვე მოუჭერს და შეუკრავს პირს იმ ნახვრეტებსა, საიდგანაც გამო-

დის უსარგებლო სისხლის ნაწილები. ეს უვარგისი ნაწილები, სისხლში რომ რჩებიან, კანიდგან გულღჳძლში გადის და სხჳა და სხჳა სნეულებას აჩენს, რომელზედაც თავის დროზე მოგელაპარაკებით. უმთავრესნი ამ სნეულებათაგანნი არიან: სურდო, ფილტვების კატარა, (*) მუცელა, ტეხა და ციება. კაცი უფრო ხშირათ გაცივდება გასული ქარისაგან (**Сквозной вѣтеръ**). ყველამ იცის რომ კაცი ძრიელ სიცივეს უფრო მოითმენს კარში, მინამ გასული ქარის ბერვასა, კიდევ ყველამ იცის, რომ იმ ფანჯარასთან, რომელსაც ნახვრეტები აქჳს, საქმობა არ ვარგა, აგრეთვე გარეთ ქარში ჩაის დალევა და თბილი ოთახიდგან ოფლიანი კაცის გარეთ გამოსვლა. გასული ქარის გარდა, შეიძლება კაცი გაცივდეს სველი ტანისამოსისაგან, პერანგი ან წინდები რომ დაგისველდეთ, უნდა მაშინვე გაიხადოთ, ტანზედ და ფეხებზედ არაყი ანუ ოდეკოლონი წაისვათ და ისრე გაიწმინდოთ, მერმე მშრალი საცჳალი ჩაიცვათ, და თუ სველი ტანისამოსი კაცმა არ გამოიცჳალა, ტანზედ შეაშრება და იქიდგან ისეთი ოშხივარი გამოვა, რომელიც კანისათჳს ძალიან მავნებელია. ეს ტენის გამოსვლასაც დაუშლის. კაცი რომ გაცივდეს, მაშინვე თჳთონ მიხჳდება და ეხლა თქჳენ, რომ იცით რა არის გაცივება და ან რა ვნება შეუძლიან

(*) კატარა ძლიერი ანთება ლიპიანი თხელი კანისა სხჳა და სხჳა სხეულის ნაწილებში, მაგ. ფილტვებში, ყელში და სხ. ეს ანთება ძალათი სხეულისაგან ლიპს აშორებს. ვ. მ.

მალე გაიგებთ როგორ უნდა უწამლოთ თქჳენ თავსა. გაციება ოფლს არ უშვებს კანიდგან, და ამის მიზეზით გაციებული კაცი უნდა ეცადოს, რომ ტანი მოიგვაროს ე. ი. ოფლი მოიდინოს. გაციებულმა კაცმა თბილს ოთახში უნდა დალიოს თბილი მალინა, მარწყჳსა ანუ დიდგულის მარცვლებისა წჳენი, და თუ ეს ვერ იშოვნა, სხჳა თბილი სასმელი; თუ ამან არ არგო. ფეხები წყა-ლში უნდა ჩაიწყოს, ლოგინში ჩაწვეს და ოფლი მოი-დინოს. უეჭჳელად მთელ ტანში უნდა, რომ საკმაოდ ოფლი გამოუვიდეს.. სხჳაფრივ, თუმცა კაცი უკეთ შეიქ-ნება, მაგრამ სნეულება შიგვე დარჩება და მეორე გაცი-ებაში უფრო მომეატება და ხანდისხან მძიმე და გულ ღჳძლში საფრთხილებელს ანთებასაც გაუჩენს.

სითბოსაგან კაცისათჳს ზომიერი სიცივე უფ-რო მარგებელია, ამ გჳარ სიგრილეში კაცი უფრო ღო-ნიერი და მთელია, სუნთქჳა ჩქარი აქჳს, საჭმელის მო-ნელება რიგიანა, მუშაობა ეხალისება, და პურის ჭამის მადაც კარგი აქჳს, მაგრამ ძალიან სიცივეში, დიდი ყინ-ვებიკი საშიშო ტკივილებს გაუჩენენ, და თუ კიდევ დიდი ხანი დარჩა ამ მდგომიარობაში, კაცი მოკჳდება.

ძლიერის სიცივისაგან კანი ჯერ გაუთეთრდება: ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლი შუა ტანში მიდის; თუ კა-ცი ეცადა და ტანი გაითბო ხელ მეორეთ კანი გაუწითლ-დება, იმის ძარღჳები გაიფსებიან. და კაციც მორჩება. და თუ კიდევ სიცივეში დარჩა კანი გაულურჯდება, აუბუ-შტდება, და ტკივილს დაუწყებს; შემდგომ კანი გაუშა-ვდება, ანტონის ცეცხლი გაუჩნდება, ე. ი. ტანი სრუ-

ლებით მოუკვდება, გრძნობას და სიცოცხლესაც დაჰკარგამს. ამ რიგათ გაეყინება კაცს, რომელიმე სხეულ ნაწილი მაგალით. ცხჳრი, ყურები და ფეხისა და , თითები. ხანდიხან მთელი კაცი ისრე გაიყინება, შიგნით სისხლი ყინულათ ექცევა, სხეულის ნაწილები გ უშეშდება, და როგორც ხე ისრე გახდება, ერთი სიტყვით მკჳდარივით შეიქნება. დამძრალი კაცი უნდა ჯერ თოვლითა და ყინულით დაზილონ, და არ შეანძრიონ, არც გადააბრუნ გადმოაბრუნონ, თორემ ან ფეხი და ან ხელი მოსტყდება. დამძრალი კაცი პირდაპირ გამთბარ ოთახში არ უნდა შეიტანონ და არც ცეცხლით ანუ ცხელის წყლით გაათბონ: ამისათჳს, რომ ამით შეიძლება მაშინვე სული დალიოს. უნდა კაცი თოვლით და ყინულით იქამდის დაზილონ, მინამ ზელით ტანი არ გაუთბება და როდესაც შეატყონ ტანის გათბობა, უნდა გრილ ოთახში შეიტანონ. და როცა ტანი კარგათ გაუთბება და გაურბილდება, მაშინ მაუდის ნაჭრებით უნდა დაუზილონ და თუ ცოტაც არის კაცი პირს აღებს, მაშინ უნდა რამდენიმე კაპლი ღჳნო ანუ თბილი ჩაი ჩააყლაპონ. გაყინულ კაცს ექიმმა ანუ ფერშალმა უნდა უშველოს, მაგრამ ამას თქჳენც გეუბნებით: რომ პირველ შემთხვევაში იცოდეთ გაყინული კაცის შველა.

რასაკჳრველია, რომ ყველა კაცი დაიძვრის, მაგრამ მთვრალი კაცს სიცივე უფრო მალე მოედება. ამიტომ რომ მთვრალი ძალიან დასუსტებულია და ძილს ვეღარა სძლევს, რომელიც ძალიან ერევა გაყინულ კაცსა.

მძინარე კაცს სიცივე უფრო მალე ეკიდება, ამიტომ

რომ გული ნელა უცემს, სისხლი ჩქარა ვერ უბრუნავს, მოძრაობა არა აქჳს, ერთის სიტყჳთ იმდენიახოვნობა არა აქვს, რომ თითონვე გათბეს.

თუ რომელიმე სხეულის ნაწილი დააძრა კაცსა, უნდა ისიც თოვლით ანუ ყინულით დაუზილონ, და მერე ქაფურის არაყით, რომით, ოდკით, საპნის წყლით და ბოლოს ქონით უნდა დაუზილონ ე. ი. ბატისა, მჰოხისა და სხვა.

---

სითბო კაცს აჩჳლებს; თბილს ოთახში ანუ გარეთ სიცხეში კაცს სხეული უსუსტდება, მუშაობის ხალისი, და პურის მადაც ეკარგება, მოძრაობა ეზარება: ძრიელი სითბო კაცისათჳს, ე. ი. ადუღებული წყალი, ცეცხლი, გახურებული მეტალი, როგორც იცით კაცის მკვლელნი არიან. რომელსამე კაცის სხეულის დაწვა იმ გვარათ არის, როგორათაც გაყინვა. დამწვარ ადგილს სისხლი მოემატება, წითელი ქარივით გაუწითლდება, მერე განი აუბურცდება და ჩირქი ჩაუდგება. სხეული ძრიელ, რომ დაეწვას კაცს ექიმს უნდა უჩჳენოს; და თუ დამწვარი პატარა ადგილას აქჳს ე. ი. მარტო სიწითლისა და პატარა ბუშტების მეტი არა აჳს, ეს ღონისძიება უნდა იხმარონ:

1) ცივ წყალში უნდა ჩასდოს დამწვარი სხეული და დიდხანობამდის უნა ჰქონდეს, ან

2) მელანი უნდა წაიცხოს დამწვარ ადგილას, ან

3) ბამბით უნდა შეიხვიოს დამწვარი ალაგი და დიდხანს შეხვეული უნდა ჰქონდეს, ან

4) ტყვიის წყლით უნდა დაისველოს,—და, ან

5) უნდა წაისვას მაზი ზეითუნის ზეთისაგან, კვერცხის ცილისაგან და დანაყილ შაბისაგან შედგენილი; ამ მაზს ყველა გააკეთებს საჩქაროთ, და ძალიანაცა შველის.

ყველას აცვია ტანთსაცმელი, შეძლებისამებრ, და იცის თუ როგორ დაიცვას თავის სხეული სიცივისა და სიცხისაგან. მაგრამ ტანისამოსის ხმარებას თავის წესი აქვს; ამის აღსრულება ყველას შეუძლიან, თავის შეძლებისამებრ, რომ კაცის სიმრთელე და ამასთანვე გრძნობის ორღანი დაიცვას.

საცვალდათ, ე ი. პერანგებათ და იმის ამხანაგებათ თეთრი ტილო ყველაზე სამჯობინაროა. ის უფრო გრილი და წმინდაა ბამბის ნაქსოვზე მაგალით. ყალანქარი, ჩითი, რომელნიც—არბილებენ კანსა, აცივებენ და ოფლს იჭერენ. პერანგის ამხანაგი ღილებით უნდა შეიკრას კაცმა და ქვეით შტრიპკებით უნდა ჰქონდეს.—ხონჯარი, რომელსაც ხმარობს უბრალო ხალხი, ძალიან უჭერს სტომაქსა და საჭმლის მონელებასაც უშლის.

კაცი ფუფაიკას არ უნდა დაეჩვიოს, მაგრამ გულ სუსტიანებისათჳს, რომელნიც იმყოფებიან ისეთ ქვეყანაში, სადაც ჰაერი უცებ გამოიცვლება ხოლმე, როგორათაც ჩუენ კავკასიაში, სასარგებლოა ორი პერანგის ჩაცმა და სიცივეში კი ფუფაიკისა. ყველა ფუფაიკებზედ უკეთესი მატყლის ფუფაიკაა, ამიტომ, რომ იმას ფორები აქუს სიდგანაც ნოტიო გამოდის. ფანელისა და ბამბის ფუფაიკა არ ვარგა, ამისათჳს რომ ორთქლს კანში არჩენს და ჰაერსაც არ უშვებს: მატყლის ფუფაიკები ხველები-

ანებისათჳს ამიტომ არის სასარგებლო, რომ არამც თუ გულს უთბობს, არამედ ნელნელა განიდგან გამოჰყავს უსარგებლო სისხლის ნაწილები და ამიტომ შიგნიდგან სისხლში მიდის სხეულის ნაპირთან, რომლის გამო, შინაგან ორღანებს ხშირათ სისხლი არ მიაწვება, რომელიც გულ სუსტიანებისათჳს ძალიან მავნებელია.

ჩასაკჳრველია, ფუფაიკა და საცვალი მალმალ — უნდა გამოიცვალოს კაცმა, თქუჱნ იცით. როგორი უბედურობა დაემართება უწმინდურობის გამო კაცსა და გაიგებთ რა არის ჩირქიანი პერანგი. ვისაც ფუფაიკა აცვია საცვალათ სამი მაინც უნდა ჰქონდეს, თუ არა და სარგებლობის მაგივრათ პირდა პირ მავნებლობას დამართებს. მართლათაც ამ გვარი ამბავი ბევრ უწმინდურ ხალხს ხშირათ დაემართებათ ხოლმე. ტილოს წინდები ყველაზე უკეთესია: მაგრამ ავათმყოფს არა უშავსრა მატყლის წინდებში, მხოლოდ — ტილოს წინდებზე უფრო მალმალ უნდა გამოიცვალოს: ამიტომ, რომ მალე ჭუჭყიანდებიან ქალებმა, რომელთაც წალების მაგვრათ ბაშმაკები აცვიათ, გძელ ჩულქებზედ უნდა წვივსაკრავები მოიჭირონ მუხლის ზეით, სადაც კუთები განიერი აქვთ, თუ წვივს აკრავები მუხლ ქვეით მოიჭირა ქალმა, სისხლის გამუკან ძარღვებს მოუჭერენ, რომელნიც იქვე განქვეშ . იმყოფებიან, — და ამისგამო ხშირათ ფეხები უსივდებათ, ძარღვები მსხვილათ და ლურჯათ გაუგანიერდებათ, ამ გვარი სნეულება სალდათებსა აქჳთ ხოლმე, როდესაც — დიდი ხნის ომიანობის შემდეგ ბინაზედ მოდიან. ეს სნეულება ძალიან ძნელათ მორჩება. ერთობ უნდა ფეხები თბილათა

ჰქონდეს კაცსა და ავდრებში ტყავის კალოშები უნდ დაჰქონდეს. რეზინის კალოშებს ეხლა ბევრი აღარავინ ხმარობს,—ამიტომ რომ ძალიან მავნებელნი არიან. რეზინა არის სიცხიან ქვეყნის ხეების ფისი. ხიდგან რომ ჰაერში გამოდის, ისრე მაგრათ იკვრის, რომ ფორები სულ არა აქვს; ამისგამო რეზინის კალოშები ძალიან ახურებენ ფეხებსა, და ოფლს არ უშვებენ, და როდესაც კაცი გაიხდის უცებ ცივ ალაგს, ფეხები გაუცივდება ამ რიგათ მავნებელი არის ყველა წყალშეუვალი ტანისამოსი მაგალით. მონადირესათჳს. პალტო, შარვალი და სხ. რომელნიც რეზინისაგან შედგენილნი არიან.

შალვარი პოდტიაჟკებით, რომ ეცვას კაცს უფრო გარგია; შალვარზე თასმის მოჭერა ხონჯარივით არ ვარგა, სტომაქს უჭერს, საჭმლის მონელებას უშლის და ხან თიაქარსაც გაუჩენს, რომელზედაც თავის დროზე მოგვლაპარაკებით. პომოჩებიც მეტნი და მავნებელნი არიან, ამისათჳს, რომ სწევენ პოდტიაჟკებს, რომლის გამო გულს აწვებიან. დოშლუღსაც არ გირჩევთ, რომ შემოიჭრათ, სალდათები გარგათ ჩადიან, რომ სძულთ. მართლათაც დოშლუღი არამთუ მეტი სისულელეა, არამედ ძალიან მავნებელია. მუცელზე რომ კაცმა შემოიკრას, როგორც სქელი ბამბის. ნაქსოვი, ახურებს ტანსა, ოფლი გამოაქვს, მაგრამ გარეთ კი არ უშვებს ნოტიოს. თუ დოშლუღი კაცმა ცუდათ შემოიკრა, შეიძლება,—რომ ჩამოსძვრეს და იმისგან გამთბარი ადგილი გაცივდეს. ვისაც ერთხელ გაუკეთებია უნდა ყოველთჳნ იქონიოს, თორემ უეჭველად გაცივდება. ამას გარდა დოშლუღი

მოშვერილი რომ ჰქონდეს, წელებს ავიწროებს და გნებს მოაჭერს, მინამ თასმასა ანუ ხონჯარსა. ყელსახვევი რაც შეიძლებოდეს, მსუბუქი უნდა იყოს. ისრე უნდა შემოიკრას გაცმა ყელსახვევი, რომ იმასა და კისერს შუა თავისუფლათ ხელი გავიდოდეს. თუ ყელსახვევი უჭერს, ის ავიწროებს სისხლის გამტანს ძარღვებსა, რომელთაც მიაქვთ სისხლი თავიდგან გულში. ამისგამო ტვინში გროვდება სისხლი და წვეთის დაცემა შეიძლება, რომ მოხდეს. ამას გარდა, ვიწრო ყელსახვევი უშლის სუნთქვასა და ნაოვაზს უჩენს. საღილის დროს და შემდეგ, თუ შეიძლება უყელსახვევოთ ვდომა ძალიან კარგი იქნება, ან კიდევ რომ დაწვეთ დასასვენებლათ, უნდა ყოველთვის მოიხსნათ.

ზოგი ერთა, რომელსაც ახველებს და ყელი სტკივა შაროვს იხვევს, შაროვები ძალიან მავნებელნი არიან; მე თქვენ გირჩევთ, რომ თავის დღეში არ შემოიკრათ; ესენი დოშლუღზედ უფრო საფრთხილებელნი არიან, იმ-მიზეზის გამო, რომელიც ეხლა მოგახსენეთ, როდესაც დოშლუღზედ ვლაპარაკობდით, ვინც შაროვს დაჩვეულა, ვურჩევ, რომ გადაეჩვიოს ამის გადაჩვევა აი როგორ ადვილად შეიძლება: ზაფხულში უნდა ყოველდღე კისერზედ ეინული წაისვას, ანუ ცივი წყალი დაისხას და მერმე მშრალათ შეიწმინდოს; შემოდგომამდის, უნდა ესრე ეჩვოს და კანი სიცივეს დაეჩვევა და შაროვის შემოკვრა აღარ მოგინდებათ, და თუ ხმა ცოტათი წაგივიდათ, ძნელი საქმე არ არის; სჯობს ერთხელ გაუძლოს გაცმა ტკივილს მინამ მთელს თავის სიცოცხლეში ეშინოდეს, რომ კი-

ხერი არ გაუცივდეს.

ყველაზე თბილათ ფეხები უნდა შეინახოს კაცმა და ცივათ თავი. თავის შეხვევა ძალიან მავნებელია. ძუძუს ბავშვებს ოთახში პატარა ტილოს ქუდის მეტი არ უნდა ეხუროთ თავზედ. ხნიანი კაცისათვისაც ბამბის ქუდის დახურვა ჩერქეზულისა და ზოგიერთი რუსულისა მავნებელია. ისინი თავს ათბობენ, და ნოტიოს გარეთ არ უშვებენ, რომლისაგანაც თავის ტკივილები მოზდის კაცსა, თბილი ქუდისაგან თმა ჩამოუა კაცსა და უდროოთ გამელ-ოტდება (*) ზამთარში უნდა წმინდა მაუდის ქუდი ეხუროს და ზაფხულში თეთრივე კიზიროკიით.

ზეით ტანთ საცმელი კაცს დროს მიხედვით აცვია. სამსახურის კაცებს თავის ფორმის ტანისამოსი აცვიათ რომელთაც არ შეუძლიანთ სხვა ტანისამოსი ჩაიცვან. ცოტა რასმე მოგახსენებთ ამ ტანისამოსზედ: ვინც კაცი ავათ შეიფერებს ყურს უგდებს და იმ გვარ შესაყარ ადგილას არის, იმისათვის შავი მაუდის ტანისამოსი უფრო მავნებელია, თეთრ ტილოს ტანისამოსზედ. შავი მაუდი იზი-

---

(*) მე რომ ამ ლექციებსა ვწერდი, ჩვენში შემოვიდა ახალ ფორმის ქუდები (კეპი): ეს ძალიან კაი საქმეა, ქუში მსუბუქი და რბილია, შინლის ვოროტნიკის წამოფარებას არ უშლის და არც ქარში მოეხდება, იმის განიერი კიზიროკი ჰფარავს თვალებსა მზის სხივისაგან და პირისახეს აჩრდილებს. ჩვენს კავკასიაში ყველაზე კარგათ იმერლები ინახვენ თავსა, რომ უშვებენ დიდ თმასა, და მსუბუქ ფაფანიკს იხურვენ.

დავს თავისთან იმისთანა ნივთიერებას, რომელიც გარდა-სადები და სუნიანია, ყველას, თქუენგანს შეუძლიან შეამჩნიოს ჩიბუხის მომწევს, რომ იმის მაუდის ჩერქესკას, და ანუ სერთუკს. როგორ ყველაზე ჩქარა და ძალიან ეკიდება თამბაქოს; სული ამისგამო სახიფათოა ნამგჳდრევი ტანისამოსის ყიდჳა. სასნეულოში მოსამსახურეთ, და ფერშლებთ უნდა მოთეთრო ტანისამოსი ეცვათ კაზარმებშიაც, სადაც ბევრი კაცი ერთათა სდგას და წმინდა ჰაერი არ არის, უნდა ლილოს მსუბუქი ტანთსაცმელი ეცჳათ, რომელზედაც ტოტა რასმე მოგახსენებთ. კარსეტი ბევრს მოსწონს და ბევრს არა. რომელიც ყოველთჳს საქმობს, იმას გული რათა სტკივა; კარსეტი მაშინ არის კარგი, როცა კარგათ გაწყობილია. ის ასწორებს ტანსა, და სწორეთ აჭერინებს კაცსა. მაგრამ ვიწრო კარსეთი, რომელიც გულს უჭერს, ძალიან მავნებელია. ამ გვარი კარსეთი სუნთქვასაც უშლის და საწოვებელსაც ავიწროებს, ასე რომ, ვინც ქალი უმაწვილობითვე კარსეთს არის დაჩვეული, თავის შჳლებს თჳთონ ვეღარ აწოვებს: ძუძუები ტკივილს დაუწყებენ და დასკდებიან. და ქალს გული რაც შეიძლოს, თავისუფლათ უნდა ჰქონდეს. ჩუენი ქართველი ქალები ძალიან კარგათ ჩადიან, რომ გულის პირს იკეთებენ, რომელშიაც მკერდები, როგორც პარკში ისრე თავისუფლად აწყვია.

ხაზარდები, რომ შემოიდეს, ძალიან მარჯვე და მსუბუქია იმდენ იუბკებზედ, რომელთაც უწინ იცვამდნენ. მაგრამ ხაზარდას ქვეშ პერანგის ამხანაგი უნდა უეჭველად ეცვათ, თორემ. ქვეითი სხეულის ნაწილი გაუცივდებათ,

და ძალიან საშიშარი, ნამეტნავათ დედაკაცის რიგის დროს.

ყმაწვილის ტანისამოსი, რაც შეიძლებოდეს, მსუბუქი და თარხანი უნდა იყოს. ყველა ფანელისა ანუ მაუდის ტანთ საცმელი მავნებელია. მე თქჳენ მოგახსენებთ, რომ პირველ შემთხვევებში, დაბადების შემდეგ, ყმაწვილი უნდა შეხვეული გყავდეთ შეთქი. მესამე თვესვი. აღარ შეახვიოთ ყმაწვილი თავისუფლად უნდა გაიზარდოს, როგორც უნდა. ყმაწვილის სახვევლის და საბნის სისუფთავეზედ, აღარას ვიტყჳ, ამიტომ, რომ ყველამ იცის. მარტო ესკი უნდა ვსთქჳა, რომ ჩჳენს უბრალო ხალხში, ბავშვები ძალიან იხოცებიან პირველ თვეებში დაბადების შემდეგ, უწმინდურობისა და უგუნურობას მხედველობის გამო, ეს დიდი ხანია შეიტყვეს და მართლათაც, რომ სოფლებში და ქალაქის საწყალ ხალხში, ნახევრობამდინ იხოცებიან უშემწეოთ, და ერთ წლამდინ ვერა სძლებენ, და ზოგნი პირველსავე დაბადებაში. ამაზედ მერმე ბევრს მოგახსენებთ.

## ლექცია VIII.

საჭმლის მონელების ორღანები. პირი. ნერწყვი. კბილები კბილების შენახვა.

ჩჳენი სხეული სხჳა და სხჳა ნივთისაგან არის შედგენილი, რომელთაც ერთმანერთში დიდი განსხჳავება აქჳთ მაგალით. განი, ძვლები, გუთები ყველა ეს ნივთები სისხლისაგან, წნლებიან რომელიც გადის ძარღვებში, და ეს

ძარღჳები ყოველ სხეულის ნაწილებში იმყოფებიან. თითონ სისხლიცა საჭმლისაგან კეთდება, რომელსაც ყოველ დღე ვხმარობთ უსაჭმლოთ სისხლი არ იქნებოდა და უსისხლოთ ჩჳენი სხეული არ გაიზდებოდა. მაშასადამე კაცი, რომ სცხოვრობდეს, უნდა უეჭჳელად საჭმელსა სჭამდეს, ჭამის გარდა უნდა საჭმელს იმ რიგათ აკეთებდეს, რომ სისხლათ იქცეს და ყოველ ძარღჳებში გავიდეს, ჩჳენის სხეულის სასარგებლოთ ეს საქმეა ე. ი. საჭმლის სისხლათ კეთება ძალიან შესაქცევი ამბავია. ამ კეთებისათჳს კაცის გვამში ბევრი მომზადებულებანი არიან რომელთაც მეცნიერებაში საჭმლის მოსანელებელ ორგანებს ეძახიან ანუ ორგანები საჭმლის მონელებისანი. პირველნი ორგანები საჭმლის მონელებისანი არიან. პირი, ენა და კბილები. ამათ თჳთოეულად აგიწერთ.

პირი—ორმო რომელიც გვერდებზედ ლოყები არტყია, წინიდგან ტუჩებს შუა იღება და უკან რამდენიმე ნახვრეტი აქჳს. პირი რომ დავაღოთ, ვნახამთ, რომ ენის უკან პირი თითქო გულამდის მიდისო, მაგრამ ენის ძირზე კი შევიწროვდება. ამ ვიწრო ადგილსა ჴქვიან პირის ნახევი, ამ ნახევიდგან ერთი ნახვრეტი მიდის წინ სასუნთქებელ—ყელში და მეორე უკან საჭმლის მისადებელში; ამას გარდა ზეით ენის ძირზე აქეთ იქით მიდის ორი პატარა ნახვრეტი ცხვირის ნესტოებში. ეს ნახვრეტები ცოცხალ კაცს არ უჩანს, მაგრამ ყველამ იცის, რომ შეიძლება ნაზლა იხვრინტოს პირიდგან ყელში და ჩაყლაპოს, ანუ თამბაქოს ბოლი პირიდგან ცხვირის ნესტოში გამოუშოს. არიან კიდევ პატარა ნახვრეტები ყურის

ძვლებთან,—რომელზედაც მერმე მოგელაპარაკებით.

პირს, როგორც ხედავთ გარედგან კანი აკრავს; კან ქვეშ კუთები აწყჳა, რომელნიც ერთის ბოლოთი ზეით ყბას ეხორცებიან და მეორე ბოლოთი ქვეითსა, რომელსაცა პურის ჭამისა და ლაპარაკის დროს ზეით ყბასთანა სწევენ. შიგნიდგან პირს აკრავს ძალიან წვრილი ლიპიანი კანი. ეს წვრილი კანი ორსავე პირის მხარეს მაგრათ ეკრობა ყბებსა, და უკანიდგან პირის ნახევზედ რკალივით გაჭიმულია. სწორეთ ამ რკალს შუა ეს პატარა კანი გძელდება და სქელის ნაჭრით თავქვე ჰკიდია. ამ ნაჭერსა ჰქვიან პატარა ენა; მაგრამ ეს მხოლოთ ლიპიანი პატარა კანია; და ენა კი კუთია, რომელსაც ეხლავე გაიგებთ. როგორც კანში იმ რიგათ პატარა ლიპიან კანში არიან პატარა ჯირკვლები ანუ ბუშტები, კანის ჯირკვლებიდგან როგორც იცით სისველე გამოდის, და პატარა ლიპიანი კანიდგან კი ლორწო, რომელიც ყოველთჳს პირში გვაქჳს. ეს ჯირკვლები ძალიან პატარები არიან,—რომლესაც კარგათ არიან ჴელით ვერ გავშინჯამთ; მაგრამ ამაზედ დიდრონებიც არიან მაგალით. რომელნიც ამარჯუებულნი არიან პირის ნახევისკენა; რომლესაც კაცს გაციებისაგან დაუსივდება, მაშინ ნუშის ტოლათ შეიქნებიან, სისხლით აივსებიან და დაწითლდებიან. ამ ავათ მყოფობას ჰქვიან ყელის ტკივილი (თიადორა).

ამ ჯირკვლებს გარდა, პირის ახლო არიან რამდენიმე უფრო მოდიდო ჯირკვლები. ამ ჯირკვლებს გამოაქვთ ნერწყვი, ეს სითხელე ყოველთჳს პირში გვაქვს და ჭამ-

ის მოხელებისათჳს ფრიად საჭიროა, ნერწყვის ორი ჯირკვალი ყურებთან არის, თითო ჯირკვალი თითო ყბას ქვეშ არის, ორ ორი ქვეითა ყბის გვერდებზედ და ერთი ენის წვერ ქვეშ. ყოველ ჯირკვალს პატარა მილები აქჳს, რომელნიც შედგენილნი არიან დუჟიანი გარსისაგან. ეს მილი ნასვრეტით თავდება პირში და იქიდგან ნერწყვი ჯირკვლიდგან პირში გადის. როგორც ყურისა ისრე ყბების ქვეით ჯირკვლები ასტკივდება და დაუსივდება კაცსა. ყბის ჯირკვლები ბევრჯელ ძალიან ასივდებიან, კანს ქვეშ გამოიბერებიან და ამ სნეულებას ყბაყურა ჰქჳან.

ენა არის ხორცის ნაჭერი და შედგენილია, ბევრის კუთის კონებისაგან, რომელნიც მაგრათ შეკრულნი და ყოველ მხარეს დუჟიანი გარსით გაჭიმულნი არიან. უკანა ენის ბოლოს ჰქჳან ენის ძირი; ის არის შეხორცებული პატარა ძვალთან, რომელიც პირის ძირში იმყოფება, წინა ბოლო კი თავისუფლათ მოძრაობს პირში.

თუ ან ზეით და ან ქვეით ყბიდგან კაცმა კბილი მოიგლიჯა, მაშინ იმ ადგილას ამოღრმავებულს ფოსოს ნახამს, ყოველს ფოსოში კბილი ამოსდის კაცსა, და რომ გაიზდება მაგრათ გამოეშვირება, კბილი—ძვალი, რომლისაც ზეითგან აკრავს სწორე და თეთრად ელვარე ძვალი, (მინანქარი). კბილები არიან: ძუძუსა და სამუდამო ძუძუს პირველი კაცის კბილები, რომელიც კაცს შობის შემდეგ მერვე თვეს ამოუვა,—მაგრამ შეიძლება ხან ცოტა გვიან და ხან ცოტა ადრე ამოუვიდეს. ძუძუს კბილები სულ ოცია. ბევრჯელ ბავშვი კბილებ ამო-

სული იბადება, ეს შემთხვევა ძალიან ძვირათ მოხდება, და კაცი არ უნდა გაკვირდეს და არც შეშინდეს, რომ ბავშვი კბილებით დაიბადოს, ამიტომ რომ დედის მუცელშივე ბავშვს ყბებში კბილები გაუჩნდება, ძუძუს კბილებს ბავშვი მეშვიდე ანუ მერვე წელიწადს დაიცვლის და სამუდამო კბილები ამოუა. სამუდამო კბილები სიმთელიან კაცს ოცდა თორმეტი აქვს, თექვსმეტ თექვსმეტი ზევით და ქვევით, ამ კბილებს სხვა და სხვა სახელები ჰქვიანთ: რვა კბილი ოთხოთხი ზევით და ქვევით წინა კბილები; ოთხი წინა კბილების უკან, დიდი კბილები, დანარჩენი ათათი ზეით და ქვეითი უკანა კბილები, კბილები ერთმანეთში ფორმით ირჩევიან: წინა კბილები საჭრეთელასა გვანან: დიდი კბილები მჭრელნი და წვრილნი არიან; უკანა კბილები კი—განივრები, ბრტყელები და ჩლუნგები არიან. მხეცებს უფრო კარგათ აქვთ დაწესებული ეს კბილების განყოფილება, იმის მიხედვით როგორსაც პირუტყვი საჭმელსა ხმარობს. კურდღლებს, რომელნიც ხის ქერქსა სჭამიან და აძრობენ, წინა კბილები კარგათ აქვთ გამართულნი; ტახს, რომელიცა სთხრის თავის საჭმელსა დიდი კბილები (ეშვები) დიდრონები აქვს; ცხენს, რომელიც ბალახსა სჭამს და უნდა ძალიან კარგათ დაღეჭოს, უკანა კბილები კარგები აქვს, კაცი ყველა საჭმელსა სჭამს, როგორც კორცეულს, ისრე მცენარესა, და ამიტომ სამნაირი კბილები აქვს. სამუდამო კბილები კაცს, ცხრა წლიდგან ვიდრე თოთხმეტ წლამდე, ამოსდის. თუთხმეტი წლისან ყველა კბილები უნდა ჰქონდეს, უკანა დიდის კბილების

მეტი, რომელიც მეოცე ანუ მეოცდა ექვს ეწელიწადს ამოუვა.

საჭმლის ლუკმა, რომელსაც კაცი ჰყლაპავს, უნდა კარგათ დაღეჭილი იყოს ე. ი. დაგუწვილი, ნერწყვში და ლორწოში არეული. ამის შემდეგ საჭმელი კუჭში მიდის. უნდა კაცმა დიდხან დაღეჭოს, არ უნდა ჩქარობდეს, რომ მთელი ლუკმა გადაყლაპოს, საკუთრად ფქვილისაგან გაკეთებული საჭმელი, და თუ კარგათ ნერწყვში არ აიურია კაცი ვერ ინელებს და მოუნელებელი გადის ტანიდგან. თუ კბილები კაცს კარგათა აქვს, უნდა ორსავე მხარეს საჭმელი დაღეჭოს, რომ თანასწორეთ კბილებმა იმუშაონ და ნერწყვც, რომელიც დაღეჭვის დროს გამოდის ჯირკვლებიდგან, ორისავე მხარედგან საყოფად გამოვიდეს, ამიტომ, რომ როგორც წინათ მოვახსენეთ ნერწყვს ჯირკვლები ორსავე მხარეს არიან. ენა, როგორც ყველას შეუძლიან შეამჩნიოს, შეჭმის ღეჭვასა, სდებს საჭმლის ლუკმასა კბილებს შუა, და ორსავე მხარეს აბრუნებს, ერთის სიტყვით, როგორც კარგი მეწისქვლე, რომელიც თანასწორად აყრის ხორბალს წისქვლის ქვაზედ.

როდესაც საჭმელი კარგათ დაიღეჭება, მაშინ ადვილად ენის შუა მოგროვდება და ენაც აიწევს ზეით და საყლაპავისაკენ აიმართება, და როგორც მარხილი დაჰქანდეს აღმართიდგან, ისრე ჩაეშვება ფაყრანტოში, ფაყრანტოში როდესაც საჭმელი მივა მაშინ ყველა ნახვრეტებთან ახლო არის და შეუძლიან, რომელსაც მოხვდება იქ ჩავიდეს. მაგალითი სასუნთქებელ ყელში, რომელიც წინა და უკან იმყოფება ანუ მაღლა ცხვირის ნესტოების ნა-

ხვრეტებში. მაგრამ ეს რომ კაცს არ დაემართოს, ეს ნახვრეტები მაშინვე ჩამოეფარებიან, რომ საჭმელი არ გაუშვან: ყელის გასავალი ენით და ნესტოებისა სასის ფარდებით, დაიფარებიან, ე. ი. იმ დუყის გარსის კრკლებისაგან, რომელიც წინათ მოგახსენეთ: ეს ფარდა ჩამოეშვება და ცხვირის ნახვრეტებს დაჰფარავს. რასაც მე ყლაპვაზედ მოგახსენებთ, მსწრაფლად სწარმოებს ჩვენს პირში, ჩვენ გაუგებლივ ვყლაპავთ ლუკმა ლუკმაზედ. მაგრამ სულ ისრე მოქმედებს, როგორც მე თქვენ გიამბეთ.

---

დუყის გარსი, რომელიც პირსა და ენას ჰფარავს ჩადის უფრო შორს და ეცხობა საჭმლის მიმღებ ყელის შინაგანს, კუჭსა და წელებსა. თუ ეს გარსი კაცსა სტკივა კუჭში, მაშინ ენაზედაც შეეტყობა, ამისათვის ექიმები ენას უშინჯვენ, რომ შეიტყონ კუჭის ამბავი. მაგრამ დუყის გარსი პირში თვითონაც ეტკინება კაცს. პატარა ყმაწვილებს, ხანდისხან იმაზედ ხავსი გადაეფინებათ. ამ ავათმყოფობას სავენვს ეძახიან და ექიმის წამლობა უნდა.

ხანდისხან ახალდაბადებულ ბავშვებს ენის წვერი პირის ძირს შეახორცდებათ, მაშინ ბავშვი წოვას ვეღარ შეიძლებს, ენა არ ეძვრის, და თუ დედამ, უცოდინარობისგამო ვერ შეამჩნივა, ბავშვი უძუძოთ დაჭლექდება, გახდება და მოკვდება. ამას უნდა იმით უშველოს რომ, ასჭრან ის დუყის გარსის ნაჭერი, რომელიც პირს შეხორცებია; თუმცა ეს ოპერაცია ძნელი არ არის მაგრამ

უნდა გაუფრთხილდნენ. რომ სისხლის ძარღჳნი არ გამჭრან, რომელნიც ენის ქვეშ მრავალია.

ხან შეიძლება, რომ ბავშვის, ანუ უფრო ხშირად ხნიან კაცს ენა იქნამდინ დაუსივდეს, რომ პირში აღარ ეტეოდეს და კბილებს შუა გამოუშჯროს. მაშინვე უნდა ენა ზეით პირზედ დაუსეროს, რომ ბევრი სისხლი გამოვიდეს, თორემ კაცი დაიხრჩობა; ენაკი ექიმმა ანუ გამოცდილმა დალაქმა უნდა დაუსეროს.

წამხდარი კბილები, იმის გარდა, რომ ტკივილით კაცს აწუხებენ, მავნებლობა იმითი მოაქჳთ, რომ კაცი კარგათ საჭმელს ვერა ღეჭს იმ კბილებითა, რომლისგამოხან სულ დაუღეჭავსა ჭყლაპავს; ეს დაუღეჭავი საჭმელი კუჭში მიდის და კუჭიც როგორც უნდა ისრე, ვერ ინელებს. კბილის წამალი ბევრ ნაირია, მაგრამ ისეთი წამალი არ არის, რომ ყველა წამხდარ კბილს უშველოს. კბილის ტკივილი ძალიან შემაწუხებელია კაცისა. ყველა რაც კბილის წამალი, კაცმა იხმაროს უნდა ექიმს უჩჳენოს, ამიტომ, რომ თითქმის ყველა წამლები, კბილისათჳს საწამლავნი არიან. გირჩევთ, რომ უფრთხილდეთ იმ გვარ უცოდინარ წამლებსა, რომელთაც ქვეყნის მაწანწალა ხალხი აძლევს უბრალო კაცსა, რომ კბილზე დაიდჳას. ამ წამლებისაგან კბილები ილევიან და მრთელი კბილებიც ასტკივდებიან. არის ერთგვარი კბილის ტკივილის ღონისძიება, რომელიც უექიმოთაც შეიძლება გაუკეთოს, ე. ი. უნდა პირსახოცი ცივ წყალში ჩაასველოს, მერე გასწუროს და იქით ყბაზედ დაიდვას, საითაც კბილი სტკივა, და მერე იმაზედ თბილი ხელცახოცები დაიფაროს. ამით

კბილის ტკივილი ხანდიხან შეუყუჩდება ხოლმე, თუმცა ხან ღძილი და ლოყა დასივდება. ამ ღძილისა და ლოყის დასიებას სიმსივნეს ეტყჳან; მაგრამ სიმსივნე საშიშო არ არის, იმის სიმსივნით კბილის ტკივილი დაუყუჩდება. რომ სრულებით განთავისუფლდეთ ტკივილისაგან, ერთი ღონისძიების მეტი არ არის, ე. ი. წამხდარი კბილი უნდა ამოაღებინოთ; მაგრამ ერთი კბილის ამოღება სხჳა წამხდარ კბილებს ვერ უშველის. კბილები ხდებიან მთელის სხეულის სისუსტისა და ავათმყოფობისაგან, მაგალით. სიჭლექისაგან. მაგრამ უფრო მომატებულად უწმინდურობისგამო. (*) აი ამ რიგათ უნდა დაიცვას კბილები: ყოველ დილას პირის დაბანის დროს, უნდა კბილები გამოირეცხოს პარაშოკით, ეს პარაშოკი უნდა შედგენილი იყოს: დამწვარ პურის ქერქისაგან, მაღნეზიისაგან ანუ თამბაქოს ფერფლისაგან; კიდევ მარგებელია საპნით კბილებით გახეხვა, თუმცა ეს ძალიან სასიამოვნოკი არ არის, ყოველ პურის ჭამის უკან უნდა პირი წმინდათ გამოირეცხოს და რაც კბილებს შუა საჭმლის ნაკუწები დარჩენილია უნდა გამოიღოს კბილის საწმენდით ანუ ბატის ფრთით. პირის გამოსარეცხათ ძალიან კარგია ოდკა, არაყი ანუ ოდეკოლონი. უნდა ძალიან უფრთხილ

(*) ამბობენ, რომ შაქარი და სხჳა ტკბილეული სწყენს კბილებსაო, ეს მართალია, რომ წამხდარი კბილები შაქრისაგან სტკივათ; მაგრამ მრთელი კბილებისათჳს სრულებით მავნებელნი არ არიან, ე. ი. არ ახდენენ, და ვისაც ბავშვს მრთელი კბილები აქჳს კამფეთკები არ აწყენს.

დეთ პირის სიწმინდეს, და ხშირათ გამოირეცხოთ ხოლე-მე, თორემ პირი უსუფთაობისა და საჭმლის კბილებში დარჩენილობისგამო, პირის სიმყრალე დაემართება კაცს. რომლის მორჩენა ხანდიხან სრულებით არ შეიძლება. ვისაც კბილები აკლია, უნდა საჭმლის დასალეჭავათ სპილოს ძვლის კბილები ჩაისვას. მაგრამ ჩასასმელი კბილები ძალიან ძვირია, ამისთვს იმაზე ლაპარაკს აღარ გაგიგრძელებთ.

## ლექცია IX.

კუჭი, წელები, ღვიძლი. და სხვა მუცლის შინაგანი.

უკანასკნელ ლექციაში მოგახსენეთ, როგორც დაღეჭილი და ნერწყვში არეული საჭმელი პირის ნახევში მიდის და იქიდგან ყანყრატოში. ეხლა უნდა აგიწეროთ დანარჩენი ორგანები და საჭმლის მოსანელებელი მასალები და ან საჭმელი კუჭში და წელებში როგორ სწარმოებს. პირსუკან არის ყანყრატო, ამის შემდეგ კუჭი, წელები, და ბოლოს ღვიძლი და სხვა შინაგანი, რომელნიც შველიან საჭმლის მონელებასა. საჭმლის მიმღები ყელი— ხორცის მილია, სიგძით ცხრა დიუმამდინ, და სიგანით თითის სიმსხოზედ ერთ ნახევრათ მეტია, მდებარებს უკან გულში, საზურგე ძვალს ახლო, ასე რომ, მთელი ყანყრატოს პოვნა კაცს რომ უნდოდეს, კისრის კანი და კუთები უნდა გასჭრას, შემდეგ უნდა გაგნატელის სასულე იქით მისწიოს,—და გულის ბადელაში გულის

ძვალი რომ აგლიჯოს, უნდა ფილტვები და გული ამო-
იღოს. მერმე გულის ფიცრის ძირს მუცელში ყანყრატ-
ოსა ნახავს, ეს სწორეთ იმ ადგილიდგან, რომელსაც გუ-
ლის კოვზს ეძახიან, შედის კუჭში, ე. ი. ეს მილი გა-
ნიერდება ასე რომ სურის მუცელსა ჰგავს და ჰქჳან კუჭი.

კუჭი, სხჳა საჭმლის მოსანელებელ ორღანოებით, მე-
გს მუცლის ბადელაში, რომელიც გულისაგან მოშორებ-
ულია ჴორცის ფარით, ეს ფარი მდებარებს ტანის სი-
განეზე და აქჳს რამდენიმე ნახჳრეტები, რომელშიაც გუ-
ლიდგან მუცელში ყანყრატო გადის და აგრეთვე დიდი
სისხლის ძარღვები. კუჭი, როგორათაც ყანყრატო, არის
ხორცის მილი, რომელშიაც ლიში მოფენილია, კუჭს ორი
ნახვრეტი აქჳს: მარცხენა, სადაც თავდება გულის კოვზის
ქვეშ, და მარჯჳნა, სადაც თითონ კუჭი თავდება და
წვრილი წელი.—მარჯჳნა გვერდის წიბოსთან იწყობა
როდესაც კუჭში საჭმელი არ არის, გაპრტყელებულია და
ჰკიდია მუცლის ზეით ნაწილში, ასე რომ სრულებით არა
სჩანს და ვერც ხელით კაცი გასინჯავს; და თუ საჭმლით
სავსეა, მაშინ გაგანიერდება, ტანის სიგანეზე მობრუნდ-
ება და გვერდის წიბოსთან ისე ჰკიდია, რომ კუთებსა
და კანს აწვება, ამიტომ კაცი ძალიან რომ გაძღება, ზე-
ითი მუცლის ნაწილი ჭიპ ზეით, გამოებერება. კუჭი
საჭმლით რომ ბრუნავს, მაშინ თითქო ტუდება ხოლმე
იმ ადგილის, სადაც ყანყრატო თავდება, და აფარებს იმ
ყანყრატოს ნახვრეტსა, ამისათჳს საჭმელი კუჭიდგან უ-
კან პირის ნახჳრეტში ვეღარ ბრუნდება, თუნდ რომ კა-
ლეც პურის ჭამის შემდეგ კაცი ყირაზე დადგეს. კუჭი-

დგან საჭმელი, რომ წელებში მიდის, იქიდგანაც უკან ვეღარ დაბრუნდება ხოლმე, ამიტომ რომ მარჯუჱნა კუჭის ნახვრეტსა, სადაც წელები იწყობა, აქჳს საფარავი დუყის გარსისაგან, რომლისაც მთელი საჭმელი წელებში შევა, მაშინ საფარავი ჩამოუშვებს და საჭმელს უკან აღარ უშვებს.

დუყის გარსსა, რომელიც, როგორათაც პირში, ისრე შიგ კუჭში ეცხობა, აქჳს პატარ პატარა ჯირკჳლები, რომელთაც, ზოგს ლორწო გამოაქჳს და ზოგს კუჭის წვენი; ამ წვენს მჟავე გემო აქჳს, და საჭმლის მონელებისათჳს უპირველესია. საჭმელი კუჭში ნელდება, ე, ი. აირევა კუჭის წვენში და ლორწოში, სრულიად მგზავსებას გამოიცჳლის და ერთნაირ ფაფათ იქცევა, რომელშიაც კაცი სხჳა და სხჳა საჭმელს ვერ გაარჩევს მაგალ. ხორცს პურისაგან, ერბოს კვერცხისაგან და სხ. ამისათჳს საჭმელი კუჭში რომ შევა, ქანაობს ერთის ბოლოდგან მეორე ბოლომდის, და ინჯღრევა, როგორც სადღვებელში ერბო, და ამ დროს კუჭის ყოველ დუყის გარსიდგან, სადაც საჭმელი მოხჳდება ხოლმე, გამოდის კუჭის წვენი და ხჳდება საჭმელსა, რომლის მიზეზით მგზავსება სრულებით ეცჳლება, ლორწო, რომელიც სწვეთის ჯირკჳლებიდგან, უფრო მიელ—ათხელებს საჭმელსა, ამას გარდა, სწმენდს კუჭის შინაგანსა, იცავს იმ მავნებელ ნივთიერებიდგან, რომელიც საჭმელთან კუჭში ხჳდება. არიან ისეთი ნივთნი, რომელნიც საწამლავნი არიან მაგალით. დარიშხანა, სულემანი, ძალიან მალე ჩასწამენ კუჭსა, და ლორწოც საგმაოდ აღარ ექნება, და

თუ საქმით წამლები არ გაუკეთეს კაცი მოკჳდება; მაგრამ სხჳა საწამლავებისაგან კუჭის ლორწო მართლად, კაცს იცავს, მაგალ. კაცს არ აგნებს გველისა ანუ ობობას შხამი, რომ ჩაყლაპოს, აი ამისგამო თვალთ. მაქცები, რომ შხამიან გველებს ხალხს აჩჳენებენ, იმათ თავებს პირში იდებენ და იმათგან გაშვებულს შხამსა ჰყლაპვენ.

ყველაზე კარგათ კუჭი ხორცს ინელებს და პირი ფქვილიან საჭმელს გვიან ლეჭავს. ყველა ხორცსა მრთელი კაცი კარგა ინელებს, თუნდა დალეჭილი კარგათაც არ იყოს, ანუ ისრე დაულეჭავიც რომ არ იყოს, მაგრამ ფქვილის საჭმელი მაგალით. ერბო კვერცხით და რძით მოზელილი ცომი და გამოცხობილი, ლობიო კაცმა რაც შეიძლოს კარგათ უნდა დალეჭოს. ამის გამო კაცს არ უნდა შეეშინდეს, რომ უცებ ცოცხალი ცხოველი ჩაყლაპოს მძინარემა, მაგალით. თაგვი,, ბაყაყი და ამგვარი პატარა ცხოველნი, ამიტომ, რომ რამწამს კუჭში ჩავლენ მაშინვე დაიხოცებიან და მონელდებიან. კაცი საჭმელს ორს ანუ სამს საათს ინელებს, ე. ი. სამსაათის უკან სადილს შემდეგ კუჭი დაცარიელდება, საჭმელი იმაში აღარ დარჩება, და წელებში გავა.

კარგათ რომ გავშინჯოთ ის ფაფა, რომელშიაც კუჭში საჭმლისაგან შედგენილია, და რომელიც წელებში გასვლას აპირებს, ვნახამთ იმაში რომ ხორცი და გაციებული (Студень) თეთრად გათხელებულან, ქონი სიმსუქნე და ძროხის ერბო დამდნარან ზეითუნის ზეთივით, ძვლები დაშლილან თავთავის შედგენილ ნაწილებათ, ე. ი.

გაციებულსათ და მიწათ. (*) გაციებული გამოცვლილა, როგორც გითხარით, და მიწაკი არ გამოიცვლება; ძვლის მიწის გარდა კუჭში და წელებში არ გამოიცვლებიან ჩენჩოები და ხილის კურკები, როგორათაც მხალისა, ატმისა, ქლიავისა ესენი შეუცვლელად გადიან ყველა წელებში და თავისვე სახით ტანიდგან გამოიცლებიან, ამიტომ რომ სისხლისათჳს უვარგისნი არიან.

ამ ნაირათ კუჭში საჭმელი ნელდება. პირველათ ფიქრობდნენ, რომ კუჭი საჭმელს ხეხამსო, როგორც ფრინველებს, რომელთაც მართლად ამ ნაირათა აქუთ კუჭი. ფრინველების კუჭი ძალიან მაგარია და შეუძლიან გაჭყლიტოს ანუ დაფქვას საჭმელი; მაგრამ კაცს ამ ნაირათ არა აქჳს. იმას კუჭი რბილი და ჩჩვილი აქჳს. აქ საქმე მხოლოდ ლორწოსა და კუჭის წვენზედ არის დამოკიდებული, რომელნიც სცვლიან საჭმელსა, ამას კიდევ შველის ნერწყჳ, რომელსაცა ვყლაპავთ საჭმელთან, ამისთჳს უნდა ვეცადნეთ რომ ეს სითხელე მოვიმატოთ, რომ კარგათ იმოქმედონ. კუჭის წვენის მოქმედებას შველის რამდენიმე წამალი, იმათი განწესება ექიმის საქმეა, და ნერწყჳს მომატება ყოველ კაცს შეუძლიან, საჭმლის უკან უნდა თამბაქო მოსწიოს ანუ, როგორც დედკაცები ჩაჩადიან, ცოტა ყავა ან ჩაი დალიოს.

წელები იწყობიან მარჯუჵნა კუჭის ნახვრეტთან, მარჯუჵნა წინა წიბოების ახლო; აქედგან შემოუხვევენ მარცხნივ კუჭის ქუჵით, და მდებარებენ გრგოლივით, ერთი

(*) ნახე მეორე ლექციაში.

გრგოლი მეორეზედ. და არიან მთელ მუცლის, ბადელა-ში. წელების მილი მარჯვენა ფერდს უახლოვდება, ცოტა თეძოს ნავეცს ზეით, მერმე კიდევ უხვევს და მიდის გა-დევ ზეით, ერთის ზოლით და არა გრგოლით, მარჯვენა წიბოს წინ; აქედგან ზედა კერძო პირველის გრგოლისა-გან კუჭის გვერდზედ, მიდის მუცლის სიგანეზედ და მა-რცხენა წიბოს წინ ახლო ეშვება ძირსა, და გადის მარ-ცხენა მუცლის სიღრმის მხარესა. ამ სიღრმეს ქვეით უკა-ნასკნელი წელის მილის ბოლო უკან შორსა ძევს, ზურ-გის ძვალთან, და თავდება უკანა განსავლელის ნახვრეტით. იმ წელის ნაწილსა, რომელიც კუჭთან მარჯვენა ფერდა-მდის მიდის, ჰქჳან წვრილი წელები, და დანარჩენი მარ-ჯვენა ფერდიდგან უკანა განსავლამდე, ჰქჳანთ მსხვილი წელები. მსხვილისა და წვრილის წელების სამძღვარზე, წელის მილში, არის ისეთი საფარავი დუჟის გარსისაგან, როგორც კუჭის ბოლოს იყო; ეს საფარავი მაშინ გა-დაეფარება როდესაც გამოუყენებელი საჭმელი წვრილის წე-ლებიდგან მსხვილ წელებში გავა, რომლიდგანაც ამ მიზე-ზით ველარ დაბრუნდება. ყველა წელებს შუაში სცხიათ დუჟის გარსი. რომელშიაც არიან ჯირკვლები, რომელნიც ლორწოსა და წელების წვენს უშვებენ, და საჭმლის მო-ნელებასა შველიან. მთელი წელების მილი გრძელია; თუ კაცმა გძლათ გაჭიმა ოთხსა და ნახევარ საჟენამდინ იქნება, ამისათჳს წვრილი წელები მუცელში გრგოლივით აწყჳა, თორემ სხჳა ფრივ არ დაეტეოდნენ. საჭმლის ფაფა წვრილ წელებში ძალიან ჩქარა გადის, მაგრამ იმათი დანარჩენი, რომელიც მსხჳლ წელებში გადიან, უფრო ნელა გადიან,

და ხან დიდ ხანს იქვე რჩებიან, ამისგამო კაცს სიყაბზე მოსდის. (*)

საჭმელს წელები თითონვე არბენინებენ. ამიტომ, როცა იმათში საჭმელი მდებარებს, დაუდგრომლად იგრუნჩხებიან და განიერდებიან, იგლანგებიან ზეიდგან ქუჩამდე როგორათაც წურბელა, როდესაც სისხლსა სწოვს, და ამსაობით საჭმლის ფაფას სწევენ უფრო და უფრო უკანა განსავლამდე. შეიძლება, მაგრამ ძალიან ძვირათ, რომ დიდი ტკივილები მოუვიდეს კაცსა, როცა წელები აუშლელ-დებიან, მაშინ კაცს დაუწყებს გლეჯასა, საჭმლის ფაფის საქმებასა, ამიტომ რომ, საფარავი ვერ იმაგრებს საჭმ-ლის ნარჩევსა თავის ალაგს. ეს ავათმყოფობა ძალიან ძნე-ლია, მაგრამ მადლობა ღმერთსა, რომ ხშირი არ არის. მუცლის ბადელას ზეით ნაწილში, მარჯუენა გვერდის წიბოებს ქვეით, მარჯუენა ძუძუდგანა ქუჩით სამი თი-თის დადებაზედ, და უკანასკნელ მარჯვენა წიბოსთან, მდებარებს ღვძლი, ღვძლი არის მაგარი შავ-მოწითლო ფერის შინაგანი, წონით ოთხ გირვანქამდე. ის მდება-რებს იმ ალაგს, რომელიც მე ეხლა თქუენ აგიწერეთ. ღვძლი ცოცხალ კაცს ხელით არ შეიძლება გაუშინჯონ წიბოებს ქვეით; მაგრამ რამდენსამე ავათმყოფობის დროს მაგალით. აქაური კავკასიის ციების დროს, ღვძლი სის-

(*) წითელ კაცს სიყაბზე ისრე, რომ მოუვიდეს, სასაქ-მებელი არ უნდა დალიოს, და ყველაზე უკეთესი იქნება, რომ ცივის წყლის ოყნა დაილიოს. ოყნა მსხვილ წელებსა სწმენდს, სასაქმებელიკი ტყუილად კუჭსა რევს.

ხლით გაიმსებს, გაიტენებს, დაუწყებს ტკივილსა და იმის ქვეითმხარი გამოიმჯრებს უკანასკნელ გვერდის წიბოს ქვეით, და ხან წელებს დაჭიფარავს ხოლმე მარჯვენა მხარესა. ამ ღჳძლის სიებას ჰქჳან შეგუბება (Завалъ). შეგუბება გაივლის, ე. ი. ღჳძლი მაშინ დაპატარავდება, როდესაც ციებას მოარჩენენ, და თუ ციებას არ უწამლეს და ან დაუდევნელად უწამლეს, შეგუბებას მოემატება, და კაცი მოკჳდება წყალმანკით, რომლის მიზეზსაც მერმე გაიგებთ. ღჳძლი ჯირკვალია: თქჳნ კიდეც იცით კანის ჯირკვლები, პირის ღრუის გარსისა კუჭისა და წელებისა; ისიც იცით, რომ ეს ჯირკვლები უშვებენ, რომელსამე სითხელეს. ღჳძლი ტანში ყველაზე დიდი ჯირკვალია, იქიდგან გამოდის სითხელე, რომელიც საჭმლისათჳს დიდად საჭიროა. ამ სითხელეს ჰქჳან ნაღველა, ზეითა ღჳძლის მხარე, რომელიც წიბოებთან არის, თანასწორეთ, და ქჳეითსკი სიღრმე აქჳს. ამ სიღრმეში ძევს ნაღველას ბუშტი, რომელიცა გავს მოგრძო პატარა სურას. ამ ნაღვლის ბუშტიდგან პირველ წვრილ წელში გადის გარსებრივ მილი. ნაღველა, ღჳძლში კეთდება, მერმე ბუშტში ჩაისხმის, და როცა საჭიროება მოითხოვს წელებზედ დაიწყებს დენასა. წელებზედ, ღჳძლიდგან ჩამოდის, სადაც თავის მილები აქჳს გატანილი, ბუშტში და წელებში. ღჳძლს გარდა, კუჭსა და პირველ წვრილ წელს ქვეშ მდებარებს კიდევ მოგრძო ვიწრო ჯირკვალი, რომელსაცა ჰქჳან ქვეით საკუჭე. ის იმორებს თავის წვენს, რომელიც მილით, შედის იმ წელში, სადაც ნაღველა შედის. არის კიდევ მუცლის ბადელაში ჯირკვალი ტყიპი. ის მდებარებს კუჭის მარც-

ხენა მხარეს, მარცხენა გვერდის წიბოებ ქვეშ, და ციების დროს სივდება და დიდდება, როგორათაც ღჳძლი, ამი-ტომ, ვისაც დიდიხნის და ძლიერი ციება სჭირს, ორსავე გვერდის წიბოებ ქჳეშ ტკივილი და სიმსივნე აქჳს (შე-გუბება). ღჳძლს, ტჳრჩს და წელებსა ფეშტამალივით გადაფარებული აქჳს აფსკა, რომელსაცა ჰქჳან მეცლის შიგანეურთ ბუდე, მეცლის ქონის ბადე; მეცლის შიგა-ნეურთ ბუდეზედ მდებარებენ სამეცლე კუთები, ქონი და ბოლოს გარეგანი მთელი სხეულის გადასაკრავი კანი.

ამაობით მეცლის ბადელას, რომელშიაც მდებარებენ ყვე-ლა, რაც მოგახსენეთ შინაგანი, უკან ზურგის ძვალი აქჳს, ზეით გულის ბადელასგან იყოფება, როგორც მო-გახსენეთ, ხორცის ფარით გვერდებზედა და წინ აქჳს კუ-თები და კანი, ქვეით თეძოს ბადელასგან, კი არაფრით არ იყოფება, ასე რომ შარდის ბურთი და ქალის საშო მდებარებენ იქვე წელებ ქვეით, რომელთაც ისინი შეეხე-ბიან საჭმლის ფაფა, კუჭიდგან რომ წვრილ წელებში გადის, ერევა ნაღველასა, კუჭ ქვეით ჯირკვლის წვენსა, ლორწოსა და თითონ წელების წვენსა. აქ საჭმელზე დი-დი და ხერხიანი მუშაობაა, ეს მუშაობა პირიდგან დაწყე-ბული წვრილ წელებამდის არის და მერმე გათავდება ამ საჭმელზედ მუშაობის შემდეგ, საჭმლის შერეულება ორ ნაწილათ განიყოფება. ერთი ნაწილი გაწურული, საჭმლ-ისაგან განიყოფება; ეს სითხელე თეთრია, რძესა ჰგავს და უნდა სისხლათ იქცეს, პატარა წელებიდგან სასის-ახ-ლო ძარღვებში, მთელი ტანის საკვებათ, უნდა გადავი-დეს. ამ რძეში არის ყველა, რაც ჩჳენ სხეულის სხჳა და

სხჳა ნაწილს უნდა: ხორცისათჳს, ძვლებისათჳს, გარსისათჳს, ქონისათჳს და სხ. ყველა ამაში განზავებული და გათხელებულია. მეორე საჭმლის შერყეულობის ნაწილი, კაცის უვარგისი, როგორათაც გამონაწური, დანარჩენი, მაგარი, წვრილის წლებიდგან მსხვილ წლებში გადის და იქიდგან გამოიყრება, ეხლა მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას საჭმლის მონანელებელ ორღანების სიწამხდრეზედ და სხჳა და სხჳა შემთხვევაზედ საჭმლის მონელების დროოს, რომელსაც უზრდელი კაცი, რომ გაიგებს, პირველ შემთხვევაში უშველის, პირ-ღებინებას, რომლის დროსაც საჭმლის შერყეულებას კუჭიდგან ხელმეორეთ პირში აღმოანთხევა, თუ ეს პირღებინება ძლიერი არ არის, შეიძლება ყინულის ნაჭრები, რომ ჩაყლაპოს აბებივით აღარ აღებინოს, ანუ ცივი წყალი ნელნელა ჩაყლაპოს, შავი ყავა დალიოს, გულის კოვზზედ ცივ წყალში დასველებული პირსახოცი მიიფარონ. და თუ დიდი ხნისა და ძლიერი პირღებინებას აქჳს ექიმის წამლობა უნდა, დაორსულებულ დედაკაცებს, პირველ თვეებში, დაემართებათ საშინელი პირღებინება, რომლისათჳსაც მართალი წამალი არ იპოვება; იმ დედაკაცებმა რამწამს გაიღვიძონ, დილით უნდა ჭამონ რამე: პურით ყავა, წვენი და ამგვარი მსუმბუქი საჭმლეები,—ამისგამო პირღებინება გაუა ვილდებათ და არც ისე ხშირათ მოუვათ.

ხანდიხან კაცმა, რომ სავნებელი რამე შეჭამოს, უნდა მაშინვე ძალიან ამოაღებინოს, არის ბევრნაირი წამალი, რომელიც ძალათი ამოღებინებს;მაგრამ პირველ შემთხვევაში, პირღებინებისათჳს, უნდა თითი ჩაიდოს ღრმათ პი-

რში, ენის ძირამდინ, პირის ნახევთან ფრთით უნდა უ-ჩხრიკინონ, ანუ თბილი წყალი ბლომათ დაალევინონ, აგ-რეთვე ცოტა ცხელსაც არა უშავსრა.

გუჭის—წვა სნეულებაა, რომლის დროსაც კაცს მწა-რეთ ანუ მჟავე ლორწოთი აბოყინებს. ამას შველის, მე-ლი წმინდათ დანაყილი, მაღნეზია, აბზინდის ბალახისაგან დაყენებული სასმელი, პატარა ბავშვებს გუჭის წვა რომ-ჰქონდეთ. ბოყინის დროს ამოაქცევენ გუჭიდგან რძესა. ეს იმისგან მოხდება, რომ დედის რძე წამხდარი იქნება. ამაზედ მერმე მოგელაპარაკებით აქაც მელი ანუ მაღნეზია შველის. ხშირათ შვილის ანუ ათის წლის ყმაწვილებს უ-მიზეზოთ მუცელი ასტკივა ხოლმე, პატარა ყმაწვილები ამდროს იზჯენენ ხელსა ანუ მუხლებსა მუცელზედ, რო-მლის გამო ტკივილი შეუყუჩდებათ, და თუ არ დაუყუჩდა, მაშინ უნდა თბილი ნაცარი გულის—კოვზთან დაადონ, იქვე სამდოგვეები დააკრან და ათ მინუტს ყმაწვილი თბილ ვანაში ჩასვან.

მუცლის გაბერვა, ამ შემთხვევაში თითქო კაცს მუცელი გაუბერათო, ეს იმისგან წარმოსდგება, რომ წლებში ქა-რები მოგროვდებიან და უკან გასასვლელიდგან ვერ გამო-დიან, როგორც უნდა. აქ შველის ანისუნის წყალი, ანი-სუნის ოტკა, საკამე ანუ ჭვლიავიანი სასმელი.

ხანდისხან კაცს წლებში მუცლის ჭია გაუჩნდებათ, რო-მელიც თეთრ ზონანსასა ჰგავს. და ჰქვან ღარიბი მარგალიტი. მსხვილ ძარღვებში ყმაწვილებს სხვა ნაირი ჭია აქვ-სთ: მრგვალი, მოწითლო და მოკლე, მაშინ შეიძლება, რომ კაცს მუცელში ჭია შეატყონ, როცა დაავდებს, სხვა

რიგათ სწორჱ ვერ შეიტყობთ; ჭირისათჳს საექიმო წამალი უნდა; მაგრამ ყმაწჳლებს, რომელთაც მრგვალი ჭია აქჳთ, უნდა გაბედვით ჭიის წამალი დაალევინოთ, რომელიც ყველამ იცით, ჭიის მაჯუნი ანუ ამ წამლით მოზელილი პური, რომელსაც აფთიაქში ურეცეპტოთ ჰყიდიან და ჭია მართლათ მუცლიდგან გაოჰყავს.

თიაქარი-მძიმე და საფრთხილებელი სნეულებაა. ეს იმისგან მოხდება, რომ ქვეით წელის გრგოლი, სიმძიმის აღებაზედ და გაჭინტვაზედ ანუ სხვა ძნელ მუშაობაზედ, გადის კუოების კონებში, რომელნიც მუცელს წინიდგან ჰფარვენ, და ჩაეშვება ან პარკში და ან საზარდულში, თიაქარი კაცს, რომ გაუჩნდეს, მაშინვე უეჭველად ექიმის წამლობა უნდა, თორემ წელი მოიგლება კუთებში და კაცი სწრაფლად ტკივილებით მოკუდება. არიან სოფლის ექიმები, რომელნიც კისრულობენ თიაქარის მორჩენასა, მაგრამ ღმერთმა დაგიფაროთ იმათ წამლობისაგან საქმე, რომ არ გაეგებათ, აჭრენ, ჰკრუნჩხვენ ნატკენ ადგილს, და არამთუ თავის დღეში არ არჩენენ, და პირიქით სნეულობას აძნელებენ. კიდევაც გეტყჳთ, რომ თიაქარი ძალიან საშიშო სნეულებაა, და იმას ექიმი უნდა, რომელსაც შეუძლიან მორჩენა.

პატარა ბავშვებსა. ხან ყჳრილისაგან ჭიპზედ თიაქარი გაუჩნდებათ, კანი ამ ადგილას ამოიბერება და ღილისაებ გახდება. ამ გვარ ბავშვებს უნდა გამოშვებულ ადგილს დაადოს კაცმა რეზინის ანუ პრობკის ნაჭერი და მსუბუქათ მუცლის სიგანეზედ უნდა შეუხჳონ.

(შემდგომი მომავალ ნომერში იქნება).

## შინაური მიმოხილვა,

### თბილისის ახალი ამბები.

ამ ცოტა ხანებში ქალაქში ბევრი შესანიშნავი საქმეები მოხდა, რომლებზედაც ჩვენა გვსურდა მოლაპარაკება ჩვენს საყვარელს მკითხველთან, მაგრამ სადაც არის ჩვენთან ჯაცს ქმაც იმისთვის შეეძლება, რომ ავათმყოფს სასარგებლო საშველსაც აღუკრძალავს, და ეუბნება თუ არ ალასრულებ ჩემს ბრძანებასა სიკვდილს ხელთ მიგცემო იქ ავათმყოფი კრავს შეკრულია და სრული ექიმის მონაა..

ჩვენ ექიმებს თავს ვანებოთ; ჩვენ ექიმებზედ არ გვინდოდა ლაპარაკი, ანვი რა ჩვენი საქმეა! ჩვენი სამე — სუ!...

ჯო! იმას მოგახსენებდით: მოლაპარაკებას გვინდოდაო; მაგრამ რაზედ მოველაპარაკოთ? ბატონყმობის საქმეზედ რას ვიტყვით! ყველა ჩვენსმა მკითხველმა კარგათ იცის ან დაწყობილება, ან წარმართულება ამ საქმისა; თუ ვიტყვით რასმე, ამაზედ უნდა ვსთქვათ და სხვა შემთხვევაში უნდა დავადუმოთ... ჩვენში მაინც როგორღაც ისრეა, რომ სასარგებლო რასმე ამბობდეთ, მტრობაში გარითმევენ... სიმართლისას ხომ ნუღარ იტყვით: სიმართლის

მოქმედი ცხადით მკვლელთა და მოსისხლეთ მიაჩნიათ...

. . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . .

აქ შესანიშნი იყო ჩუენი ჯიჯებისა და ტორების ბრძოლა. . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . .

ჯიჯები დამარცხდნენ. . . . . ეს ყოველთჳს ასრეა, სადაც ცარიელი სიტყუა და არა საქმე, მაინც ესეც ძალიანი იყო ჩუენის საზოგადოებისაგან. . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . .

ბარემ კიდევ ბევრი სათქმელი გვაქუს ჩუენს ჯიჯებსა და ტორებზედ, მაგრამ რა ვქნათ... ყოველი მხრიდამ გაზოჭილნი ვართ. . . . . . ჩუენ ამ საგანზედ ბევრი რამ უნდა გვეთქუა მაგრამ... ეჰ! მე და თქუენ ხომ ვიცნობთ ერთმანერთს მკითხველო!...

ამ ბატონყმობის საქმეს თავი დავანებოთ ჩუენ რაკი აქამდინ არა ვსთქჳთ რა მინამ სათქმელი იყო, ახლაც არას ვიტყჳთ როდესაც. . . . . . . . .

. . . . ჩუენ გვინდა შევეხოთ ახლა სხუა საგანსა, სხუა საგანსა მეთქი! არა, თუკი ამაზედ ვერას ვიტყოდით, სხუა საგანზედ, რომელზედაც ჩუენ გვინდა ლაპარაკი, ვინ რას გვათქმევინებს... ჩუენ ჯერ მაგ ღირსებამდინ არ მივსულვართ, რომ ჩუენი აზრი საქუეყნოთ დაბეჭდით მტკიცედ და გაბედვით წარმოვსთქუათ... ჩუენ

ვინ გვაღირსებს მაგასა!.. ჯერ ერთი ესა, რომ მკლავი არ გვიჭრის... და აქ უმთავრესი ეგ არის..

ვის არ ახსოვს ის უბედური დიდმარხჳს ა[illegible]ბისულამე როდესაც დედა და შვილი ამირალოვები შეიქნენ მსხვერპლნი რამდენისამე პირისა?

საკჳრველი და ჯერეთაც გამოუკვლეველი მოვლინებაა, ბევრჯელ კაცის თავსა. თუ ამგვარი მოვლინება, თუ გრძნობის ამღვრევა მივაწეროთ შემთხვევას, რომელიც ბევრჯელ და უფრო ხშირათ სრულებით უმიზეზოთ მოსდის კაცსა, თითქო არის რაღაც განსხვავება ამ გვარს ჩვეულებითი გრძნობასა და იმ გრძნობაში, რომელსაც ეტყჳან წინათ გრძნობასა. მაგრამ ჩვენ ამ გრძნობის გამოკვლევაში არ შევალთ, რადგანაც ვერაფერი ფიზიოლოგი გახლავართ, ჩვენ გვინდა მხოლოთ ისა ვსთქვათ, რომ რაღაც გამოუთქმელი საქმე იყო უბედური ამირალოვის თავსა. ის ყველიერის კჳრე ღამეს იყო თეატრში და შემდგომ სპექტაკლის გათავებისა შეიცვალა საშინლათ ფერზედ, აიტანა რაღაც შეცარმა შიშმა და წარმოუთქმელმა გრძნობის ღელვამ, კაცი რომელიც აქამდინ არ ერიდებოდა არც მარტოყოფნას, არც მარტო სიარულს, ახლა ეძებდა და სთხოვდა თავის მეგობრებს, რომ მინამდინ გაეცილებინათ. (და ვგონებთ კიდეც ეთხოვნა, რომელისამე ამხანაგისათჳს თავისთან მოსვენებასა იმ ღამეს). ბევრმა მეგობართაგანმა აიგდო სასაცილოთ იმის სიმხდალე. საწყალმა შეიმაგრა გულში თავის მღელვარე გრძნობა. იმას წარმოუთქჳა თავის შიში, რომელსამე ერთს თავის მახლობელთან, რომელსაც აეგდო კიდევ ეს სასა-

ცილოთი. მასუკან ამირალოვმა აღარა სთქჳარა და წავიდა შინა.

მეორეს დღეს ხმა ამ ღამის საშინელ მომხდარისა გავარდა ქალაქში. საცოდაობა, თუ როგორ დაერჩოთ ეს უბედური დედა და შჳლი ერთათა, სხუა და სხუა რიგათ ისმოდა ყველგანა. სხუა და სხუა იჭჳ და სხუა და სხუა ლაპარაკი იყო მთელს ქალაქში.

აღელვებული ხალხი ღაღადებდა; ითხოულობდა სისხლისთჳს სისხლსა. ამ გაცხარებულს გულზედ, და თუ ხალხის ხელით ყოფილიყო სამართალი ამ დამნაშავებისა და ხელით წავარდნილით საჭიროთ პირნი, ყოველის გამოუძიებლათ და გამოუკვლეველათ მისცემდენ საშინელს სატანჯველსა სიკჳდილისა. მაგრამ ეს გაცხარება ხალხისა არ იყო გრძელი და დიდის ხნისა: საქმის გადასავალმა გავლო ხანი, გული ხალხისა დაშოშმდა, მართლმაჯნობამ თანდათან დაიჭირა თავის ადგილი და დასძლია გრძნობის მღელვარება. დამნაშავები დაიჭირეს და მისცეს სამართალსა. სამართალმა ჰპოვა, რომ ორი იყო ღირსი სიკჳდილისა. **27** მაისი ორშაბათ დღე იყო დანიშნული ამ ორი დამნაშავის ჩამოხრჩობისა. დამნაშავები პალაჩებით გამოიყვანეს და დაატარეს მთელი ქალაქი. ჩვენი ქალაქის ხალხისა დაედევნა ამ გულის გასახარელს სათამაშოსა... ბევრი მგრძნობიარე გული ჰგრძნობდა ამათ მდგომარეობას; მაგრამ ბევრი სულ თითქმის სეირით უყურებდა ამ კაცთ უბედურებასა. დამნაშავებს ედოთ ნაცრის ფერი და როგორც ეტყობოდათ ისინი უფრო სიბრალულით უყურებდნენ ხალხსა, ვინემ ხალხი ამათ.

რამოდენა ხალხი დაგვედო! — სთქვა ერთმა დამნაშავემ.

— დაგვედოს, — უპასუხა მეორემ: — ჯერ მაიმუნს და ჯამბაზს დაედება ხოლმე იმოდენა ხალხი და ჩვენში უფრო კარგს სანახავს არა ნახვენ.

მეორემ პასუხის მაგივრათ გადიწმინდა ულვაშები შებოჭილის ჴელებით.

სარჩობელას გარშემო იდგა თითქმის მთელი ქალაქის ხალხი და მოელოდნენ ამ ბედნიერს წუთს. ძლივს, როდის მოვიდა ეს პროცესია. დამნაშავები შეიყვანეს სარჩობელების ძირში. . ისინი ცოცხლივა ჰხედავდნენ თავის სასაფლაოებს. იმათ რამდენჯერმე თვალ გასტერებით გადაჰხედეს თავის საყვარელს საცხოვრებელს და გააქნიეს თავი.

— ეჰ! ესენი თუნდა ჩამოარჩონ, ამირალოვები აღარ გადარჩებიან, — ამბობდა ისივ ხალხი, რომელიც ამ სამი თვის წინათ თითონვე ი[illegible]ობდა ამათ [illegible]ხლს.

ამგვარ შებრალებით მართლცხობიანს ლაპარაკს ბევრგან გაიგონებდით ამოდენა ერში.

ჩვენ გაგვაკვირვა ერთმა უბრალო ქალაქის კაცების სჯამ.

— საკვირველია, — სთქვა ერთმა, რომ ესენი სულ ჩვენგან იღებდნენ ხორცსა და კარგათაც ვიცნობდი მაგ ორთავესა, მაგრამ მაგათგან, არამთუ ცუდი რამე ერთი უბრალო წყენაც არავის მოჰგონებია.

— ეჰ! — უპასუხა მეორემ: — ვინ იცის რაგვარი იყო მაგათი საქმე! გაჭირება და სხვა [illegible] რას არ აქნევინებს კაცსა.

— შედა ჩემა ღმერთმა მაგას მართალს ამბობ, — უპასუხა მესამემ: — ვინ იცის როგორ იყო მაგათი საქმე!.... როგორ შესცდნენ და ემე ჭქრეს... ეგენი წინათვე ისე უნდა სხჳა და სხჳა რიგათ შეემაგრებინათ, რომ ეხლა ეგ არ ჩაედინათ, თუ არა უგუნურმა და გაჭირვეულმა რაიცის.. ყველა საქმე მოსავალია. მეტადრე ჩჳენისთანა, ემე ბრიყვს კაცს რა გაეგება, თუ ერთი ბეწვა ჭკვა ემე ჰქონა...

აქ შეიქნა ჩოჩქოლი, დამნაშავეები აჭყვანდათ კიბეზე, და ველარ მოვჭკარ ყური ამ სამის ლაპარაკს; ვგონებ იმათაც მაშინვე მოსწყვიტეს თავის ფილოსოფიური სჯა.

პირველმა დამნაშავემ, როდესაც მოჭყვანდათ კიბეზედ, რამდენიმე სიტყჳა წარმოსთქვა, რომელსაც ჩჳენ საჭიროთ არა ვრაცხთ გამოსაწერათ, და ამოვიდა კიბეზედ უსიტყოთ, თითონვე გაუყარა თოკში თავი და გადმოევდო კიბიდამ. მეორე დამნაშავე უყურებდა ამ სეირს, ის ამის დანახვაზედ უფრო შეიცვალა ფერზედ, თვალები აემღვრა, მიადგა იმასაც ეს რიგი. ის მცირედის მეხლების თრთოლით ავიდა კიბეზედ და როდესაცა სთქვა, რომ ეხლა ყველა გვხედავსო შესდგა, და დაიძახა ხმა მაღლა რაღაებიცა. მადლობაა ღმერთსა... იქნება ახლა შენდობაც აღარავინ გვითხრასო...

ის აპირებდა კიდევ რიღასსაც თქმასა, მაგრამ ჯალაჩმა გადმოაცვა თავსაფარავი, გაუყარეს თოკი, წაუჭირეს რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და როგორც გუნძა ისე გადმოაგდეს კიბიდამ. ის ჩამოეკიდა, რამდენჯერმე საცოდავათ გაიფართხალა და გაჩერდა. ხალხი შესცქეროდა პირ დაღუებული. მწუხარება და სიბრალული ისახებოდა ყველას

სახეზედ.

სიკჳდილით დასჯა, როგორც მოგეხსენებათ, არის დადებული კანონისაგან ხალხის გასატეხათ და მაგალითის საჩჳენებლათ. . .

ხალხი, რომ ამას გასტერებით უცქეროდა, უცებ ერთს ალაგს შეიქნა ჩოჩქოლი: ერთი თავადის შვილისთჳს მოეჭრათ ჯიბე თხუთმეტის თუმნით; ქურდები იქვე დაიჭირეს. მერე თავადის შჳლმა ინახა ჯიბე და ქისა შვიდი თუმნით აღარა ჰქონდა.

—სულ ერთია,—სთქვა ერთმა ოხუნჯმა სომეხმა:— გინდ ქურდებს წაუღიათ გინდ მიკიტნებსა!

აქ რომ ეს ამბავი იყო შიგ აგლაბარში გაიცარცვა ერთი სახლი. ამ სახლის პატრონები სულ აქ ყოფილიყჳნენ საყურებლათ· და ქურდებს ესარგებლათ ამ მარჯვე შემთხვევით.

## «ცისკრის» რედაქციისაგან.

— ბრწყინვალე კნიაზს დიმიტრი თუმანიშვილს. — თქვენგნით გამოგზავნილი პასუხი «ცისკრის» რედაქციაში ქვრივი ბექასი გოგლოგაძეზედ, არ იბეჭდება, რადგანაც მეორე ჟურნალი გამოდის ახლა ქართულს ენაზედ, და «ცისკრის» თანამშრომლებზედ გიებს რიგის «მოამბეში» დაიბეჭდებოდეს.

— ბრწყინვალე კნიაზს ირაკლი ლორთქიფანიძეს. — თქვენგნით გამოგზავნილი სტატია არ იბეჭდება ამავე მიზეზით.

---

### უფალო რედაქტორო!

სამწუხაროა, რომ ჩვენს თარგმანში «რანჩევსკის ლექციებში» იმდენი შეცდომა მოსულა. ახლა გთხოვთ, რომ როდესაც სულ ერთიანათ დაიბეჭდება ცისკარში, მაშინ ცისკარში და ცალკე წიგნებში ერთათ გაუქმეთოთ შენიშვნები.

თ. გ. მ